



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL
CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი · TBILISI
2024

ივანე ნანუაშვილი

არქივი დაამუშავა, აღწერილობა გამოსაცემად მოამზადა,
შესავალი და საძიებელი დაურთო
შორენა მურუსიძემ

წინამდებარე ნაშრომი იბეჭდება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სერიით „პირადი არქივების აღწერილობა“. ივანე ნანუაშვილის პირადი საარქივო ფონდი მოიცავს 1332 ერთეულს. მასალა თემატურად მრავალფეროვანია. არქივში დაცულია ივანე ნანუაშვილის ბიოგრაფიის, საზოგადოებრივი საქმიანობისა და შემოქმედების ამსახველი დოკუმენტები, ფოტოები, მიმოწერა, აღმოსავლეთ ევროპისა და სსრკ-ის ემიგრანტთა გაერთიანებისა და მათში ქართველების მონაწილეობის ამსახველი მასალა. ასევე – აშშ-ის ქართული სათვისტომოს, სან-ფრანცისკოს ქართული კერის, აშშ-ში არსებული ქართული ემიგრანტული პოლიტიკური ორგანიზაციების დოკუმენტები. საარქივო მასალა, ძირითადად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდით თარიღდება.

ივანე ნანუაშვილის ფონდში დაცული დოკუმენტები ახალ და საყურადღებო ფაქტებს შეიცავს, ავსებს და სრულყოფს ქართული ემიგრაციის ისტორიასთან დაკავშირებულ არაერთ მნიშვნელოვან საკითხს.

სერიის მთავარი რედაქტორი

ქეთერ ქავთარაძე

ტომის რედაქტორი

ქეთევან ხითარიშვილი

სერიის სარედაქციო კოლეგია

ზაზა აბაშიძე, ალექსანდრე ბოშიშვილი, შალვა გლოველი, ლანა გრძელიშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, ვლადიმერ კეკელია, შორენა მურუსიძე, თამარ ოთხმეზური, ქეთევან ხითარიშვილი, დალი ჩიტუნაშვილი, თამარ ჭუმბურიძე.

ISSN 1987-5304

ISBN 978-9941-9917-4-5

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2024

Description of Private Archive 7

Ivane Nanuashvili

Archive was processed, description was prepared for publishing,
Introduction and search engine was attached by
Shorena Murusidze

The presented study is part of the series by Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts – "Description of Personal Archives". It focuses on Ivane (Vano) Nanuashvili's personal archive which consists of 1332 items covering a wide range of topics. The material is thematically diverse. The archive preserves: documents describing Ivane Nanuashvili's biography, public activities and creative work; The archive also contains – photographs, correspondence and materials related to various aspects of Georgian emigration, such as Union of Emigrants from Eastern Europe and the USSR and the participation of Georgians in its activities; Furthermore, it encompasses documents from Georgian Diaspora in San-Francisco and political organizations Georgian emigrant in the United States. The archive data mainly dates from the post World War II period.

Nanuashvili's collection offers valuable insights into Georgian emigration history, providing new and essential information on this subject. It serves as a significant resource for understanding the experiences and contributions of Georgian emigrants.

Editor the Series

† Eter Kavtaradze

Editor of the Issue

Ketevan Khitarishvili

Editorial Board

Zaza Abashidze, Aleksandre Boshishvili, Shalva Gloveli, Lana Grdzlishvili, Apolon Tabuashvili, Vladimer Kekelia, Shorena Murusidze, Tamar Otkhmezuri, Ketevan Khitarishvili, Dali Chitunashvili, Tamar Chumburidze



ივანე ნანუაშვილი
(1902-1975)

ედღვნება ეთერ ქავთარაძის ხსოვნას

Dedicated to Eter Qavtaradze

სარჩევი

შესავალი	11
I. ბიოგრაფიის ამსახველი მასალა	15
II. საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა ივანე ნანუაშვილის პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული მასალა	39
ივანე ნანუაშვილის სხვადასხვა საქმიანობასთან დაკავშირებული მასალა	46
III. შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა ივანე ნანუაშვილის ნაშრომები	50
რეცენზიები და გამოხმაურებები ივანე ნანუაშვილის ნაშრომების შესახებ	62
ივანე ნანუაშვილის ნაშრომებთან დაკავშირებული სხვადასხვა მასალა	64
IV. მიმონერა ივანე ნანუაშვილის წერილები სხვადასხვა პირს	74
სხვადასხვა პირის წერილები ივანე ნანუაშვილს	157
V. სხვადასხვა	269
საძიებლები პირთა	309
გეოგრაფიულ სახელთა	327
რეზიუმე	331

შესავალი

ივანე (ვანო) ნანუაშვილი იყო იუნკერი, პოლონეთის არმიის კონტრაქტორი და საქართველოს დეოკუპაციისთვის მებრძოლი ქართველი ემიგრანტი. იგი დაიბადა 1902 წელს ქ. თბილისში. მისი მშობლები იყვნენ გრიგოლ ნანუაშვილი და სოფია სინჯიკაშვილი. სკოლის დასრულების შემდეგ, 1920-1921 წლებში, სწავლობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიცერთა (იუნკერთა) სკოლაში. 1921 წლის თებერვალში, საქართველოს ოკუპაციის დროს, როგორც სამხედრო სკოლის იუნკერი, წითელი არმიის წინააღმდეგ თბილისის დასაცავად კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში იბრძოდა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ვანო ნანუაშვილი სხვა სამხედროებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. იგი 1921-1922 წლებში საბერძნეთის, ხოლო 1923-1925 წლებში კი პოლონეთის სამხედრო აკადემიაში სწავლობდა. უმაღლესი სამხედრო განათლების მიღების შემდეგ ვანო ნანუაშვილი გახდა პოლონეთის არმიის კონტრაქტორი. 1925-1928 წლებში იყო ბიდგოშჩის (Bydgoszcz) 62-ე ქვეითი პოლკის ლეიტენანტი. 1928-1930 წლებში ნანუაშვილი პოლონეთის ეროვნული არმიის სამხედრო კოლეჯში ირიცხებოდა, 1930-1939 წლებში კი პოლონეთის ქალაქ იაროსლავში 24-ე დივიზიის ოფიცრად მსახურობდა.

ივანე ნანუაშვილს, როგორც პოლონეთის არმიის კონტრაქტორს, უფლება ჰქონდა, არ მიეღო მონაწილეობა პოლონეთის საომარ ოპერაციებში, თუმცა მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას, 1939 წლის სექტემბერში, პოლონეთის არმიის რიგებში გერმანიის წინააღმდეგ იბრძოდა. ბრძოლის დროს ის გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა. 1943 წლამდე ტყვეობაში დაჰყო. მისი გათავისუფლება იმ პერიოდში გერმანიაში მცხოვრებმა გავლენიანმა ქართველებმა მოახერხეს. 1941-1943 წლებში კურიერად მუშაობდა პოზნანის მერიაში, ხოლო

1943-1944 წლებში – გერმანიის სატრანსპორტო კომპანია „სპეერის“ მძღოლად. 1944 წლის სექტემბერში ვანო ნანუაშვილმა იტალიაში, ფლორენციასთან ახლოს, ფრონტის ხაზის გადაკვეთა შეძლო და მოწინააღმდეგის მხარეს გადავიდა. ამის შემდეგ კვლავ პოლონეთის არმიას შეუერთდა და 1948 წლამდე ინგლისში გადახვეწილ პოლონურ კორპუსში ირიცხებოდა.

მეორე მსოფლიო ომში გაწეული სამხედრო დამსახურებისთვის ივანე ნანუაშვილს პოლონეთის ემიგრირებული მთავრობისგან მიენიჭა პოლონური სამხედრო ჯილდო „სიმამაცის ჯვრის“, ასევე ვერცხლის ჯვრისა და ხმლის ტარების უფლება.

ვანო ნანუაშვილმა სამხედრო კარიერა 1948 წელს დაასრულა. 1951 წელს ის ლონდონიდან საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ჯერ ნიუ-იორკში (1951-1954), შემდეგ ბოსტონში (1954-1960), ბოლოს კი სან-ფრანცისკოში (1960-1975) ცხოვრობდა. 1956 წელს მან მიიღო ამერიკის მოქალაქეობა. აშშ-ში ცხოვრების დროს მუშაობდა ქარხანაში მუშად, შემდეგ – ცხოველების ჰოსპიტალსა და დარაჯის პოზიციაზე. ვანო ნანუაშვილი ცდილობდა საკუთარი ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისი სამსახური ემოვა. სცადა მუშაობა დაეწყო თარჯიმნად აშშ-ის გამოძიების ფედერალურ ბიუროში (FBI), ასევე თანამშრომლად რადიო „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასა და კონგრესის ბიბლიოთეკაში. თუმცა მისი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, აშშ-ში ცხოვრების პერიოდში, ივანე ნანუაშვილი მთელ დროს, ენერგიას და სახსრებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლას ახარჯავდა. პოლონურ და ინგლისურ ენებზე წერდა სამხედრო და პოლიტოლოგიური შინაარსის ნაშრომებს, რომლებსაც ბეჭდავდა უცხოურ პრესაში და ავრცელებდა აშშ-ის სახელმწიფო უწყებებსა და უნივერსიტეტებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1973 წელს გამოქვეყნებული ფუნდამენტური (ინგლისურ ენაზე, 400-მდე გვერდი) ნაშრომი „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. მისი მიზანი აშშ-ის საზოგადოებისა და სახელმწიფო მოხელეებისთვის საქართველოსა და ქართული საკითხის გაცნობა იყო.

ივანე ნანუაშვილი გახლდათ ქართული პოლიტიკური ემიგრანტული გაერთიანებების წევრი. საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა საბჭოთა ემიგრანტულ ორგანიზაციებთან. იყო აშშ-ში არსებული დაპყრობილი ერების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. ასევე სან-ფრანცისკოს ქართული კერის პერიოდული ორგანოს – „სან-ფრანცისკოს ქართული კერა“ – გამოცემის ინიციატორი და განმახორციელებელი. ეს ჟურნალი ქართულ და ინგლისურ ენებზე იბეჭდებოდა.

ივანე ნანუაშვილი გარდაიცვალა 1975 წელს, დაკრძალულია სან-ფრანცისკოში, სერბების სასაფლაოზე.

ვანო ნანუაშვილს ოჯახი არ ჰყავდა, შესაბამისად, მას მემკვიდრე არ დარჩენია. მან თავისი ქონება დაუტოვა ანდრეი და ნინო დაბროვებს (იხ. მისი ანდერძი, №42), რომლებმაც ქართველი ემიგრანტი მეცნიერის, ვახტანგ ჯობაძის და მისი ქალიშვილის, ეთერ ჯობაძის დახმარებით ივანე ნანუაშვილის პირადი არქივის ერთი ნაწილი 2000 წელს (შემოსულობათა წიგნი №699), ხოლო მეორე ნაწილი კი 2012 წელს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცეს.

ივანე ნანუაშვილის პირადი საარქივო ფონდი მოიცავს 1332 ერთეულს. აქ დაცული დოკუმენტები, ძირითადად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდით თარიღდება. დოკუმენტები შედგენილია ქართულ, ინგლისურ, პოლონურ, უკრაინულ და რუსულ ენებზე.

ივანე ნანუაშვილის პირად არქივში დაცულია:

I. მიმოწერა: 1) ქართველ ემიგრანტებთან; 2) აშშ-ის ოფიციალურ სახელმწიფო სტრუქტურებთან; 3) აშშ-ის ანტიკომუნისტურ/ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციებთან; 4) ოფიციალურ პირებთან; 5) აშშ-სა და ევროპის უნივერსიტეტებთან;

II. აღმოსავლეთ ევროპისა და სსრკ-ის ემიგრაციის გაერთიანებებისა და მათში ქართველების მონაწილეობის ამსახველი მასალა;

III. აშშ-ის ქართული სათვისტომოს, სან-ფრანცისკოს ქართული კერის, აშშ-ში არსებული ქართული ემიგრანტული პოლიტიკური ორგანიზაციების დოკუმენტები;

IV. ივანე ნანუაშვილის ბიოგრაფიის, საზოგადოებრივი საქმიანობის და შემოქმედების ამსახველი დოკუმენტები.

V. ფოტომასალა.

ივანე ნანუაშვილის არქივი მნიშვნელოვანი წყაროა ცივი ომის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის შესასწავლად. ქართველი ემიგრანტები ქმნიდნენ ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ქართულ საკითხს აცნობდნენ აშშ-ის საზოგადოებასა და მთავრობას, თანამშრომლობდნენ საბჭოთა კავშირის ემიგრანტულ გაერთიანებებთან, აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურებსა და ამერიკულ ორგანიზაციებთან.

ივანე ნანუაშვილის არქივის პოლონურენოვანი დოკუმენტები დაამუშავეს პოლონეთის მარია კურიე-სკლოდოვსკას უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებიც 2013 წელს სტაჟირებას გადიოდნენ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მათ შეადგინეს პოლონურენოვანი დოკუმენტების აღწერილობა.

I. ბიოგრაფიის ამსახველი მასალა

1. კონსტანტინოპოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსულოს მიერ ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული საზღვარგარეთის პასპორტი.

1922 წ. 18 ნოემბერი, სტამბოლი.

სტამბურად ნაბეჭდი, ხელით შევსებული, ქართულ და ფრანგულ ენებზე, ახლავს ივანე ნანუაშვილის ფოტო, აქვს ბეჭდები და კონსულის ხელმოწერა, დაბეჭდილია სტამბოლის ქართული კათოლიკური საგანის სტამბაში, 1 ც.

2. სამოქალაქო საპასპორტო კონტროლის იტალიური განყოფილების მიერ ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული საშვი, რუმინეთის გავლით პოლონეთში გასამგზავრებლად.

1922 წ.

ნაბეჭდი, იტალიურ ენაზე, ხელით შევსებული, ვანო ნანუაშვილის ფოტოთი, ახლავს რუმინეთის, პოლონეთისა და თურქეთის სასაზღვრო კონტროლის ბეჭდები, სამგზავრო ვიზები და თურქეთისა და რუმინეთის მარკები, 1 ც.

3. პოლონეთის სატანკო და საავტომობილო სკოლის მიერ ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული სამხედრო-სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა.

1930 წ. პოლონეთი.

ნაბეჭდი, ხელით შევსებული, პოლონურ ენაზე, ახლავს ვანო ნანუაშვილის ფოტო, 1 ც.

4. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული „გერმანიაში კავკასიის სამმართველოს“ წევრობის მოწმობა.

1940 წ. 22 ნოემბერი.

ნაბეჭდი, ხელით შევსებული, გერმანულ ენაზე, ახლავს ვანო ნანუაშვილის ფოტო, ასევე – ვანო ნანუაშვილისა და [ვლადიმერ] ახმეტელის ხელმოწერები, 1 ც.

5. ივანე ნანუაშვილის გერმანიის მესამე რაიხის პასპორტი.

1942 წ. 8 აგვისტო.

ნაბეჭდი, ხელით შევსებული, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, ვანო ნანუაშვილის ფოტოთი და გერმანიის მესამე რაიხის ბეჭდებით, 14 ფ.

6. ივანე ნანუაშვილის მართვის მოწმობა.

1943 წ. 5 აპრილი.

ნაბეჭდი, ხელით შევსებული, გერმანულ ენაზე, ვანო ნანუაშვილის ფოტოთი, 1 ც.

7. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული გაზის გენერატორზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალების მართვის ლიცენზია.

1943 წ. 13 აპრილი.

სტამბურად ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ახლავს ბეჭედი და ხელმოწერა, 1 ც.

8. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული ნაცისტური გერმანიის გასამხედროებული საავტომობილო-სატრანსპორტო კორპუსის "Legion Speer"-ის მომსახურების წიგნაკი.

1944 წ. 20 აპრილი.

სტამბურად ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელით შევსებული, ახლავს ვანო ნანუაშვილის ფოტო, მე-7 ფურცელზეა ბეჭედი მესამე რაიხის გერბით, 25 ფ.

9. მიხეილ კვალაშვილის მიერ ივანე ნანუაშვილისთვის გაგზავნილი დოიჩე ბანკის ქვითრები თანხის გადარიცხვის შესახებ.

1944 წ. ბერლინი.

ნაბეჭდი, ხელმოწერებით, 2 ც.

10. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული სამხედრო ჯილდოს – „სიმამაცის ჯვარი“ – ტარების ნებართვა.

1945 წ. 10 ივნისი, პოლონეთი.

ნაბეჭდი, ხელით შევსებული, პოლონურ ენაზე, ახლავს ბეჭედი და ხელმოწერა, 1 ც.

11. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული სამხედრო ტექნიკის მართვის მოწმობა.

1945 წ. 30 ივნისი.

ნაბეჭდი, ხელით შევსებული, პოლონურ და ინგლისურ ენებზე, ვანო ნანუაშვილის ფოტოთი, 1 ც.

12. ივანე ნანუაშვილის წიგნაკი და ჩანაწერი.

1945 წ.

ნაბეჭდი, ხელით შევსებული, ახლავს ვანო ნანუაშვილის მოკლე ჩანაწერი, 100 ფ.

13. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული სამგზავრო დოკუმენტი (პასპორტი).

1946 წ. 15 ოქტომბერი, ლონდონი.

ინგლისურ ენაზე, ვანო ნანუაშვილის ფოტოთი და ხელმოწერით, 16 ფ.

14. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული პოლონური სამხედრო ჯილდოების – „ვერცხლის ჯვრისა და ხმლის“ – ტარების ნებართვა.

1947 წ. 3 ოქტომბერი.

ნაბეჭდი, ხელით შევსებული, პოლონურ ენაზე, ახლავს ბეჭედი და ხელმოწერა, 1 ც.

15. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ მას მიღებული აქვს პოლონური სამხედრო ჯილდო – „ვერცხლის ვარსკვლავი და ჯვარი“.

1948 წ. 2 ივნისი.

ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ხელმოწერითა და შტამპით, 1 ფ.

16. [დიდი ბრიტანეთის] ომის ოფისის მიერ ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული დოკუმენტი სამხედრო სამსახურისა და მიღებული ჯილდოების შესახებ.

1950 წ. 13 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ასლი, 1 ფ.

პირი: გრიგოლ [ნანუაშვილი] და სოფია სინჯიკაშვილი (ვანო ნანუაშვილის მშობლები).

17. დიდ ბრიტანეთში ემიგრირებული პოლონეთის სამხედრო ოფისის შეტყობინება ივანე ნანუაშვილს. აცნობებენ, რომ სამხედროებს, რომლებიც დაჯილდოვდნენ 1939-1945 წლების ომის სამხედრო მედლით (WOJSKA), მაგრამ ჯილდო არ მიუღიათ, შეუძლიათ მიიღონ დიდი ბრიტანეთის სამხედრო მედალი იმ პირობით, თუ ხელს მოაწერენ მონაწილას. ახლავს მონაწილაც.

1950 წ. 21 დეკემბერი.

ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

18. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული სიცოცხლის დაზღვევის საბუთი.

1951 წ. 12 იანვარი.

სტამბურად ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

19. კრუიზ "Cunard Line"-ის ეკიპაჟისა და მგზავრების სია. მათ შორისაა დასახელებული ვანო ნანუაშვილიც.

1951 წ. 16 ივნისი.

სტამბურად ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 8 ფ.

20. "Flushing Hospital and Dispensary" თანამშრომლის, გაბაის (Gabay), შეტყობინება ივანე ნანუაშვილს. აცნობებენ, რომ უბრუნებენ ქვითარსა და ანგარიშს, რადგან ის არ დაზარალებულა მუშაობის დროს და ეს არ არის კონპენსაციის შემთხვევა.

1952 წ. 30 იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ოფიციალურ ბლანკზე, ხელმოწერით, ახლავს ქვითარი, 2 ფ.

პირი: ე. მალონი.

21. ივანე ნანუაშვილის მიერ სხვადასხვა დროს შედგენილი ავტობიოგრაფია (CV).

1951-1963 წწ.

ფ. 1 – 1951 წ. 31 მარტი. ლონდონი.

ფ. 2 – 1952 წ. 26 თებერვალი, ნიუ-იორკი.

ფ. 3 – 1954 წ. 8 მარტი, ნიუ-იორკი.

ფ. 4-5 – 1957 წ. 8 აპრილი, მასაჩუსეტსი.

ფ. 6-7 – 1963 წ. 27 იანვარი.

ფ. 8-9 – უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 9 ფ.

ფ. 1-2, 7 – აქვს მინაწერი წითელი, შავი და ლურჯი მელნით.

22. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული დაზღვევის საბუთები.

1955 წ. 4 იანვარი.

ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 4 ფ.

პირი: ალექსანდრე სულხანიშვილი.

23. ივანე ნანუაშვილისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი.

1956 წ. 5 სექტემბერი, ბოსტონი.

ორიგინალის ასლი, ინგლისურ ენაზე, 1 ც.

24. ვენტვორტის სალამოს სკოლის მიერ გაცემული ცნობა ივანე ნანუაშვილის სახელზე მის მიერ მიღებული შეფასების შესახებ.

1957 წ. 19 დეკემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელით შევსებული, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

25. "Wentworth evening school"-ის მიერ ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული მექანიკოსის 24-კვირიანი კურსის გავლის დამადასტურებელი მონმობა.

1958 წ. 27 მარტი, ბოსტონი.

ნაბეჭდი, ხელმოწერით, 1 ც.

26. ივანე ნანუაშვილის ავტობიოგრაფია (CV).

1958 წ. 10 აპრილი, დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ფ. 5v აქვს მინაწერი მწვანე მელნით, 5 ფ.

27. ივანე ნანუაშვილის ავტობიოგრაფია (CV).

1958 წ. 11 აპრილი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 6 ფ.

28. ივანე ნანუაშვილსა და ალექსანდრე სულხანიშვილს შორის მომხდარი უთანხმოების შესახებ გამართული შეხვედრის სტენოგრაფიული ჩანაწერი.

1962 წ. 6 ივლისი, სან-ფრანცისკო.

ავტოგრაფი, ახლავს დიმო ცხონდიას მინაწერი: „ზემოაღნიშნული სიტყვებისა და ლაპარაკის დროს დავესწარი და შეიცავს სინამდვილეს“, 1 ფ.

პირი: იზმაილ აბაშიძე, დიმო ცხონდია, ლეონიდ დომბროვსკი, მიხეილ დადიანი, ირაკლი ორბელიანი.

ტოპონიმი: ბოსტონი, ნიუ-იორკი.

29. ივანე ნანუაშვილის საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების მისამართები და ტელეფონის ნომრები.

1962 წ. 21 სექტემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

30. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული განკარგულება პოლონეთის ქვეითთა კორპუსის მაიორად დანიშვნის შესახებ.

1964 წ. 11 ნოემბერი, ლონდონი.

ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, რეჩპოსპოლიტას (Rzeczpospolita Polska) ბლანკზე, 1 ფ.

პირი: ვ[ლადისლავ] ანდერსი (Władysław Anders).

31. ივანე ნანუაშვილის მიერ დაწერილი ავტობიოგრაფია.

1968 წ. 15 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ხელმოწერით, ორ ეგზემპლარად, 37 ფ.

32. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული კომპანია "Pierose Building Maintenance"-ს საშვი.

1968 წ. 19 აგვისტო.

ნაბეჭდი, ხელით შევსებული, ინგლისურ ენაზე, 1 ც.

33. პროფკავშირისთვის გადახდილი თანხის ქვითრები.

1970 წ. მაისი-სექტემბერი, აშშ.

ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 5 ც.

34. "American Russian S. F. Bay Region Credit Union"-ის მიერ ივანე ნანუაშვილისა და ალექსანდრე სულხანიშვილისთვის კრედიტის გაცემის საბუთი.

1971 წ. 4 მარტი.

ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

35. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული სასწრაფო დახმარებით სარგებლობის საბუთები.

1971 წ. 30 ნოემბერი; 1975 წ. 5 აგვისტო.

ნაბეჭდი, ახლავს 2 კონვერტი, 3 ფ.

36. ჩანაწერი ივანე ნანუაშვილისა და ალექსანდრე სულხანიშვილის მისამართების შესახებ.

1973 წ. 7 აგვისტო, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ასლი, ხელმოწერით, 1 ფ.

37. კომპანია "BEKING BBM"-ის ახალი ამბების ბიულეტენი №9. კომპანიის სიახლეებთან ერთად მკითხველს აცნობენ, რომ მათმა თანამშრომელმა ვანო ნანუაშვილმა გამოსცა წიგნი „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“.

1974 წ. 28 ივნისი.

ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ტექსტის ის მონაკვეთი, რომელშიც წერია ინფორმაცია ვანო ნანუაშვილის წიგნის შესახებ, მონიშნულია წითელი მელნით, 1 ფ.

38. ბოსტონის ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ცნობა იმის შესახებ, რომ ვანო ნანუაშვილი მეორე მსოფლიო ომის დროს მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში და დაიჭრა.

1974 წ. 3 სექტემბერი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ვანო ნანუაშვილისა და ნოტარიუს ვიტაუტას სტელმოკას (Vytautas Stelmokas) ხელმოწერით, 1 ფ.

39. სადაზღვეო კომპანია "Philio R. Calanchini"-ს შეტყობინება [ვანო ნანუაშვილს]. სთხოვენ გაეცნოს სადაზღვეო ფორმებს. ახლავს ჩატარებული სამედიცინო დახმარების ინვოისი და ქვითარი.

1974 წ. სან-ფრანცისკო.

ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, 3 ფ.

40. ჯანმრთელობის, განათლებისა და კეთილდღეობის დეპარტამენტის მისამართი და ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული გადახდის ქვითარი.

1975 წ. 9 აპრილი.

ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ფანქრით, ფ. 1 – მცირე ზომის, 2 ფ.

41. შეტყობინება ივანე ნანუაშვილს. აცნობებენ, რომ სამედიცინო დახმარებისთვის მიიღებს 42 დოლარს.

1975 წ. 7 ივლისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, 1 ფ.

42. ივანე ნანუაშვილის ანდერძი.

1975 წ. 14 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ასლი, ორ ეგზემპლარად, 1 ფ.

პირი: ნინა დაბროვა, ანდრჟეი დაბროვა (Andrew (Andrzej) R. Dabrowa), დავით ბეზიაშვილი, ვანო მაჩაბელი, პიოტრ ჰარცაი (Piotr Harcaj), ლევ დობრიანსკი.

43. ივანე ნანუაშვილის ნეკროლოგი. გავრცელებული ანდრუეი დაბროვას (Andrzej R. Dabrowa) და გ[ოგი] ჯავახიშვილის მიერ.

1975 წ. 15 აგვისტო. სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კონვერტებში, 5 ც.

44. [აშშ-ის] საჯარო მმართველობის გამოძიების (Public Administrator's Investigation) ანკეტა, შევსებული ივანე ნანუაშვილის სახელზე.

1975 წ. 15 აგვისტო.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ასლი, 1 ფ.

45. აშშ-ში სერბების სასაფლაოს ქვითარი, გაცემული დავით ბებიაშვილისა და ვანო მაჩაბლის სახელზე ვანო ნანუაშვილის [საფლავის] ხარჯების შესახებ.

1975 წ. 16 აგვისტო, კალიფორნია.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ც.

პირი: დავით ბებიაშვილი, ვანო მაჩაბელი.

46. ივანე ნანუაშვილის დაკრძალვის ხარჯთაღრიცხვა.

1975 წ. 18 აგვისტო, სან-ფრანცისკო.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ასლი, 1 ფ.

პირი: ვანო მაჩაბელი, დავით ბებიაშვილი.

47. ივანე ნანუაშვილის დაკრძალვის ხარჯები.

1975 წ. 25 აგვისტო.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ფ. 1 – ბლანკზე, 2 ფ.

48. ივანე ნანუაშვილის გარდაცვალების ცნობა.

1975 წ. 5 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ასლი, 1 ფ.

პირი: დავით ბებიაშვილი.

49. პოლონელი გენერლის, თადეუშ პელჩინსკის (Tadeusz Pelczyński), სამძიმრის წერილი ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელს

მაიორ გოგი ჯავახიშვილს. უსამძიმრებს ვანო ნანუაშვილის გარდაცვალებას.

1975 წ. 18 სექტემბერი, ლონდონი.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ და ინგლისურ ენებზე, 2 ფ.

ფ. 1 – პოლონურად, ორიგინალი.

ფ. 2 – ინგლისურად, ორიგინალის თარგმანი.

50. სტანისლავ სლივინსკის (Stanislaw Sliwinski) სამძიმრის წერილი ა[ნდრჟეი] რ. დაბროვას. მწუხარებას გამოთქვამს ვანო ნანუაშვილის გარდაცვალების გამო.

1975 წ. 17 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ახლავს კონვერტი, ხელმოწერით, 2 ფ.

51. იუსუფ-ბეკ უმაშის (Юсуф-Бек Умаш) სამძიმრის წერილი ა[ნდრჟეი] რ. დაბროვას. მწუხარებას გამოთქვამს ვანო ნანუაშვილის გარდაცვალების გამო.

1975 წ. 17 ნოემბერი, ვაშინგტონი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, რუსულ ენაზე, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

52. ადვოკატ ჯორჯ კალინსკის (George Kalinski) წერილი სამშენებლო სამსახურის თანამშრომელთა გაერთიანებას. სწერს, რომ ივანე ნანუაშვილი იყო მათი წევრი და იხდიდა გადასახადს. აცნობებს, რომ ვანო ნანუაშვილის სურვილი იყო, რომ გარდაცვალების შემდეგ თანხა მიეღო მის მეგობარს ისმაილ აბაშიძეს. სთხოვს აცნობონ, როდის გადაუხდიან თანხას.

1975 წ. 17 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

53. ადვოკატ ჯორჯ კალინსკის (George Kalinski) წერილი სან-ფრანცისკოს საჯარო ადმინისტრატორ ჯონ ნურნის (John Nurney). სთხოვს შუამავლობას გამომცემლობა "Vantage Press"-თან გარდაცვლილი ივანე ნანუაშვილის წიგნის ფინანსური საკითხის შესახებ. სურს შეატყობინონ, თუ შეიძლება, რომ [ვანო ნანუაშვილის]

ქონების ფონდიდან დაფარონ პარიზში ქართული კოლონიისთვის
ვანო ნანუაშვილის პირადი ბიბლიოთეკის გაგზავნის საფასური.

1975 წ. 17 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: დაბროვა.

54. ი[ან] ფ. მორელესკი ([Jan F.] Morelewski) წერილი [ანდრჟეი
დაბროვას (Andrzej R. Dabrowa) და გ. ჯავახიშვილს]. მადლობას
უხდის, რომ შეატყობინეს ვანო ნანუაშვილის გარდაცვალების
შესახებ. სთხოვს, აცნობონ, დარჩა თუ არა გარდაცვლილს ხე-
ლნაწერები ან მოგონებები, ასევე ჰყავდა თუ არა ოჯახი. ატყო-
ბინებს, რომ იგი ვანო ნანუაშვილს შეხვდა იტალიაში, როდესაც
ის (ვანო ნანუაშვილი) პოლონეთის არმიის ოფიცერი იყო.

1975 წ. 19 ნოემბერი, ჩიკაგო.

ხელნაწერის ასლი და ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ახლავს კონვერტი,
1 ფ.

55. ადვოკატ ჯორჯ კალინსკის (George Kalinski) წერილი ან-
დრჟეი დაბროვას (Andrzej R. Dabrowa). აცნობებს, რომ უგზა-
ვნის სან-ფრანცისკოს საჯარო ადმინისტრატორისგან მიღებულ
პასუხს გარდაცვლილი ვანო ნანუაშვილის შესახებ.

ახლავს სან-ფრანცისკოს საჯარო ადმინისტრატორის შეტყო-
ბინება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ისინი დაუკავშირდნენ გა-
მომცემლობა "Vantage Press", რათა გაერკვიათ გარდაცვლილი
ვანო ნანუაშვილის წიგნთან დაკავშირებული საკითხები. მისი
პირადი ბიბლიოთეკის გაგზავნა საფრანგეთში ძვირი ჯდება, ამ-
იტომ ხარჯები ვანო ნანუაშვილის ქონებიდან ვერ დაიფარება.

1975 წ. 28 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, ახ-
ლავს ორი კონვერტი, 2 ფ.

56. აშშ-ის პილსუდსკის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტო-
რის, მაიკლ ბადის (Michael Buddy), წერილი [ანდრჟეი] დაბროვას
(Andrzej R. Dabrowa). ინსტიტუტის სახელით უსამძიმრებს ვანო
ნანუაშვილის გარდაცვალებას.

1975 წ. 18 ნოემბერი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, ბლანკზე, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

57. ვაცლავ იედრჟეიევიჩის (Waclaw Jedrzejewicz) წერილი [ანდრჟეი] დაბროვას (Andrzej R. Dabrowa). უსამძიმრებს ივანე ნანუაშვილის გარდაცვალებას. დადებითად ახასიათებს მის პიროვნებას.

1975 წ. 20 ნოემბერი, ლოს-ანჯელესი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ბლაკნზე, ხელმოწერით, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

58. ანდრჟეი დაბროვას (Andrzej R. Dabrowa) და ნინო დაბროვა-ჯავახიშვილის მიერ ეთერ ჯობაძის შუამავლობით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისთვის ვანო ნანუაშვილის არქივის, ბიბლიოთეკისა და მემორიალური ნივთების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტი).

აქვეა სერგი ნაკაიძის ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი წერილი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორ ბუბა კუდავას. ატყობინებს, რომ ვანო ნანუაშვილის წიგნები და პირადი არქივი უკვე თბილისშია.

2012 წ. 14 თებერვალი; 2013 წ. 12 აპრილი.

ავტოგრაფი და ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ახლავს კონვერტი, 3 ფ.

59. ივანე ნანუაშვილის ავტობიოგრაფია (CV).

უთარილო.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

60. ივანე ნანუაშვილის ბიოგრაფიული ცნობები.

უთარილო.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 3 ფ.

61. ივანე ნანუაშვილის მოკლე ბიოგრაფია.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ეგზემპლარად, 1 ფ.

62. ივანე ნანუაშვილის მიერ შევსებული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას მისი ბიოგრაფიის შესახებ.

უთარილო.

ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, 3 ფ.

63. ივანე ნანუაშვილის დოკუმენტაცია სარეკლამო და გაყიდვების დეპარტამენტისთვის: 1. ორგანიზაციების წევრობა; 2. პირადი კონტაქტები; 3. გამოქვეყნებული სტატიების ნუსხა. მომზადებულია მისი წიგნისთვის „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე. ფ. 1 და ფ. 10 – აქვს მინანერი, 10 ფ.

64. კონვერტი ივანე ნანუაშვილის მისამართით.

უთარილო.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, დანერილი ვანო ნანუაშვილის ხელით, 1 ც.

65. საკრედიტო ოფისის სესხზე ხელმოწერი პირის იურიდიული პასუხისმგებლობები.

უთარილო.

ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ხელს აწერს ვანო ნანუაშვილი, 1 ფ.

66. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული სოციალური დაცვის ბარათი.

უთარილო.

სტამბურად ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ვანო ნანუაშვილის ხელმოწერით, 1 ც.

67. ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული საავადმყოფოს ბარათი.

უთარილო.

სტამბურად ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ც.

68. ივანე ნანუაშვილის მისამართებისა და ტელეფონის ნომრების წიგნაკი.

უთარილო.

ინგლისურ ენაზე, 77 ფ.

69. ივანე ნანუაშვილის მისამართებისა და ტელეფონის ნომრების წიგნაკი.

უთარილო.

ინგლისურ ენაზე, 51 ფ.

70. ივანე ნანუაშვილის მისამართებისა და ტელეფონის ნომრების წიგნაკი.

უთარილო.

ინგლისურ ენაზე, 54 ფ.

71. ივანე ნანუაშვილის მიერ შედგენილი აშშ-ში არსებული ან-ტიბოლშევიკური ორგანიზაციების, ედვარდ დერვინსკისა და ლევ დობრიანსკის მისამართები.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორ ეგზემპლარად, კალკაზე, 2 ფ.

72. სხვადასხვა პირის მისამართები და ტელეფონის ნომრები, ამოღებული [ვანო ნანუაშვილის მიერ] მისამართებისა და ტელეფონების წიგნიდან.

უთარილო.

ინგლისურ ენაზე, 76 ც.

73. სხვადასხვა პირის მისამართები და ტელეფონის ნომრები, შეგროვებული ვანო ნანუაშვილის მიერ.

უთარილო.

ინგლისურ ენაზე, 45 ც.

74. სხვადასხვა პირის მისამართი, ჩანერილი ვანო ნანუაშვილის მიერ.

უთარილო.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ლურჯი და წითელი მელნით, 1-3 ფურცლები მცირე ზომის, 4 ფ.

75. ივანე ნანუაშვილის სავიზიტო ბარათები.

უთარილო, ქართულ და ინგლისურ ენებზე, 10 ც.

76. ივანე ნანუაშვილის მიერ დაწერილი დაშიფრული სიტყვების შესატყვისები.

უთარილო.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

ფოტომასალა

77. ივანე ნანუაშვილის პორტრეტი.

უთარილო, გრაფიკა, 1 ც.

78. ივანე ნანუაშვილის ფოტოპორტრეტები.

1943 წ. 20 მარტი, 3 ფოტო.

79. ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად.

1950 წ. 12-14 ივნისი, ედინბურგი, 1 ფოტო, აქვს მინანერი და შტამპი: The Scottish League for European Freedom.

80. ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად.

1950 წ. ოქტომბერი, 3 ფოტო.

№№1,2 – აქვს მინანერი.

ვანო ნანუაშვილი 1-ელ და მე-2 ფოტოებზე მარჯვნიდან პირველი.

81. ივანე ნანუაშვილი უცნობ ქალბატონთან (ვერა) ერთად.

1951 წ. ლონდონი.

აქვს მინანერი: „კარგად მახსოვს ეს დღე. Ś.P. Andrzej ამ დროს ცოცხალი იყო“, პოლონურ ენაზე, 1 ფოტო.

82. ივანე ნანუაშვილის ფოტოპორტრეტი.

- 1956 წ. 27 ივნისი, ბოსტონი, 1 ფოტო.
- 83.** ივანე ნანუაშვილის ფოტოპორტრეტები.
1960 წ. 7 ივნისი, სან-ფრანცისკო.
შავ-თეთრი, 4 ფოტო.
- 84.** ივანე ნანუაშვილი უცნობ პირთან ერთად.
1963 წ. ივლისი, 1 ფოტო.
- 85.** ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად.
1968 წ. კალიფორნია, 1 ფოტო.
ფოტოს აქვს ქსენია დ.-ს მიერ გაკეთებული მინაწერი, რუსულ ენაზე, ფოტო ამოღებულია ალბომის მე-17 გვერდიდან.
- 86.** ივანე ნანუაშვილი უცნობ პირთან ერთად.
1968 წ. ნიუ-იორკი, 2 ფოტო, აქვს მიძღვნილი წარწერა, ფოტო ამოღებულია ფოტოალბომის მე-12 გვერდიდან.
- 87.** ივანე ნანუაშვილი ისმაილ აბაშიძესა და უცნობ ქალბატონთან ერთად. მარცხნიდან: ისმაილ აბაშიძე, უცნობი, ვანო ნანუაშვილი.
1969 წ. 6 მაისი, 1 ფოტო.
- 88.** ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად.
1972 წ. ლოს-ანჯელესი, 1 ფოტო, აქვს მინაწერი, ფოტო ამოღებულია ფოტოალბომის მე-14 გვერდიდან.
- 89.** ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად.
1972 წ. სან-ფრანცისკო, 1 ფოტო, აქვს მიძღვნილი წარწერა, ფოტო ამოღებულია ფოტოალბომის მე-17 გვერდიდან.
- 90.** ივანე ნანუაშვილი მეგობრებთან ერთად. მარცხნიდან: ალექსანდრე სულხანიშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი, ვანო მაჩაბელი, ა. დანელია, ვანო ნანუაშვილი.
1974 წ. ივნისი, 1 ფოტო.
- 91.** ივანე ნანუაშვილი მეგობრებთან ერთად. მარცხნიდან დგანან: ალექსანდრე მანველიშვილი, ვანო მაჩაბელი, ა. დანელია. სხედან: ვანო ნანუაშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი.

1974 წ. ივნისი, 1 ფოტო.

92. ივანე ნანუაშვილი მეგობრებთან ერთად. მარცხნიდან დგანან: ა. დანელია, ვანო მაჩაბელი, ალექსანდრე მანველიშვილი. სხედან: ვანო ნანუაშვილი, დავით ბებიაშვილი.

1974 წ. ივნისი, 1 ფოტო.

93. ივანე ნანუაშვილის ფოტოალბომი, 68 ფოტო, 3 დოკუმენტი, 20 გვ.

№1-2 – ივანე ნანუაშვილი პოლონეთის სამხედრო ფორმაში, უთარილო.

№3-4 – ივანე ნანუაშვილი „სიმამაცის ჯვრის“ ორდენით შემკულ პოლონეთის სამხედრო ფორმაში, 1945 წ. 10 ივნისი, პოლონეთი.

№5-6 – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუნკრები ემიგრაციაში, უთარილო.

№7 – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუნკრები ემიგრაციაში. ივანე ნანუაშვილი პირველ რიგში, მარჯვნიდან მეორე (?), უთარილო.

№8 – გიორგი კვინიტაძე მეუღლესა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუნკრებთან ერთად აკროპოლისთან. ივანე ნანუაშვილი დგას ზედა რიგში, მარჯვნიდან პირველი (?), [1921 წ. 2 დეკემბერი, ათენი].

№9 – ივანე ნანუაშვილი მოწაფეობის დროს, უთარილო.

№10 – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუნკრები, უთარილო.

№11 – გიორგი კვინიტაძე სამხედრო და სამოქალაქო პირებთან ერთად გემზე, უთარილო.

№12 – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუნკრები. შოთა ნიკოლაძე დგას მარჯვნიდან პირველი (?). აქვს მინანერი: „სახსოვრად [შო]თა ნიკოლაძე“, 1921 წ. 18 სექტემბერი, ათენი.

№13-14 – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუნკრები, უთარილო.

№15 – ქაქუჩა ჩოლოყაშვილი და გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე პოლონეთის არმიის ქართველ კონტრაქტორებსა და სამოქალაქო პირებთან ერთად. ქაქუჩა ჩოლოყაშვილი ზის მარცხნიდან მეორე; ალექსანდრე ჩხეიძე ზის მარჯვნიდან პირველი; სიმონ აბაშიძე დგას მარცხნიდან პირველი, უთარილო.

- №16 – ივანე ნანუაშვილის სამხედრო მოწმობა. ფოტოპორტრეტით. 1938-1939 წწ., ნაბეჭდი და ხელით შევსებული პოლონურ ენაზე, ბეჭდებით, 4 ფ.
- №17 – უცნობი სამხედრო პირები. ვანო ნანუაშვილი მარჯვნიდან მესამე (?), უთარილო.
- №18 – უცნობი პირი საქართველოს რუკასთან, უთარილო.
- №19 – ივანე ნანუაშვილი (?) სამხედროებთან ერთად, უთარილო.
- №20 – ივანე ნანუაშვილი სამხედრო ფორმაში, უთარილო.
- №21 – ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად. ვანო ნანუაშვილი დგას მარჯვნიდან მეოთხე, უთარილო.
- №22 – ივანე ნანუაშვილი უცნობ სამხედროებთან ერთად. ვანო ნანუაშვილი მარჯვნიდან პირველი, უთარილო.
- №23 – ივანე ნანუაშვილი უცნობ სამხედროებთან ერთად. უთარილო.
- №24 – ივანე ნანუაშვილი უცნობ სამხედრო პირთან ერთად, უთარილო.
- №25 – უცნობი ბავშვი, უთარილო.
- №26 – უცნობი სამხედრო პირი გერმანულ მანქანაში [მეორე მსოფლიო ომის დროს]. ფოტოს ერთვის ინგლისური ანოტაცია "Forced labor in German transport in Italy?". ანოტაცია დაწერილი ფანქრით, თეთრ ფურცელზე, უთარილო.
- №27 – ივანე ნანუაშვილი უცნობ სამხედროებთან ერთად. უთარილო.
- №28 – ივანე ნანუაშვილის ფოტოპორტრეტი, უთარილო.
- №29 – ცნობა წარსადგენი იტალიაში მყოფ მოკავშირეთა ძალებისათვის იმის შესახებ, რომ ამ საბუთის მფლობელმა ფასდაუდებელი დახმარება გაუწია მტრის აღმოჩენაში, რომ ის არის პოლონეთის არმიის კაპიტანი ნანუაშვილი და მისდამი გამოვლენილი თავაზიანობა დაფასებული იქნება. 1944 წ. 4 სექტემბერი, ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ფანქრით.
- №30 – ივანე ნანუაშვილის ფოტოპორტრეტი, უთარილო.
- №31 – უცნობი სამხედრო პირები, უთარილო.
- №32 – ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად. უთარილო.
- №33 – ივანე ნანუაშვილი (?) და უცნობი პირი, უთარილო.
- №34 – ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად. უთარილო.
- №35 – საქართველოს რუკა.
- №36 – უცნობი პირები. ზურგით, სავარაუდოდ, უთარილო.
- №37 – ივანე ნანუაშვილი სამხედრო პირებთან ერთად. უთარილო.
- №38-39 – ივანე ნანუაშვილი უცნობ ქალბატონებთან ერთად, უთარილო.

- №40 – უცნობი პირი, უთარილო.
- №41-42-43 – ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად, უთარილო.
- №44 – უცნობი პირები, უთარილო.
- №45 – უცნობი მამაკაცი, უთარილო.
- №46 – ივანე ნანუაშვილის ფოტოპორტრეტი, უთარილო.
- №47 – კოლა ამილახვარი, უთარილო.
- №48 – უცნობი მამაკაცი, უთარილო.
- №49 – ივანე ნანუაშვილი უცნობ ქალბატონთან ერთად, უთარილო.
- №50 – ივანე ნანუაშვილი და გოგი ჯავახიშვილი უცნობ პირებთან ერთად. მარცხნიდან მეორე გოგი ჯავახიშვილი, მესამე ივანე ნანუაშვილი, უთარილო.
- №51 – ივანე ნანუაშვილი და გოგი ჯავახიშვილი უცნობ პირებთან ერთად. მარცხნიდან პირველი გოგი ჯავახიშვილი, მესამე ივანე ნანუაშვილი, უთარილო.
- №52 – ვანო ნანუაშვილი და ადამ დაბროვა ნინო დაბროვას სახლში. შუაში ზის ვანო ნანუაშვილი, მარჯვნივ დგას ადამ დაბროვა, უთარილო, [ლოს-ანჯელესი].
- №53 – ივანე ნანუაშვილი და გოგი ჯავახიშვილი უცნობ პირებთან ერთად, უთარილო.
- №54 – ივანე ნანუაშვილი და გოგი ჯავახიშვილი უცნობ პირებთან ერთად ნინო დაბროვას სახლში. მარცხნიდან პირველი გოგი ჯავახიშვილი, მეორე ივანე ნანუაშვილი, უთარილო, [ლოს-ანჯელესი].
- №55 – ივანე ნანუაშვილი და გოგი ჯავახიშვილი უცნობ პირებთან ერთად ნინო დაბროვას სახლში. მარჯვნიდან პირველი გოგი ჯავახიშვილი, მეორე ივანე ნანუაშვილი, უთარილო, [ლოს-ანჯელესი].
- №56 – ივანე ნანუაშვილი და გოგი ჯავახიშვილი, უთარილო.
- №57 – ივანე ნანუაშვილი უცნობ პირთან ერთად სუფრაზე, უთარილო.
- №58-59 – ივანე ნანუაშვილი და გოგი ჯავახიშვილი უცნობ ქალბატონებთან ერთად, უთარილო.
- №60 – ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად, უთარილო.
- №61 – ივანე ნანუაშვილი და გოგი ჯავახიშვილი უცნობ ქალბატონებთან ერთად არიზონის დიდ კანიონთან, უთარილო.
- №62 – ივანე ნანუაშვილი და ვახტანგ ჯობაძე, უთარილო.
- №63 – ივანე ნანუაშვილი სამუშაო მაგიდასთან თავის ბინაში, უთარილო.
- №64 – ივანე ნანუაშვილის ფოტოპორტრეტი, უთარილო.

№65-66-67 – ივანე ნანუაშვილის საცხოვრებელი ბინის ინტერიერი სან-ფრანცისკოში, უთარილო.

№68 – ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად, უთარილო.

№69 – ალექსანდრე სულხანიშვილი (?) და ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად. მარცხნიდან პირველი ალექსანდრე სულხანიშვილი (?), მეორე ივანე ნანუაშვილი, უთარილო.

№70-71 დოკუმენტი – "Angell Memorial Animal Hospital"-ის თანამშრომლის, ლოურენს ბლაკელის (Lawrence Blakely), გამოსამშვიდობებელი წერილი ივანე ნანუაშვილს, მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

94. სან-ფრანცისკოს ქართველების სახელით დავით ბებიაშვილის მიერ ივანე ნანუაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შედგენილი მემორიალური ფოტოალბომი.

22 ფოტო და 6 დოკუმენტი.

№1. „სერბეთის ეროვნული კომიტეტის“ სამძიმრის დეპეშა, 1975 წ. 19 აგვისტო.

№2. სამძიმრის დეპეშა გაგზავნილი ჯორჯ რადოიევიჩის (George Radoyevich), იან მორელესკის (Jan Morelewski), პიოტრ ჰარცაის (Piotr Harcaj) მიერ, 1975 წ. 22 აგვისტო.

№3. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

№4. ფოტო. მარცხნიდან ალექსანდრე სულხანიშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი, ვანო მაჩაბელი, ა. დანელია, ივანე ნანუაშვილი.

№5. ფოტო. მარცხნიდან დავით ბებიაშვილი, ივანე ნანუაშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, ვანო მაჩაბელი.

№6. ფოტო. მარცხნიდან ალექსანდრე მანველიშვილი, ივანე ნანუაშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, ვანო მაჩაბელი.

№7. ფოტო. მარცხნიდან ალექსანდრე სულხანიშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი, ვანო მაჩაბელი, ა. დანელია, ივანე ნანუაშვილი.

№8. ფოტო. დავით ბებიაშვილი გარდაცვლილი ივანე ნანუაშვილის ნეშტთან.

№9. ფოტო. მარცხნიდან დგანან: ალ. დანელია, ვანო მაჩაბელი, ალექსანდრე მანველიშვილი, სხედან: ივანე ნანუაშვილი, დავით ბებიაშვილი.

№10. ფოტო. მარცხნიდან დავით ბებიაშვილი, ივანე ნანუაშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, ვანო მაჩაბელი.

- №11. ფოტო. მარცხნიდან ალექსანდრე სულხანიშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი, ვანო მაჩაბელი, ა. დანელია, ივანე ნანუაშვილი.
- №12. ფოტო. მარცხნიდან დავით ბეზიაშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, ვანო მაჩაბელი, ა. დანელია, ივანე ნანუაშვილი.
- №13. ფოტო. ვანო მაჩაბელი, დავით ბეზიაშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, ივანე ნანუაშვილი.
- №14. ფოტო. მარცხნიდან ალექსანდრე მანველიშვილი, ივანე ნანუაშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, ვანო მაჩაბელი.
- №15. ფოტო. უცნობი მამაკაცი ივანე ნანუაშვილის დაკრძალვაზე.
- №16. ფოტო. დავით ბეზიაშვილი გარდაცვლილი ივანე ნანუაშვილის ნეშტთან.
- №№17-18. ფოტო. გარდაცვლილი ივანე ნანუაშვილი სასახლეში.
- №19. ფოტო. ვანო მაჩაბელი გარდაცვლილი ივანე ნანუაშვილის ნეშტთან.
- №20. ფოტო. ალექსანდრე სულხანიშვილი გარდაცვლილი ივანე ნანუაშვილის ნეშტთან.
- №№21-22-24. ივანე ნანუაშვილის დაკრძალვის ფოტოები.
- №23. ივანე ნანუაშვილის საფლავის ფოტო.
- №25. ფოტო. უცნობი პირი ივანე ნანუაშვილის საფლავთან.
- №№26-27-28. ივანე ნანუაშვილის ნეკროლოგები, რუსულ და პოლონურ ენებზე.

95. ივანე ნანუაშვილის ფოტოპორტრეტი.

უთარილო, 1 ფოტო.

96. ივანე ნანუაშვილის ფოტოპორტრეტები.

უთარილო, 2 ფოტო.

97. ივანე ნანუაშვილის ფოტოპორტრეტები.

უთარილო, 4 ფოტო.

98. ივანე ნანუაშვილის ფოტოპორტრეტები.

უთარილო, 2 ფოტო.

99. ივანე ნანუაშვილი სამხედრო ფორმაში უცნობ პირებთან ერთად.

უთარილო, 7 ფოტო.

100. ივანე ნანუაშვილი სამხედრო ფორმაში უცნობ პირებთან ერთად.

უთარილო, 1 ფოტო.

101. ივანე ნანუაშვილი სამხედრო ფორმაში.

უთარილი, 1 ფოტო.

102. ივანე ნანუაშვილი სამხედრო ფორმაში რუკაზე დაკვირვების დროს. ფოტოზე ჩანს უცნობი მამაკაციც.

უთარილო, 1 ფოტო.

103. ივანე ნანუაშვილი სამუშაო მაგიდასთან.

უთარილო, 1 ფოტო.

104. ივანე ნანუაშვილი სახლის წინ.

უთარილო, 1 ფოტო.

105. ივანე ნანუაშვილი გრიგოლ კორძაიასა და უცნობ პირთან ერთად. მარჯვნიდან ვანო ნანუაშვილი, გრიგოლ კორძაია და უცნობი პირი.

უთარილო, 1 ფოტო.

106. ივანე ნანუაშვილი ისმაილ აბაშიძესა და ორ უცნობ პირთან ერთად.

უთარილო, 1 ფოტო.

მარცხნიდან უცნობი მამაკაცი, უცნობი ქალბატონი, ვანო ნანუაშვილი, ისმაილ აბაშიძე.

107. ივანე ნანუაშვილი ა. დანელიასა (?) და უცნობ ქალბატონთან ერთად.

უთარილო, 1 ფოტო.

მარცხნიდან ა. დანელია (?), უცნობი, ვანო ნანუაშვილი.

108. ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად.

უთარილო, 1 ფოტო, აქვს მიძღვნილი წარწერა, ფოტო ამოღებულია ფოტოალბომის მე-15 გვერდიდან.

109. ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად.

უთარილო, 6 ფოტო.

110. ივანე ნანუაშვილი და გოგი ჯავახიშვილი (?) უცნობ პირთან ერთად.

უთარილო, 4 ფოტო.

№№1,2 – მარჯვნიდან ივანე ნანუაშვილი, უცნობი, გოგი ჯავახიშვილი.

№3 – მარცხნიდან გოგი ჯავახიშვილი (?), ივანე ნანუაშვილი, უცნობი პირი.

№4 – მარჯვნიდან გოგი ჯავახიშვილი (?), ივანე ნანუაშვილი, უცნობი.

111. ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად.

უთარილო, 2 ფოტო.

112. ივანე ნანუაშვილი უცნობ პირებთან ერთად.

უთარილო, 2 ფოტო.

113. ივანე ნანუაშვილი და გოგი ჯავახიშვილი უცნობ პირებთან ერთად.

უთარილო, 1 ფოტო.

მარცხნიდან ივანე ნანუაშვილი, გოგი ჯავახიშვილი.

114. ივანე ნანუაშვილი უცნობ ქალბატონთან ერთად.

უთარილო, 1 ფოტო.

115. ივანე ნანუაშვილი (მარჯვნიდან პირველი) უცნობ პირებთან ერთად.

უთარილო, 1 ფოტო.

აქვს მინაწერი ინგლისურად: „მარცხნიდან მეორე ქართველი მხატვარი არგენტინიდან Willy's Drieud. ორივე ცხოვრობდა ლ[ოს]-ა[ნჯე]-ლესში“.

116. ივანე ნანუაშვილი უცნობ სამოქალაქო და სასულიერო პირებთან ერთად.

უთარილო, 1 ფოტო.

117. ნეგატივები. სხვადასხვა ზომის, 5ც.

№1. ივანე ნანუაშვილი სამუშაო მაგიდასთან და მისი სამუშაო ოთახი;
№2-3 ივანე ნანუაშვილის საცხოვრებელი სახლის ინტერიერი; №4.
ივანე ნანუაშვილი; №5. ივანე ნანუაშვილი სამხედრო პირებთან ერ-
თად. 1, 2 და 3 ნეგატივები მცირე ზომის კონვერტში დევს.

II. საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

ივანე ნანუაშვილის პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული მასალა

118. ივანე ნანუაშვილის განცხადება სამხედრო კავშირის გამგეობასა და თავმჯდომარეს. სთხოვს გაათავისუფლონ სამხედრო კავშირში დაკავებული თანამდებობისა და ვალდებულებებისგან, რადგან, როგორც სამხედრო კავშირის წევრი, ვერ იღებს მონაწილეობას ქართული ემიგრაციის პოლიტიკური გაერთიანების პროცესში.

1950 წ. 30 დეკემბერი, ლონდონი.

ავტოგრაფი, შავი მელნით და ფანქრით, ორ-ორი ეგზემპლარი, 1 ფ.

119. ივანე ნანუაშვილის ანგარიში. ეხება [ალექსანდრე] კერენსკის პოლიტიკას საბჭოთა ბლოკის ერებთან დაკავშირებით.

1951 წ. 25 სექტემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, აქვს მინანური: „გადავაგზავნე 25.9.51“, 2 ფ.

120. „ამერიკის უკრაინული კონგრესის კომიტეტის“ ("Ukrainian Congress Committee of America") აღმასრულებელი დირექტორისა და ნიუ-იორკის შტატის ასამბლეის წევრ სტეფან ჯარემას (Stephen J. Jarema) მოწვევა საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკულ საბჭოს. იწვევს უკრაინის ეროვნულ ყრილობაზე და სთხოვს, გაუგზავნონ წარმომადგენლების სია.

1955 წ. 22 მაისი, ნიუ-იორკი-დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, აქვს მინაწერი ქართულად ვანო ნანუაშვილის ხელით, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

121. ივანე ნანუაშვილი, „განცხადება თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“.

1957 წ. იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, 3 ფ.

122. ივანე ნანუაშვილის წერილი ევროპის განთავისუფლების შოტლანდიური ლიგის სამდივნოს. აცნობებს, რომ დაარსდა „საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკული კომიტეტი“. აცყობინებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე – რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“.

1957 წ. 11 ივლისი, დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, 1 ფ.

პირი: ჯონ სტიუარტი (John F. Stewart).

123. აშშ-ში მყოფი სამხედრო კავშირის წევრების წერილი ი. კიკნაძეს. აცყობინებენ კრებაზე მიღებული დადგენილების შესახებ.

1957 წ. 24 ივლისი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, დაწერილი გენერალური მდივნის, ვანო ნანუაშვილის ხელით, 1 ფ.

პირი: ვახტანგ აბაშიძე.

124. აშშ-ში ქართული ასოციაციის მიერ ივანე ნანუაშვილისთვის გაგზავნილი შეტყობინება. აცნობებენ, რომ უგზავნიან შემოწირულობის ქვითარს. მაღლობას უხდიან ფულადი დახმარებისთვის.

1958 წ. 29 ნოემბერი, ნიუ-იორკი.

ნაბეჭდი, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ახლავს თეიმურაზ ბაგრატიონისა და გიორგი დონაურის ფაქსიმილე და პეტრე ხვედელიძის ხელმოწერა, ასევე – აშშ-ში ქართული ასოციაციის ბეჭედი, 1 ფ.

125. ივანე ნანუაშვილის მისალმება და მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს 1960 წლის 28 თებერვლის საერთო კრებას.

1960 წ. 21 თებერვალი, ბოსტონი.

ავტოგრაფის ასლი, 4 ფ.

126. აშშ-ში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის, ო[თარ] ზალდასტანის (ზალდასტანიშვილის) განცხადება კრების მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ. განცხადებას ერთვის აშშ-ში არსებული ქართული სათვისტომოს კონსტიტუცია და წესდება.

1960 წ. 25 მარტი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ახლავს ვ. ნანუაშვილის მინაწერები/შენიშვნები წითელი ფანქრით, 9 ფ.

127. ივანე ნანუაშვილის განცხადება ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს გამგეობას. სთხოვს, რომ დაუბრუნოს „ქართული სახლის“ აშენებისთვის შეწირული თანხა.

1961 წ. 23 მარტი, სან-ფრანცისკო.

ავტოგრაფის ასლი, 1 ფ.

128. ივანე ნანუაშვილის წერილი რადიო „ამერიკის ხმას“. აცნობებს, რომ წარმატებით გაიარა რადიოს ქართულ განყოფილებაში მთარგმნელის ვაკანტური თანამდებობის დაკავებისთვის ყველა საჭირო საფეხური, თუმცა საბოლოო გადანაცვლებების შესახებ შეტყობინება არ მიუღია.

1962 წ. 18 ნოემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ეგზემპლარი, ერთ ეგზემპლარს წითელი მელნით მიწერილი აქვს: „გაიგზავნა 11/18“, 2 ფ.

129. ანგარიში პერიოდული ორგანოს (?) – "Le Droit Du Peuple" („ხალხის უფლება“) – გამოცემისთვის საჭირო ხარჯებისა და ვანო ნანუაშვილის მიერ თანხის შეწირულობის შესახებ.

1965 წ. 18 მარტი.

ავტოგრაფი, ბლანკზე, 1 ფ.

130. სან-ფრანცისკოს ქართული კერის განცხადება ივანე ნანუაშვილის ბინაში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების

50 წლისთავის აღსანიშნავი კრების ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ.

1968 წ. 20 მაისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 1 ფ.

პირი: ალ. მანველიშვილი.

131. „ახალგაზრდა ამერიკელები თავისუფლებისთვის“-ის მიერ წარდგენილი პროექტის – „სიცრუის ოსტატები“ ("Masters of Deceit") – ფლერი, გაგზავნილი ივანე ნანუაშვილისთვის.

1970 წ. 17 აპრილი.

სტამბურად ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ახლავს კონვერტი, 1 ც.

132. ივანე ნანუაშვილის წერილი „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტს“ ("National Captive Nations Committee"). აცნობებს, რომ უგზავნის პეტიციას სან-ფრანცისკოს ქართველების ხელმოწერით.

1970 წ. 12 აგვისტო, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

133. „კაზაკ-ამერიკელთა კომიტეტის“ თავმჯდომარის – ვასილი გლაზკოვის (Wasili Glaskow) მიერ ივანე ნანუაშვილისთვის გაგზავნილი მასალები კაზაკების შესახებ. მათ შორისაა აშშ-ის პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის წერილი ვასილი გლაზკოვს და მისი საპასუხო წერილი.

[1970-იანი წწ.]

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ და უკრაინულ ენებზე, ასლები, ახლავს კონვერტი, 6 ფ.

134. ედვარდ დერვინსკის (Edward J. Derwinski) მიერ ივანე ნანუაშვილისთვის გაგზავნილი მასალის ფრაგმენტი, კონვერტი და განცხადება დაპყრობილ ერთა კვირეულის ჩატარების შესახებ.

1970, 1971, 1974 წ.

ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ. 1 კონვერტი.

135. ივანე ნანუაშვილთან გაგზავნილი აშშ-ის კონგრესის ბროშურა "Congressional Record", რომელშიც დაბეჭდილია ედვარდ დერვინსკის (Edward J. Derwinski) შენიშვნები: „ახალი დატყვევებული ერების ზღურბლზე“.

1973 წ. 4 ივნისი.

სტამბურად ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ახლავს კონვერტი, 4 ფ.

136. [ალექსანდრე სულხანიშვილის] წერილი [გივი ზალდასტანიშვილს (ზალდასტანს)]. აცნობებს, რომ ივანე ნანუაშვილის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა პოლიტიკურ წრეებში. აკრიტიკებს იმის გამო, რომ სათვისტომოს 26 მაისის კრებაზე ლევ დობრიანსკის აუკრძალა ივანე ნანუაშვილის სახელის ხსენება. სწერს, რომ ქართველების მცირე ჯგუფმა, ე. წ. „კერამ“, და ვანო ნანუაშვილმა უფრო მეტი გააკეთეს ქართული საკითხისთვის, ვიდრე სათვისტომომ.

1974 წ. 24 სექტემბერი.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი.

ავტოგრაფი – შავი და წითელი მელნით, 4 ფ.

მანქანაზე ნაბეჭდი – აქვს მინაწერი: „დაიგზავნა IX.24.74“, 4 ფ.

პირი: ლევ დობრიანსკი, ლევან ზურაბიშვილი, ნ. ვაჩნაძე, სინჯიკაშვილი, კეკელია, ბარათელი, გაფონია, გ. ჯაყელი, ცომაია.

137. კარლო [ინასარიძის] მიერ ივანე ნანუაშვილისთვის გაგზავნილი რადიო „თავისუფლების“ მასალები თვითგამოცემის შესახებ.

[1974 წ.]

მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, ახლავს მინაწერები, 20 ფ.

138. ივანე ნანუაშვილი, „დოკუმენტი დემეტრაშვილის პიროვნების შესახებ და მისი მოქმედება უკანასკნელი წლების განმავლობაში“.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ნასწორები, 2 ეგზემპლარი, 2 ფ.

პირი: ს. კობიაშვილი, დავით ვაჩნაძე, სოსო გვარამაძე, ვანო ახმეტელი, რეზო გაბაშვილი, ლევან ზურაბიშვილი, სინჯიკაშვილი.

139. ივანე ნანუაშვილის კრიტიკული წერილი „ქართული ემიგრაციის რეაქცია ლომაშვილის ბროშურაზე“ ("Reakcja gruzińskiej emigracji na broszure Lomazwili").

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 5 ფ.

140. ივანე ნანუაშვილის მიერ პარიზის ბიბლიოთეკისთვის გადაცემული წიგნების სია.

უთარილო.

ავტოგრაფი, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, შავი მელნით, 10 ფ.

141. ივანე ნანუაშვილის მიერ შედგენილი გასარკვევი საკითხების ნუსხა.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, კალმით ნასწორები, 1 ფ.

142. ივანე ნანუაშვილის ღია წერილი „ქართული საკითხის ვითარება ამერიკაში“.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 8 ფ.

პირი: პ. მილუკოვი, სუმბათოვი, თ. ბაგრატიონი, ვ. ლომიძე, სიკო კობიაშვილი, კირა ბაქრაძე, გენერალი ნათიშვილი, დათა ვაჩნაძე, დ. შალიკაშვილი, ვიტვიცკი (უკრაინის პრეზიდენტი), სინჯიკაშვილი, ალ-შიბაია, ნოე ცინცაძე, ლ. დუმბაძე, დოლიკ ვაჩნაძე, დემეტრაშვილი. ტოპონიმი: ინგლისი, კვიპროსი, პოლონეთი, მიუნხენი.

143. ივანე ნანუაშვილის წერილი [აშშ-ის სახელმწიფო უწყებას]. აცნობს თავის თავს და სთავაზობს თანამშრომლობას ანტიკომუნისტური საქმიანობის წარმართვაში. სწერს მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებებისა და იმ ქართველი ემიგრანტების შესახებ, რომლებიც, მისი აზრით, კომუნისტებთან თანამშრომლობენ.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ნასწორები, ორ ეგზემპლარად. ერთ ეგზემპლარს პირველ გვერდზე აქვს მინაწერი ქართულად. ახლავს ქართულად დაწერილი მცირე ზომის ფურცელი, 5 ფ.

144. [ივანე ნანუაშვილის] ჩანაწერი „დობრიანსკი“, ჩამოწერილი აქვს საერთო და მიმდინარე პოლიტიკის ტაქტიკური მიზნები.

უთარილო.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, შავი მელნით, 1 ფ.

145. მოსანვევი ივანე ნანუაშვილის სახელზე. იწვევენ ამერიკის პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად, ახლავს წევრობის განაცხადის ფორმა.

უთარილო.

სტამბურად ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 3 ფ.

146. საბერძნეთში მყოფი ქართველი იუნკერების სია.

უთარილო.

ავტოგრაფი, დაწერილი ივანე ნანუაშვილის ხელით, 1 ფ.

პირი: დ. ლალიძე, მ. ლალიძე, ვ. ლალიძე, ნ. აღნიაშვილი, ტ. რატიშვილი, ლ. მახარაძე, პ. აბულაძე, ს. ბალახვანელი, დ. ყიფიანი, მ. ნიკოლაძე, ტ. აფხაიძე, ნ. მათიკაშვილი, ს. კობიაშვილი, ს. აბაშიძე, ი. ლობჟანიძე, პ. თაყაიშვილი, ვ. ციბაძე, ვ. ნანუაშვილი, ნ. ერისთავი, ფ. ნაცვლიშვილი.

147. „სამხედრო კავშირის“ წესდებები.

უთარილო.

ავტოგრაფი და ავტოგრაფის ასლი, ლურჯი და წითელი მელნით, თავჯდომარის, ე. ლოლიძის ხელმოწერით, დაწერილი ივანე ნანუაშვილის ხელით, 8 ფ.

ივანე ნანუაშვილის სხვადასხვა საქმიანობასთან დაკავშირებული მასალა

148. ნიუ-იორკის საფოსტო დეპარტამენტის მიერ ივანე ნანუაშვილის სახელზე გაცემული გზავნილის დაბრუნების ქვითრები.

1951-1952 წწ.

ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 3 ც.

149. ტექნოლოგიურ-ფოტოგრაფიული სამსახურის შეკვეთის ბარათი. ბერტა ჰორნბი (Bertha Hornby) დასაბეჭდად უკვეთს მასალას ვანო ნანუაშვილისთვის.

1956 წ. 15 ოქტომბერი.

ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, 1 ც.

150. ჯონ სპელერის (Jon P[atterson] Speller) წერილი ალექსანდრე მანველიშვილს. აცნობებს, რომ ივანე ნანუაშვილისგან მიიღო ინფორმაცია მისთვის საინტერესო პროექტის შესახებ. სწერს, ვინ არიან აპოლიტიკური ორგანიზაცია „თამარ მეფის ასოციაციის“ წევრები და კონსულტანტები.

1960 წ. 25 იანვარი.

მაჩანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: ნინა ვაჩნაძე, ელიზბარ ვაჩნაძე, ლენა დიასამიძე, ჰერბერტ ჰოვერი, გრიგოლ დიასამიძე, მამა ილია (მელია).

151. ჯონ სპელერის წერილი [წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის მოძღვარს] მამა ი[ლია] მელიას. სწერს, რომ მისი მისამართი მიაწოდა ივანე ნანუაშვილმა. ატყობინებს, რომ ორგანიზაცია „თამარ მეფის ასოციაციის“ მიზანია საქართველოს კულტურის პოპულარიზაცია. სთხოვს მხარდაჭერას ამ მიზნის განხორციელებაში.

1960 წ. 25 იანვარი.

ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, კალკაზე, 1 ფ.

პირი: ნინა ვაჩნაძე, ელიზბარ ვაჩნაძე, ელენე დიასამიძე, გრიგოლ დიასამიძე, ალექსანდრე მანველიშვილი, ჰერბერტ ჰოვერი.

152. ი. მერაბიშვილის წერილი ლევან ზურაბიშვილს. სწერს, რომ უგზავნის ვანო ნანუაშვილის აღმოჩენილ საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების პოლიტიკურ რუკას. აცნობებს, რომ ეს რუკა გამოიცემა და ყველა ქართველს შეეძლება მისი შეძენა. ატყობინებს, რომ მიაკვლიეს ვატიკანის მიერ 1670 წელს ლათინურად გამოცემული ქართული ენის გრამატიკას, რომლის ფოტოასლს გადაიღებენ.

1968 წ. მაისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ახლავს ვანო ნანუაშვილის მიერ გაკეთებული შენიშვნა, წითელი და ლურჯი მელნით, 1 ფ.

პირი: პ[ავლე] სარჯველაძე.

153. უკრაინული ჟურნალის "The Ukrainian Quarterly"-ის რედაქციის შეტყობინება ლადო არველაძეს. აცნობებენ, რომ, რადგან მან არ გადაიხადა ვანო ნანუაშვილისთვის შეკვეთილი ჟურნალების საფასური, იძულებული არიან გადახდის ქვითარი გაუგზავნონ ვანო ნანუაშვილს.

1969 წ. 7 აპრილი, ნიუ-იორკი.

ნაბეჭდი, უკრაინულ ენაზე, ახლავს ქვითარი, ხელმოწერით, 2 ფ.

154. [Crown Zellerbach]-ის შენობაში გამართული ლურსმული და იეროგლიფური გამოფენიდან გადმოწერილი ტექსტი.

1969 წ.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ახლავს ვანო ნანუაშვილის მიერ დაწერილი განმარტებითი ხასიათის ტექსტი, ქართულ და ინგლისურ ენებზე, 2 ფ.

155. ივანე ნანუაშვილის მიერ გამომცემლობა "Vantage Press"-ისთვის გაგზავნილი ფოსტის ქვითარი.

1972 წ. ნოემბერი.

ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

156. ივანე ნანუაშვილის გზავნილის სარეგისტრაციო ქვითარი.

1974 წ. 4 მარტი.

ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, 1 ც.

157. უცნობი პირის წერილი უცნობისადმი, სთხოვს მიაწოდოს ინფორმაცია [ივანე ნანუაშვილის] შესახებ, რომელიც გარკვეული პერიოდი სტუმრობდა მათ.

უთარილო.

ავტოგრაფი, იტალიურ ენაზე, ბარათზე, 1 ც.

158. ბანკნოტების, მარკებისა და ილუსტრაციების ალბომი. სა-ვარაუდოდ, შედგენილია ივანე ნანუაშვილის მიერ.

გვ. 1 – ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები: 1-მანეთიანი, 3-მანეთიანი, 5-მანეთიანი, 10-მანეთიანი, 50-მანეთიანი, 100-მანეთიანი, 250-მანეთიანი კუპიურები.

გვ. 2 – 1. ლევან ზურაბიშვილის საშობაო და საახალწლო მისალოცი ფლერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით. 1951 წ. 14 დეკემბერი, ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე; 2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონი – 500-მანეთიანი კუპიურა.

გვ. 3 – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები: 50 კაპიკი, 1-მანეთიანი, 3-მანეთიანი, 5-მანეთიანი, 10-მანეთიანი, 50-მანეთიანი, 100-მანეთიანი, 1000-მანეთიანი კუპიურები;

გვ. 4 – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონი: 5000-მანეთიანი კუპიურა; საქართველოს [სს] რესპუბლიკის ბონი: 10.000-მანეთიანი კუპიურა; საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ბანკის ობლიგაცია.

გვ. 5 – ამიერკავკასიის სსრ ფედერაციის ბანკნოტები: 10.000-მანეთიანი, 25.000-მანეთიანი, 50.000-მანეთიანი კუპიურები.

გვ. 6 – ამიერკავკასიის სსრ ფედერაციის ბანკნოტები: 100.000-მანეთიანი, 10.000.000-მანეთიანი კუპიურები.

გვ. 7 – ზევდან პირველი რიგი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მარკები (9 ც.); მეორე რიგი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთი საღერბო მარკა და ბათუმის ფოსტის მარკები (8 ც. მათ შორის ორი ბრიტანული ოკუპაციის); მესამე რიგი: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მარკები (9 ც.); მეოთხე რიგი: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მარკები (9 ც.); მეხუთე რიგი: ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მარკები (8 ც.); მეექვსე რიგი: ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მარკები

(7 ც.); მეშვიდე-მერვე რიგი: სსრკ-ის მარკები (7 ც.), საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მარკა (1 ც.), ტარიელის ილუსტრაცია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“.

გვ. 7v – ნ. მუსხელის ორი ეთნოგრაფიული ილუსტრაცია.

გვ. 8 – გიორგი სააკაძის ილუსტრაცია; კოშკის ილუსტრაცია; ლელა ბაჩელის ილუსტრაცია ვაჟა-ფშაველას პოემიდან „ბახტრიონი“.

გვ. 8v – ნ. მუსხელის ეთნოგრაფიული ილუსტრაცია.

III. შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

ივანე ნანუაშვილის ნაშრომები

159. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „საქართველო და კავკასია მომავალ ომში“ ("Gruzja i Kaukaz w nadchodzącej wojnie").

1948 წ. 22 ივლისი, ინგლისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ნასწორები, ახლავს 2 კონტურული რუკა, 19 ფ.

160. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „რუსეთი და კავკასიის ხალხები“ ("Rosja a narody kaukaskie").

1949 წ. ლონდონი.

ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 9 ფ.

161. ივანე ნანუაშვილის უსათაურო ნაშრომი საქართველოს განთავისუფლების შესახებ.

1951 წ. 15 სექტემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, აქვს მინანერი ლურჯი მელნით: „15 Sept. 1951“, 3 ფ.

162. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „რუსეთი კავკასიის ხალხთა პირისპირ“ ("Russia Versus Caucasian Peoples").

1951 წ. დეკემბერი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, თავნაკლული, ნასწორები, 13 ფ.

163. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „მსოფლიო წონასწორობა“ ("Równowaga Światowa").

1952 წ.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ნასწორები, ხელმოწერით, 7 ფ.

164. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „რუსეთის ხალხები!“ ("Narody Rosj!").

1952 წ.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ნასწორები, 6 ფ.

165. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „რუსეთის მიერ დამორჩილებული ერების შანსები“ ("Chances of Nations Subjugated by Russia").

1957 წ. 11 აპრილი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 5 ფ.

166. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „მსოფლიო ორი საჯარო გამოსვლის ჩრდილში“ ("The World in The Shadow of Two Speeches").

1957 წ. სექტემბერი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 11 ფ.

167. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი რუსეთის ისტორიის შესახებ.

1958 წ. სექტემბერი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, შავი, წითელი და ლურჯი მელნით, თავნაკული, 5-8 ფურცლები მცირე ზომის, 10 ფ.

168. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „ცივი ომის ფრონტიდან“.

1959 წ. მაისი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, კალკაზე, 10-11 ფურცლები მცირე ზომის, 11 ფ.

169. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „ცივი ომის ფრონტიდან“.

1959 წ. მაისი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, შავი, ლურჯი და წითელი მელნით, 17 მცირე ზომის, 17 ფ.

170. ივანე ნანუაშვილი, „წინასიტყვაობის მაგიერ“. დაწერილი 1956 წელს, ინგლისურად თარგმნილი და დაბეჭდილი წიგნის ახალი გამოცემისთვის.

[1961 წ.]

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ნასწორები, 6 ფ.

171. ივანე ნანუაშვილი, „წინასიტყვაობა“, დაწერილი 1956 წელს, ინგლისურად თარგმნილი და დაბეჭდილი წიგნის ახალი გამოცემისთვის.

[1961 წ.]

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ნასწორები, ფ. 9-კალკა, 9 ფ.

172. ივანე ნანუაშვილის ნაშრომის ფრაგმენტი.

1963 წ. მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ნასწორები, 2 ფ.

173. ნაწყვეტები ივანე ნანუაშვილის ნაშრომიდან „საბჭოთა კავშირის სიძლიერე და სისუსტე“ ("The Strength and The Weakness of Russia").

1963 წ. 17 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ეგზემპლარი, ხელმოწერით, 6 ფ.

174. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „დაპყრობილი ერების ბრძოლის ქართული ეპიზოდი აშშ-ში“ ("Odcinek Gruzinski Walki Narodow Ujarzmionych w U.S.A.").

1966 წ. 22 თებერვალი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 16 ფ.

175. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „ლენინი და ეროვნებათა საკითხი“ ("Lenin and The Question of Nationalities"), „სან ფრანცისკოს ქართული კერა“, №4, იანვარი, 1968.

1968 წ. იანვარი, [სან-ფრანცისკო].

მანქანაზე ნაბეჭდი, ქართულ და ინგლისურ ენებზე, 36 ფ. და 1 თავ-ფურცელი.

176. ივანე ნანუაშვილის ნაშრომის ბოლო ორი ფურცელი, დაბეჭდილი ჟურნალ „სან ფრანცისკოს ქართულ კერაში“.

1969 წ. დეკემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრაგმენტი, 3 ფ.

177. გაზეთში დაბეჭდილი განცხადება ნიუ-იორკის წიგნის გამომცემლობის ავტორებთან შეხვედრის შესახებ. ახლავს ივანე ნანუაშვილის ნაშრომების ნუსხა.

1971 წ. აგვისტო.

სტამბურად ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ და ქართულ ენებზე, 2 ფ.

178. ივანე ნანუაშვილის ნარკვევი „უკანასკნელი იმპერიის აღსასრული“¹ ("The Twilight of The Last Empire"), „სან ფრანცისკოს ქართული კერა“, №7-8, სექტემბერი, 1971.

1971 წ. სექტემბერი, [სან-ფრანცისკო].

მანქანაზე ნაბეჭდი, ქართულ და ინგლისურ ენებზე, 87 ფ. და 1 თავ-ფურცელი.

179. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „ახლო აღმოსავლეთი“ ("The Middle East").

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, ნასწორები, ახლავს ახლო აღმოსავლეთის კონტურული რუკა, 11 ფ.

180. [ივანე ნანუაშვილის] ნაშრომი „ახლო აღმოსავლეთი“ ("Bliski Wschod").

უთარილო.

ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, ნასწორები, ლურჯი და წითელი მელნით, ქართული ჩანართებით, შავი, 5 ფ.

181. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „დამორჩილებული ერების საბრძოლო პოტენციალი“ ("The War-Potentiality of Subjugated Nations").

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 13 ფ.

¹ ნაშრომის ქართული ვერსია ასეა დასათაურებული.

182. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „დამორჩილებული ერები. მათი მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკაში“ ("The Subjugated Nations. Their significance in world's policy").

უთარილო.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, შავი, ლურჯი და წითელი მელნით, 5 ფ.

183. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „გლობალური ბალანსი“.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ნასწორები, 7 ფ.

184. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „კომუნიზმთან ბრძოლის კოორდინაცია“ ("Koordinacja Walki Z Komunizmem").

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ნასწორები, 13 ფ.

185. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „მონინალმდეგის ძალების ოპერატიული გაანგარიშება“ ("The Adversaries Operational Calculation of Forces"; "Operacyjne Mozliwosci Przeciwnikow").

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ და პოლონურ ენებზე, აქვს მინანქრები ფანქრით, 35 ფ.

186. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „მსოფლიოს მიმდინარე საერთაშორისო მდგომარეობის სამხედრო ანალიზი“ ("The Military Analysis of Word's Current International Situation").

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, ხელმოწერით, 5 ფ.

187. [ივანე ნანუაშვილის] ნაშრომი „მსოფლიო ორი საჯარო გამოსვლის ჩრდილში“ ("The World in the Shadow of two Speeches").

უთარილო.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, შავი პირი, ლურჯი და წითელი მელნით, ფანქრით ნაწერი, 9 ფ.

188. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „მსოფლიოს ძალთა განწყობილება და დაპყრობილი ერების პოლიტიკური პოტენციალი“.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 30 ფ.

189. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „ნახევარი საუკუნის შემდეგ“.

უთარილო.

ავტოგრაფი, ლურჯი და წითელი მელნით, შავი, ბოლონაკლული, 5 ფ.

190. [ივანე ნანუაშვილის] ნაშრომის ერთ-ერთი თავის – „ომის შემდგომი საქართველოს მიზნები და კავკასია“ ("Cele Powojenne Gruzji i Kaukazu") – ფრაგმენტი.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

191. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „რუსეთის აქტიური და პასიური ელემენტები და ძალაუფლება“ ("The Active and Passive Elements of Russia and Power").

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ტექსტი მცირედით სხვაობს მისი ნაშრომისგან „აქტიური და პასიური ელემენტები“, 17 ფ.

192. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „რუსეთის ერები“.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ნასწორები, 6 ფ.

193. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „რუსეთის სიძლიერე და სისუსტე“.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 36-ე ფურცელი მცირე ზომის, 36 ფ.

194. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „რუსეთის სიძლიერე და სისუსტე“ ("The Strength and The Weakness of Russia").

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 19 ფ.

195. ივანე ნანუაშვილის ნაშრომის „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ გაგრძელება „აქტიური და პასიური ელემენტები“ ("The Active and Passive Elements").

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 22 ფ. 1 თავფურცელი, სულ 23 ფ.

196. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „უკანასკნელი იმპერიის აღსასრული“ ("The Twilight of The Last Empire").

უთარილო.

ავტოგრაფი, შავი პირი, ლურჯი და წითელი მელნით, ინგლისურ ენაზე, 47 ფ.

197. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი „ფსიქოლოგიური ომი“ ("Wojna Psychologiczna").

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 10 ფ.

198. [ივანე ნანუაშვილის] ნაშრომი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

უთარილო.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, შავი, ლურჯი და წითელი მელნით, თავნაკლული, 4 ფ.

199. ივანე ნანუაშვილის უსათაურო ნაშრომი რუსეთის სამოქალაქო ომის და კომუნიზმის მიზნების შესახებ.

უთარილო.

ავტოგრაფი, ლურჯი და წითელი მელნით, თავნაკლული, შავი, 14 ფ.

200. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი რუსეთის იმპერიაში შემავალი დაპყრობილი ერების შესახებ.

უთარილო.

ავტოგრაფი, ლურჯი და წითელი მელნით, თავნაკლული, შავი, 14 ფ.

201. ივანე ნანუაშვილის ნაშრომი რუსეთის იმპერიისა და დაპყრობილი ერების ურთიერთმიმართების შესახებ.

უთარილო.

ავტოგრაფი, ლურჯი და წითელი მეღვინით, თავბოლონაკლული, შავი, 5 და 11 ფურცლები მცირე ზომის, 12 ფ.

202. [ივანე ნანუაშვილის] ნაშრომი მიმდინარე გეოპოლიტიკური საკითხების შესახებ.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ნასწორები, თავნაკლული, 8 ფ.

203. ფრაგმენტი [ივანე ნანუაშვილის] ნაშრომიდან.

უთარილო.

ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

204. ფრაგმენტები [ივანე ნანუაშვილის] სხვადასხვა ნაშრომიდან.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ფ. 2 დაზიანებული, 7 ფ.

205. [ივანე ნანუაშვილის] პუბლიცისტური წერილი კომუნისტური რევოლუციის 50 წლისთავის, კომუნისტური პროპაგანდისა და დაპყრობილი ერების განთავისუფლების შესახებ.

უთარილო.

ავტოგრაფი, შავი, უსათაურო, 2 ფ.

206. [ივანე ნანუაშვილის] წიგნი „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 480 ფ.

207. [ივანე ნანუაშვილის] მიერ მომზადებული წიგნში ჩასართავი რუკები და რუკების ნუსხა.

უთარილო.

ავტოგრაფი და ნაბეჭდი, ინგლისურ და რუსულ ენებზე, ახლავს 3 რუკა. 7 ფ.

რუკები – კალკაზე, ბრძოლის მიმართულებები დატანილია ხელით.

208. გეგმა შედგენილი ივანე ნანუაშვილის მიერ ნაშრომისთვის „საქართველოს დაპყრობა“.

უთარილო.

ავტოგრაფი, შავი, ლურჯი და წითელი მელნით, 7 ფ.

209. [ივანე ნანუაშვილის] ნაშრომის – „მონინაალმდეგის ოპერატიული შესაძლებლობები“ ("The Adversarie's Operational Possibilities") – სარჩევი.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორ ეგზემპლარად, 2 ფ.

210. ივანე ნანუაშვილის წიგნის „რა უნდა იცოდეს რუსეთის შესახებ ყოველ თითოეულმა თავისუფალ მსოფლიოში“¹ სარჩევი.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 1 ფ.

211. ივანე ნანუაშვილის წიგნის „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ შინაარსი.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ფ. 1 – კალკაზე, 2 ფ.

212. ივანე ნანუაშვილის წიგნის „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ არქიტექტონიკა.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, კალკაზე, ფფ. 2-3 ნასწორებია, 4 ფ.

213. ივანე ნანუაშვილის ნაშრომის „უკანასკნელი იმპერიის აღსასრული“ მონახაზი.

უთარილო.

ავტოგრაფი, ლურჯი და წითელი მელნით, შავი, 4 ფ.

¹ დედანში ასეა დასათაურებული.

214. ივანე ნანუაშვილის წიგნის „ძლიერება და უძლურება სს-რკ-ის. რა უნდა იცოდეს რუსეთის შესახებ თავისუფალ მსოფ-ლიოს თითოეულ მცხოვრებმა“ სტრუქტურა.

უთარილო.

ავტოგრაფი, ქართულ და ინგლისურ ენებზე, შავი მელით, 3 ფ.

215. ამონარიდი რუსი სახელმწიფო მოღვაწის, სერგეი ვიტეს, მემუარებიდან „მოგონებები. ნიკოლოზ II-ის მეფობა“, ტომი II, ამონერილი ივანე ნანუაშვილის მიერ.

უთარილო.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, ლურჯი და წითელი მელნით, 1 ფ.

216. ივანე ნანუაშვილის ამონაწერები გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭ-დილი სტატიებიდან.

იქვე გაზეთ "The New York Times"-ში დაბეჭდილი ორი სტატიის ასლი, რომლებსაც აქვს მინაწერები პოლონურ ენაზე ვანო ნან-უაშვილის ხელით.

ამონაწერი – უთარილო, ავტოგრაფი, ქართულ და რუსულ ენებზე, 4 ფ.

სტატიების ასლები – 1956 წ. 7 აპრილი, 8 ოქტომბერი, 3 ფ.

217. ივანე ნანუაშვილის ამონაწერები თსუ-ს შრომებში (1968 წ. №129) დაბეჭდილი ლია ავალიშვილის ნაშრომიდან სტოქსისა და ოსენის განტოლებების შესახებ.

უთარილო.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ნასწორები, 16 ფ.

218. ივანე ნანუაშვილის ჩანაწერი კონგოში განვითარებულ მოვ-ლენებთან დაკავშირებით გაეროში წარმოქმნილი წინააღმდეგო-ბის შესახებ.

უთარილო.

ახლავს უცნობი პირის რეკომენდაციები და ტერმინთა განმარტებები. ავტოგრაფი, შავი და წითელი მელნით, შავი, ფ. 3 მცირე ზომის, 5 ფ.

219. ივანე ნანუაშვილის ჩანაწერი სტატიისთვის „დაპყრობილი ერები“.

უთარილო.

ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, 2 ფ.

220. ივანე ნანუაშვილის სხვადასხვა შინაარსის ჩანაწერი.

უთარილო.

ავტოგრაფი, ქართულ, ინგლისურ, პოლონურ და რუსულ ენებზე, სხვადასხვა ზომის ფურცელი, 11 ფ.

221. [ივანე ნანუაშვილის] ჩანაწერები.

უთარილო.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ლურჯი და წითელი მელნით, 5,11,12,13 ფურცლები მცირე ზომის, 13 ფ.

222. [ივანე ნანუაშვილის] ჩანაწერი „რა უნდა გააკეთოს დასავლეთმა არსებულ სიტუაციაში?“

უთარილო.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

223. ივანე ნანუაშვილის ჩანაწერი რუსთაველის რაინდული კოდექსის შესახებ.

უთარილო.

ავტოგრაფი, 3 ფ.

224. ივანე ნანუაშვილის ჩანაწერები რუსეთისა და საბჭოთა კავშირის შესახებ.

უთარილო.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ნასწორები, მინაწერი ქართულად: „რუსეთი მახლობელ აღმოსავლეთში“, 5 ფ.

225. [ივანე ნანუაშვილის მიერ] ერთ-ერთი წიგნიდან ამოღებული ტექსტები. ეხება საბჭოთა კავშირსა და მეორე მსოფლიო ომში ქართველი ემიგრანტების მონაწილეობის საკითხს.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ფ. 1 – აქვს მინაწერი: "ORIG" (ორიგინალი), 6 ფ.

226. ივანე ნანუაშვილის შენიშვნები დაკაზადონებული ტექსტის შესახებ.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერით, 1 ფ.

227. ივანე ნანუაშვილის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია.

უთარილო.

ავტოგრაფი და ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, შავი, 5 ფ.

228. ივანე ნანუაშვილის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 2 ფ.

229. ფრაგმენტი [1967 წელს გამოცემული] წიგნიდან „ახალგაზრდა სტალინი“ ("The Young Stalin").

უთარილო.

სტამბურად ნაბეჭდის ასლი, ინგლისურ ენაზე, ტექსტი ორ ადგილას წითელი მელნით გახაზულია ივანე ნანუაშვილის მიერ, 2 ფ.

რეცენზიები და გამოხმაურებები ივანე ნანუაშვილის ნაშრომების შესახებ

230. ორგანიზაციის „საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკული საბჭოს“ გამოხმაურება ივანე ნანუაშვილის ნაშრომზე „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ ("The Strength and Weakness of the USSR").

1956 წ. დეკემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

231. ამონარიდი აშშ-ის საჰაერო ძალების კაპიტან ებოტ გრინლიფის (Abbott C. Greenleaf) [ნორმან ფონ] როზენვინგესთან ([Norman von] Rosenvinge) გაგზავნილი წერილიდან. აცნობს თავის მოსაზრებას ვანო ნანუაშვილის ნაშრომის შესახებ.

წერილს ახლავს რეცენზია ვანო ნანუაშვილის წიგნის შესახებ და მისი ნაშრომის ბოლო ორი გვერდი.

1957 წ. 27 ნოემბერი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი, ფ. 4 ნასწორებულია ლურჯი მელნით, 5 ფ.

232. ლევ დობრიანსკის რეცენზია ივანე ნანუაშვილის წიგნზე „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე – რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“, ამონაბეჭდი ჟურნალ "The Ukrainian Quarterly"-დან.

1958 წ. სექტემბერი.

ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ასლი, 4 ფ.

233. ჟურნალ „National Review“-ში 1958 წლის 8 თებერვალს დაბეჭდილი ჯეიმს ბერნჰემის (James Burnham) სტატია „მესამე მსოფლიო ომი. გზა დამასკოდან“ ("The Third World War. The road from Damascus"). სტატიაში ავტორი ეხება ივანე ნანუაშვილის ნაშრომ-

საც – „შუა აღმოსავლეთი და ცივი ომი“ ("The Middle East and the Cold War").

1958 წ.

ქსეროასლი, ინგლისურ ენაზე, ბოლონაკლული, 1 ფ.

234. რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის გადაცემის სკრიპტი ივანე ნანუაშვილის წიგნზე „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“.

1974 წ. 1 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ტექსტი ნასწორებია, 4 ფ.

235. მაიორ ჯონ ჰარდევეის (John S. Hardaway) გამოხმაურება ივანე ნანუაშვილის წიგნზე „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“, დაბეჭდილი ჟურნალ „Military Review“-ში.

1974 წ. ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, 3 ფ.

ივანე ნანუაშვილის ნაშრომებთან დაკავშირებული სხვადასხვა მასალა

236. ლონდონში აშშ-ის საელჩოს საჰაერო ატაშის ასისტენტის პოლკოვნიკ უილიამ კიფერის (William B. Kieffer) შეტყობინება კაპიტან ანდრეუსისა და კაპიტან ნანუაშვილისაგან სამეცნიერო ნაშრომების მიღების შესახებ.

1948 წ. 10 ნოემბერი, ლონდონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

237. ლონდონში აშშ-ის საელჩოს საჰაერო ატაშის ოფისის შეტყობინება იმის შესახებ, რომ პოლკოვნიკ უილიამ კიფერისგან (William B. Kieffer) მიიღეს ივანე ნანუაშვილის ნაშრომები.

1949 წ. 21 იანვარი, ლონდონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, კალკაზე, 1 ფ.

238. ივანე ნანუაშვილის წიგნის „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ შესყიდვის ორდერი.

1954 წ. 26 მარტი.

ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

239. ივანე ნანუაშვილის წერილი წიგნის მაღაზიას "Francis Scott Key Book Shop"-ს. სწერს, რომ მათი თხოვნის საფუძველზე უგზავნის ხელნაწერის „საბჭოთა კავშირის სიძლიერე და სისუსტე“ მესამე ნაწილს. აცნობებს, რომ I, II და IV ნაწილები დაწერილი აქვს ქართულად და პოლონურად. მათი თარგმნის საშუალება არ აქვს.

1954 წ. 2 აპრილი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

240. აშშ-ის საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკარ ვერნონ ტეიტის (Vernon D. Tate) წერილი „საქართველოს დამოუკიდებლობის ამერ-

იკულ საბჭოს“. უდასტურებს ვანო ნანუაშვილის წიგნის „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ მიღებას.

1956 წ. 21 დეკემბერი, მერილენდი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

241. ვ. აბაშიძის წერილი აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს უფროსის მოადგილეს ებოტ უოშბერნს (Abbot Washburne). აცნობებს, რომ უგზავნის ვანო ნანუაშვილის მანქანაზე ნაბეჭდი წიგნს „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“. სთავაზობს, დაინტერესების შემთხვევაში ავტორისგან შეიძინონ უფლება წიგნზე ან წინასწარ იყიდონ რამდენიმე ასეული ეგზემპლარი. ეს მათ საშუალებას მისცემს, წიგნი დაბეჭდონ.

1957 წ. 25 იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

242. უცნობი პირის წერილი საშას (სულხანიშვილს ?). სთხოვს სწრაფად გაუგზავნოს ივანე [ნანუაშვილის] წიგნი.

1957 წ. 3 თებერვალი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, მცირე ზომის ფურცელზე, 1 ფ.

პირი: ვახტანგი.

243. ლონდონის უნივერსიტეტის სლავური და აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი სკოლის ბიბლიოთეკარ ჰ. შურერის (H. Schurer) (?) წერილი [„საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკულ საბჭოს“]. მადლობას უხდის ივანე ნანუაშვილის ნაშრომის „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ გაგზავნისთვის.

1957 წ. 5 თებერვალი, ლონდონი.

მანქანაზე ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, 1 ფ.

244. აშშ-ის საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს თანამშრომლის, ფილიპ [ედვარდ] მოზლის (Philip E[dvard] Mosely), წერილი ვ. აბაშიძეს. აცნობებს, რომ ელოდება ვანო ნანუაშვილის ნაშრომის „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ მიღებას. სწერს, რომ ვანო ნან-

უაშვილს შეუძლია, სტატია გაუგზავნოს რედაქტორ ჰამილტონ არმსტრონგს (Hamilton Fish Armstrong).

1957 წ. 11 თებერვალი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

245. აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს თანამშრომლის ჰოლის ჰოჯეს (Hollis W. Hodges) წერილი [ამერიკის ერთიანობის საერთო საბჭოს ასოცირებულ დირექტორ] იაროსლავ ჩიზის (Yaroslav J. Chyz). მადლობას უხდის წერილისთვის, რომელიც ეხებოდა ივანე ნანუაშვილის წიგნს „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“. აცნობებს, რომ განიხილავენ აღნიშნულ წიგნს და შედეგების შესახებ შეატყობინებენ.

1957 წ. 18 მარტი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდის ასლი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

246. ჩარლზ უიტლოკის (Charles P. Whitlock) წერილი ნორმან ფონ როზენვინგეს (Norman von Rosenvinge). აცნობებს, რომ წაიკითხა ივანე ნანუაშვილის წიგნი. თუმცა განზრახული აქვს, რომ კრუზიზიდან დაბრუნების შემდეგ მას საფუძვლიანად გადახედოს.

1957 წ. 21 ივნისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, 1 ფ.

247. წიგნის მალაზია "Parnassus Book Service"-ის თანამშრომლის, ბენჟამინ მუზის (Benjamin Muse), წერილი „საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკულ საბჭოს“. სთხოვს გაუგზავნონ ივანე ნანუაშვილის წიგნი „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“, ასევე – მათი ორგანიზაციის გამოცემების ნუსხა.

1957 წ. 22 ივლისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

248. ივანე ნანუაშვილის შეტყობინება წიგნის მალაზია "Parnassus Book Service". აცნობებს, რომ მათი თხოვნის საფუძველზე უგზავნის ნაშრომს „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“. ასევე აწვდის პერიოდულ გამოცემას „ჩვენი გზა“.

1957 წ. 30 ივლისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

249. აშშ-ის ეროვნული სამხედრო კოლეჯის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელ ფ. ფიცჯერალდის (F. F. Fitzgerald) წერილი „საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკულ საბჭოს“. აცნობებს, რომ ივანე ნანუაშვილის წიგნი „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე. რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ მათთვის ფასეულ საკითხებს მოიცავს, ამიტომ სთხოვს მიაწოდოს ინფორმაცია, როგორ შეიძლება მიიღონ ერთი ეგზემპლარი ბიბლიოთეკისთვის.

1958 წ. 3 ივნისი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

პირი: ლევ დობრიანსკი (Lev E. Dobtiansky).

250. ალბერტას და იუტას უნივერსიტეტების მიერ ივანე ნანუაშვილის ნაშრომის – „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ – შესყიდვის ორდერი.

1958 წ. 29 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 3 ფ.

251. კანადის ალბერტას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შესყიდვების დეპარტამენტის თანამშრომლის, რ. ჰამილტონის (R. Hamilton), წერილი „საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკულ საბჭოს“. აცნობებს, რომ მიიღეს ივანე ნანუაშვილის წიგნი „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“. სთხოვს, რომ გაუზიარონ წიგნის ინვოისი.

1959 წ. 12 იანვარი, კანადა.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

252. ივანე ნანუაშვილის შეტყობინება კანადის ალბერტას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შესყიდვების დეპარტამენტის თანამშრომელ რ. ჰამილტონს (R. Hamilton). აცნობებს, რომ წიგნი

„სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ არ იყიდება, ავტორი თავად არიგებს მას, შესაბამისად, წიგნი უფასოა.

1959 წ. 2 თებერვალი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

253. ალბერტას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შეტყობინება ივანე ნანუაშვილს. აცნობებს, რომ მიიღეს მისი წიგნი „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ და უნივერსიტეტის სახელით მადლობას უხდის.

1959 წ. 9 თებერვალი.

ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, საფოსტო ბარათზე, ხელმოწერით, 1 ც.

254. ივანე ნანუაშვილის შეტყობინება ალბერტას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. აცნობებს, რომ მისი წიგნი შეცდომით გაეგზავნა შესყიდვების დეპარტამენტს და არა ბიბლიოთეკას.

1959 წ. 12 თებერვალი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: რ. ჰამილტონი.

255. ივანე ნანუაშვილის შეტყობინება აშშ-ის იუტას უნივერსიტეტის შესყიდვების აგენტ ჰ. დინ ეირის (H. Dean Eyre). აცნობებს, რომ მისი წიგნი „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ საჯაროდ ჯერ არ იყიდება, წიგნს ავტორი არიგებს, ამიტომ თანხის გადახდა არ არის საჭირო.

[1959 წ.] 12 თებერვალი, მასაჩუსეტსი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ასლი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

256. აშშ-ის იუტას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლის, ჰელენ ჰარმონის (Helen G. Harmon), შეტყობინება ივანე ნანუაშვილს. მადლობას უხდის, რომ წიგნი – „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ – უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა.

1959 წ. 19 თებერვალი, ლოგანი (იუტას შტატი).

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

257. ადვოკატ ენდრიუ ბოდისკოს (Andrew Bodisco) წერილი გამომცემლობა "Robert Speller and Sons". სთხოვს, დაუბრუნონ ვანო ნანუაშვილის წიგნის ხელნაწერი.

1962 წ. 23 დეკემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

ტოპონიმი: ნიუ-იორკი.

258. გამომცემლობა "Vantage Press"-ის ანგარიში ივანე ნანუაშვილის ნაშრომების – „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ და „სან ფრანცისკოს ქართული კერა“ – წარდგენისა და გაყიდვების ხელშეწყობის შესახებ.

1971 წ. 26 ოქტომბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერებით, 2 ფ.

პირი: მარტინ პირსი (Martin Pierce), მაიკლ პოლვერე (Michael Polvere (?)).

259. გამომცემლობა "Vantage Press"-ის მიერ ივანე ნანუაშვილისთვის გაგზავნილი ფოსტის ბარათი.

1972 წ. ნოემბერი.

ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, აქვს მინაწერი ქართულად ვანო ნანუაშვილის ხელით: „კონტე[ი]ნერი წიგნისთვის. მოვიდა 11.25.72. წიგნი გაიგზავნა 11.27.72“, 1 ც.

260. გამომცემლობა "Vantage Press"-ის მიერ შედგენილი ივანე ნანუაშვილის წიგნის – „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ – პოპულარიზაციისა და წარდგენის ანგარიში.

1973 წ. 4 იანვარი.

ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერებით, 1 ფ.

261. ივანე ნანუაშვილის შეტყობინება გამომცემლობა "Vantage Press"-ს. აცნობებს, რომ თანახმაა შემოთავაზებულ ვადებზე და უგზავნის ხელმოწერილ ხელშეკრულებას.

1973 წ. 16 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

262. ივანე ნანუაშვილის შეტყობინება გამომცემლობა "Vantage Press"-ს. აცნობებს, რომ უგზავნის ხელმოწერილ ხელშეკრულებას. სწერს, რომ გადასახადის ნაწილი დაფარა ამერიკის ბანკის ნიუ-იორკის ფილიალში.

1973 წ. 16 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

263. ივანე ნანუაშვილის წერილი გამომცემლობა "Vantage Press"-ს. სთხოვს, რომ აცნობონ მისი წიგნის – „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ – გამოცემასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულების შესახებ.

1973 წ. 26 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

264. ივანე ნანუაშვილის წერილი გამომცემლობა "Harper & [Row]"-ს. სთხოვს, რომ უფლება დართონ, გამოიყენოს ამონარიდი მათ მიერ გამოცემული წიგნიდან „მოგონებების ლაბირინთი“ ("The Labyrinth Memories") (ავტორი ვალტერ შელენბერგი (Walter Schellenberg)).

1973 წ. 26 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

265. გამომცემლობა "Vantage Press"-ის მიერ ივანე ნანუაშვილისთვის გაგზავნილი ქვითრები მისი წიგნის გამოცემასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის შესახებ.

1973 წ. 28 თებერვალი, 12 აპრილი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ც.

266. გამომცემლობა "Harper & Row" რედაქტორ ჰელენ ლეინის (Helen Lane) წერილი ივანე ნანუაშვილს. აცნობებს, რომ უფლებას აძლევენ, გამოიყენოს ამონარიდი წიგნიდან „მოგონებების ლაბირინთი“ ("The Labyrinth: The Memoris") (ავტორი ვალტერ შელენბერგი. Walter Schellenberg).

1973 წ. 6 მარტი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

267. ივანე ნანუაშვილის შეტყობინება გამომცემლობა "Vantage Press"-ს. აცნობებს, რომ წიგნის საფასურს იხდის. სთხოვს აცნობონ, როდის იქნება მზად მისი წიგნი. ახლავს წიგნის წინასიტყვაობა.

1973 წ. 9 აპრილი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

268. გამომცემლობა "Vantage Press"-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის შეტყობინება [ივანე ნანუაშვილს]. აცნობინებენ, რომ უგზავნიან "The New York Times"-ში დაბეჭდილ განცხადებას მისი წიგნის შესახებ.

[1974 წ. აპრილი].

ახლავს "The New York Times"-ში დაბეჭდილი განცხადების ასლი, მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, 2 ფ.

269. ივანე ნანუაშვილის წერილი გამომცემლობა "Harper & Row" რედაქტორ ჰელენ ლეინს (Helen Lane). მადლობას უხდის ნებართვისთვის გამოიყენოს ამონარიდი მათ მიერ გამოცემული წიგნიდან „მოგონებების ლაბირინთი“ ("The Labyrinth: The Memoris") (ავტორი ვალტერ შელენბერგი. Walter Schellenberg).

1973 წ. 3 მაისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

270. ამერიკის აკადემიის ანალების ბიბლიოგრაფია. ჩამოთვლილ წიგნებს შორის დასახელებულია ივანე ნანუაშვილის წიგნი „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“.

1974 წ. ივლისი.

სტამბურად ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1-ელი და მე-7 ფურცლები მცირე ზომის, მე-5 ფურცელზე ნანუაშვილის ნაშრომი გახაზულია წითელი მელნით, 7 ფ.

271. გამომცემლობა "Vantage Press"-ის მიერ გაგზავნილი ქვითრები ივანე ნანუაშვილთან მისი წიგნის „რა უნდა იცოდეს ყველამ

თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ შეძენასთან დაკავშირებით.

1974 წ.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 4 ც.

272. გამომცემლობა "Vantage Press"-ის მიერ ივანე ნანუაშვილისთვის გაგზავნილი მისი წიგნის ინვოისი.

1975 წ. 16 აპრილი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: რობერტა ჯაულეი (?) (Roberta Jauley).

273. ივანე ნანუაშვილის განცხადება გამომცემლობა "Vantage Press"-ის ოფისმენეჯერს. სთხოვს, გაუგზავნონ მისი წიგნის „რადუნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ 10 ეგზემპლარი.

1975 წ. 3 ივნისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

274. გამომცემლობა "Vantage Press"-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის შეტყობინება [ივანე ნანუაშვილს]. აცნობებს, რომ უგზავნიან მისი წიგნის საავტორო უფლების დამადასტურებელ სერტიფიკატს. ახლავს სერტიფიკატი საავტორო უფლების შესახებ.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, 2 ფ.

275. გამომცემლობა "Vantage Press"-ის შეკვეთების დეპარტამენტის შეთავაზება [ივანე ნანუაშვილს]. შობის დღესასწაულთან დაკავშირებით სთავაზობენ 10-პროცენტიან ფასდაკლებას მის წიგნზე.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

276. გამომცემლობა "Vantage Press"-ის სარეკლამო დეპარტამენტის შეტყობინება ივანე ნანუაშვილის. აცნობებენ, რომ უგზავნიან მის წიგნთან დაკავშირებულ მასალას.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, 1 ფ.

277. ივანე ნანუაშვილის წიგნის – „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ – ანოტაცია და ბიოგრაფიული ცნობები ავტორის შესახებ, შედგენილი ვანო ნანუაშვილის მიერ.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ეგზემპლარად, 2 ფ.

278. ივანე ნანუაშვილის წიგნის – „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ – ფლაერი.

უთარილო.

სტამბურად ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ც.

279. სია იმ პირთა და დაწესებულებათა, რომელთაც გაეგზავნათ [ივანე ნანუაშვილის წიგნი]: აშშ-ის პრეზიდენტი, სენატორები, კონგრესმენები, სახელმწიფო უწყებები, უნივერსიტეტები, კოლეჯები, კონგრესის ბიბლიოთეკა, რედაქტორები.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, მელნითა და ფანქრით, 21 ფ.

280. წიგნში გამოყენებული ციტატებისა და საავტორო უფლებების ინსტრუქცია. ასევე მის მიხედვით ივანე ნანუაშვილის მიერ დაწერილი განმარტებები.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 3 ფ.

IV. მიმონარა

ივანე ნანუაშვილის წერილები სხვადასხვა პირს

აბაშიძეს ლოლა

281. კერძო ხასიათის.

1968 წ. 24 თებერვალი, [სან-ფრანცისკო].

ავტოგრაფი, ბლანკზე, 1 ფ.

პირი: სიმონიკა [აბაშიძე].

აბაშიძე სიმონ

282. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. აცნობებს, რომ უგზავნის სან-ფრანცისკოს ქართველთა ინგლისურ-ქართულენოვან პერიოდულ გამოცემას (რვეული). ატყობინებს, რომ საფრანგეთის იუნკრებსა და გ. კვინიტაძესთან კონტაქტი არ აქვს, სწერს ამის მიზეზს. სთხოვს გაუგზავნოს ჟურნალ „მხედრის“ ნომრები. წუხს, რომ არ შეუძლია წერილები გაგზავნოს საქართველოში.

[1968 წ.]

ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

პირი: ლოლია [ლოლა აბაშიძე], სიმონ კობიაშვილი, კვინიტაძე, კინ-წურაშვილი.

ამორი რობერტ (Robert Amory, Jr.) – აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი.

283. აცნობებს, რომ უგზავნის თავის ბროშურას „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“. სწერს მასში განხილული საკითხების, მათ შორის, ამერიკული საზოგადოებისთვის უცნობი ფაქტების შესახებ.

1957 წ. 4 იანვარი, დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, ხელმოწერით, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

პირი: პროფ. მ. კ. ძიევანოსკი (M. K. Dziewanowski).

284. სთხოვს უფლება მისცენ, ჩავიდეს ვაშინგტონში და პირისპირ შეხვედრისას მიაწოდოს ინფორმაცია იმ საფრთხის შესახებ, რომელიც ემუქრება აშშ-ს.

1957 წ. 17 იანვარი, დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

არველაძე ლადო

285. აკრიტიკებს ზოგიერთი ქმედების გამო; მიიჩნევს, რომ თავისი საქციელით ვნებს საკუთარ თავს.

1956 წ. 30 მაისი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], აბაშიძე, [ისიდორე] გაჟონია, ლეო [დუმბაძე], გივი, ცომაიძე].

286. ეხება ორგანიზაციის შიდა საკითხებს, ნევრებს შორის ურთიერთობას, წინააღმდეგობებს, სწერს თავის შეხედულებებს ორგანიზაციის შესახებ. აცნობებს, რომ ჟურნალი, რომლის გამოცემასაც აპირებენ, ვერ იქნება ორგანიზაციის პერიოდული ორგანო.

1958 წ. 18 აგვისტო, ბოსტონი.

ავტოგრაფი, ფანქრით, 3 ფ.

პირი: ლეო [დუმბაძე ?], ისიდორე [გაჟონია ?], ჩხატარაშვილი [ვახტანგი], სინჯიკელი [სინჯიკაშვილი], მამია, საშა [სულხანიშვილი ?], გივი, გოგია, ვახტანგი, წულაძე.

ტოპონიმი: ნიუ-იორკი.

287. აკრიტიკებს მისი მოქმედების გამო. მიიჩნევს, რომ ის, როგორც ორგანიზაციის მდივანი, ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. არ მოსწონს მისი დამოკიდებულება ძველი ემიგრანტებისა და ზოგიერთი ქართველი ემიგრანტის მიმართ.

[1958 წ.] 17 ნოემბერი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, 2 ფურცელი კალკაზე, სულ 3 ფ.

პირი: ვახტანგი [ჩხატარაშვილი ?], საშა [სულხანიშვილი ?], მანველიშვილი, სინდიკელი [სინჯიკაშვილი], ჩხატარა, ლეო [დუმბაძე ?], კეკელია, ისიდორე [გაჟონია ?], ახვლედიანი.

ტოპონიმი: ბოსტონი.

288. სწერს, რომ მის მიერ გამოგზავნილი ბოლო წერილები ერთ-მანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. ეხება ნიუ-იორკში სამხედრო კავშირის აღდგენის საკითხს; აღნიშნავს, რომ ამერიკის ოფიციალური კურსი და მისი მოხელეების მოქმედებები განსხვავდება ერთმანეთისაგან. აცნობებს, რომ „ბოლშევიზმისგან განთავისუფლების ამერიკული კომიტეტის“ ("American Committee for Liberation from Bolshevism") ერთ-ერთი წევრი რუსების სასარგებლოდ მათ წინააღმდეგ ცდილობდა მოქმედებას. უხსნის ორგანიზაციის დასუსტების მიზეზებს. ატყობინებს, რომ არ დაესწრება დაგეგმილ საერთო კრებას.

1959 წ. 26 დეკემბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: სინჯიკაშვილი, ვიტვიცკი, ჩხარტიშვილი, ცომაია, საშა [სულხანიშვილი ?], თეიმურაზი, ისიდორე [გაჟონია ?], ლეო [დუმბაძე ?], ბაბაიოღლუ, გოგი, კარლო.

ტოპონიმი: ნიუ-იორკი, ამერიკა.

289. სწერს, რომ მისი ქმედებები არასწორია. აცნობებს, რომ უგზავნის ამ წერილის ასლს, ხოლო ორიგინალს თავად იტოვებს.

1960 წ. 16 მარტი, სან-ფრანცისკო.

ავტოგრაფი, 2 ფ.

პირი: [თეიმურაზ] ბაგრატიონი, ჯინჭარაძე, ზალდასტანიშვილი, საშა [სულხანიშვილი ?], გოგია, მამია, ვახტანგი [ჩხატარაშვილი ?], პავლე, ისიდორე [გაჟონია ?], კვარაცხელია.

290. სწერს, რომ მიიღო მისი წიგნი და სთხოვს შეატყობინოს ფასი.

1964 წ. 20 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: იტალია (ლადო არველაძის ცოლი).

291. ეხება ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში არსებულ წინააღმდეგობრივ ურთიერთობებს, განმარტავს, რატომ არჩია ინდივიდუალურად მუშაობა. ატყობინებს, რომ ასაკმა, ღამით მუშაობამ და სიდუხჭირემ ჯანმრთელობა შეურყია. სწერს, რომ „ტოლსტოის კომიტეტი“ ხელს უშლის ქართული საქმის წარმართვაში. ატყობინებს, რომ გერმანიიდან ჩამოვიდა ქართული საბეჭდი მანქანა.

1964 წ. 1 ოქტომბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ლურჯი და წითელი მელნით, 2 ფ.

პირი: ისიდორე [გაჟონია ?], სინდიკელი.

ტოპონიმი: ნიუ-იორკი, ევროპა.

292. წუხს, რომ ვერ შეძლებს მის დახმარებას წიგნის მასალების დაბეჭდვაში, რადგან საბეჭდი მასალა ბევრია და მას არ შეუძლია, დიდი ხნით ჩამოშორდეს თავის ძირითად საქმიანობას. სწერს, რომ ქართულმა ემიგრაციამ ვერ შეძლო მიეღწია იმისთვის, რასაც სხვა ერების ემიგრაციამ, ამაში ადანაშაულებს არსებულ დაპირისპირებას, ჩეკას და ემიგრანტების პირად ინტერესებს. მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური მუშაობით ქართული საქმისათვის უფრო მეტის გაკეთება შეუძლია.

1964 წ. 11 დეკემბერი, სან-ფრანცისკო.

ნაბეჭდი, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: ლუბიანკი.

ტოპონიმი: ამერიკა, სან-ფრანცისკო.

293. ეხება ქართული ემიგრაციის ერთ ნაწილთან – „ლეოსთან და მის ჯგუფთან“ – ურთიერთობის საკითხს. ატყობინებს გრიგოლ დიასამიძის სახლში ჩატარებული სხდომისა და გოლდმანთან შეხვედრის შესახებ. სწერს, რომ გაჩნდა აზრი, თითქოს ის (ლადო არველაძე) და ისიდორე ცდილობენ დაშალონ ორგანიზაცია.

უთარილო, 9 იანვარი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, მელანი გამქრალა და ტექსტი ცუდად იკითხება, 1 ფ.

პირი: ლეო [დუმბაძე ?], გრიგოლ დიასამიძე, საშა [სულხანიშვილი ?], გოლდმანი, ისიდორე [გაჟონია ?].

ბაზარკო ი. (I. Bazarko) – „ამერიკის უკრაინული კონგრესის კომიტეტის“ ("Ukrainian Congress Committee of America") წევრი.

294. აცნობებს, რომ უგზავნის ქართულ ჟურნალს. აწვდის ცნობებს ამ ჟურნალის შესახებ.

1968 წ. 25 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

ბაკლი ჯეიმს (James L. Buckley) – აშშ-ის სენატორი.

295. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. სწერს წიგნში განხილული საკითხების შესახებ.

1975 წ. 24 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

ბერნჰემი ჯ[ეიმს] (J[ames] Burnham) – ამერიკელი ფილოსოფოსი, პოლიტიკის თეორეტიკოსი, ჟურნალ "National Review"-ს სტატიების ავტორი.

296. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას „მსოფლიოს ძალთა ბალანსი და დაპყრობილი ერების პოლიტიკური პოტენციალი“. სწერს, რომ იგი, როგორც დაპყრობილი ერის წარმომადგენელი, ვალდებულია ღიად ისაუბროს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე.

1970 წ. 1 ივნისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

ბირნსი რობერტ (Robert Byrnes) – ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორი.

297. ატყობინებს, რომ უგზავნის თავის ნაშრომს „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ ("The Strength and Weakness of USSR"). აცნობებს, რა საკითხებს ეხება მისი ეს ნაშრომი; სწერს, რომ ცივი ომი რუსეთის აგრესიის ძველი ტრადიციული მეთოდია და ის დაიწყო არა 1945 წელს, არამედ უფრო ადრე, 1930-იან წლებში.

1957 წ. 3 იანვარი, მასაჩუსეტსი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, 1 ფ.

პირი: პროფ. მ. კ. ძიევანოვსკი (M.K. Dziewanowski).

ბოსე პ. დე (P. de Bausset)

298. სწერს, რა პრინციპებსა და იდეალებზე იყო დაფუძნებული ჟურნალი „მხედარი“. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „სს-რკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ და სთხოვს დახმარებას აღნიშნული წიგნის საფრანგეთში გამოსაქვეყნებლად.

1964 წ. 14 ოქტომბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

ბრაუნი გარი (Gary J. Brown) – ორგანიზაციის „ახალგაზრდა ამერიკელები თავისუფლებისათვის“ ("Young Americans for Freedom") წევრი.

299. აცნობებს, რომ უგზავნის ჟურნალ „სან ფრანცისკოს ქართული კერის“ ორ ნომერს, რომლებშიც დაბეჭდილია მისი სტატიები. სთხოვს მიაწოდოს მათი წიგნი კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

1970 წ. 14 აპრილი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

300. აცნობებს, რომ უგზავნის მათი ორგანიზაციის შესახებ რუსულ გაზეთ «Новое Слово»-ში დაბეჭდილი სტატიიდან ამონარიდს. სწერს, რომ მიაწოდებს თავის წიგნს, რომელიც მათი პოლიტიკური საქმიანობისთვის საჭირო მნიშვნელოვან მასალას შეიცავს.

1970 წ. 27 აპრილი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

ბრეი უილიამ (William G. Bray) – აშშ-ის წარმომადგენლობათა პალატის წევრი.

301. აცნობებს, რომ უგზავნის ჟურნალის – „ქართული კერა სან ფრანცისკოში“ – ნომერებს. სწერს, რა საკითხებს ეხება აღნიშნულ

ჟურნალში დაბეჭდილი სტატიები. აწვდის თავის მოკლე ბიოგრაფიას. აცნობს თავის მოსაზრებას დაპყრობილი ერების შესახებ.

1971 წ. 17 მაისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ახლავს უილიამ ბრეის სავიზიტო ბარათი, 2 ფ.

302. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას „უკანასკნელი იმპერიის ბინდი“. ატყობინებს, რომ დაპყრობილ ერებს ჰყავთ სამხედრო სპეციალისტები, რომლებიც კარგად იცნობენ საკუთარ მტერს. სწერს, რომ, როგორც გენერალური შტაბის ოფიცერი, საჭირო ინფორმაციას აწვდის ყველას, ვინც დაპყრობილი ერების პრობლემატიკით არის დაინტერესებული.

1971 წ. 16 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

ბუსკარენი ენტონი (Anthony Bouscaren) – აშშ-ის მარქუეტის უნივერსიტეტის (Marquette University) პოლიტიკური მეცნიერებების დეპარტამენტის დირექტორი.

303. სწერს, რომ უგზავნის თავის ნაშრომს „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ ("The Strength and Weakness of USSR"). აცნობებს, რომ „პრომეთეს“ ქართული ფილიალი აშშ-ში არის „საქართველოს განთავისუფლების ამერიკული საბჭო“.

1956 წ. 28 ნოემბერი, მასაჩუსეტსი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

304. მადლობას უხდის თავისი წიგნის დადებითად შეფასებისთვის. აცნობებს, რომ უგზავნის წიგნის ორ ეგზემპლარს.

1957 წ. 16 თებერვალი, მასაჩუსეტსი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

[გამყრელიძე გიორგი (?)]

305. სწერს, რომ სინჯიკაშვილი და მისი ჯგუფი მის წინააღმდეგ მოქმედებენ.

1974 წ. 17 აგვისტო, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, აქვს მინაწერი: „შან შია“ და ჩანართი: „სინჯიკ-აშვილი“, 2 ფ.

პირი: მიხეილ ქავთარაძე, სინდიკელი (სინჯიკაშვილი), ზალდასტანი (გივი ზალდასტანიშვილი), ალ. ცომაია.

ტოპონიმი: ვარშავა.

გლაზკოვი ვასილი (В. Г. Глазков) – ემიგრაციაში მყოფ კაზაკთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი.

306. სწერს, რომ უნდა შეხვდნენ და ისაუბრონ მათი საერთო საქმისა და ინტერესების შესახებ.

1958 წ. 20 მაისი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, ლურჯი და წითელი მელნით, შავი პირი, ბოლონაკლული, აქვს მინაწერი: „ეს გამოშვებულია“, 1 ფ.

307. ატყობინებს, რომ საკუთარი ძალისხმევით უნდა წარმართონ ანტიკომუნისტური საქმიანობა. სწერს სტატიებისა და წიგნების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

1962 წ. 1 აპრილი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, ახლავს რეგისტრაციის ფურცელი ბეჭდითა და თარიღით, 2 ფ.

პირი: ჯონ სპელერი (Jhon Speller).

ტოპონიმი: სან-ფრანცისკო.

308. აცნობებს, რომ ყველაზე მეტად [აშშ-ში] ებრძვიან დაპყრობილ ერთა განთავისუფლებას. სწერს, რომ თანამშრომლობა შეწყვიტა [ჯონ] სპელერთან. ატყობინებს, რომ ფრთხილად იყოს იმ ქართველებთან, რომლებიც „ტოლსტოის კომიტეტის“ მდივან [თეიმურაზ] ბაგრატიონთან თანამშრომლობენ.

1962 წ. 6 მაისი, სან-ფრანცისკო.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 2 ფ.

პირი: კოცი, [ჯონ] სპელერი (Jhon Speller), ბაგრატიონი, კირილე ვლადიმერის ძე [რომანოვი], გრემენკო.

309. აცნობებს, რომ ამერიკა იცავს „მოსკოვის იმპერიის“ ერთიანობის იდეას და მათ არ დაეხმარება. სწერს, რომ „ტოლსტოის

კომიტეტი“ თეიმურაზ ბაგრატიონისა და ს. კობიაშვილის ხელმძღვანელობით ებრძვიან დამონებულ ერთა განთავისუფლებისთვის მებრძოლ ემიგრანტებს. ატყობინებს, რომ სენატორებისა და კონგრესმენების დახმარებით უნდა გამოამჟღავნონ „ტოლსტოის კომიტეტის“ არასწორი მოქმედებები.

1966 წ. 18 იანვარი, სან-ფრანცისკო.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, კალკაზე, ლურჯი და წითელი მელნით, შავი, 5 ფ.

პირი: პოლკ. კოცი, თეიმურაზ ბაგრატიონი, ს. კობიაშვილი.

ტოპონიმი: ვარშავა.

310. სწერს, რომ რუსი აგენტები დევნიან აქტიურ ქართველებს. აცნობებს, რომ მისი შემდეგი სტატიის სათაურია „ნახევარი საუკუნის შემდეგ“. სთხოვს, გაუგზავნოს იმ პირებისა და ინსტიტუციების მისამართები, რომელთათვისაც საინტერესო იქნება მათი ჟურნალი („სან ფრანცისკოს ქართული კერა“ ?).

[1966 წ. სან-ფრანცისკო].

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, ლურჯი და წითელი მელნით, შავი, 2 ფ.

პირი: ნ[იკო] ნაკაშიძე.

311. აცნობებს, რომ მოსკოვის იმპერიის (საბჭოთა კავშირი) აღსასრული გარდაუვალია. სწერს, რომ მათი საერთო საქმე ახალ ფაზაშია და აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა. ატყობინებს, რომ რუსი აგენტები, რომლებიც ამერიკის დაზვერვაში მსახურობენ, ქართველებს იყენებენ რუსული საქმის გასაკეთებლად და დაპყრობილი ერების განთავისუფლების მოძრაობის გასანადგურებლად. სთხოვს აცნობოს იმ პირებისა და ინსტიტუციების მისამართები, რომელთაც საჭიროდ ჩათვლის, რომ გაუგზავნოს ჟურნალი „სან ფრანცისკოს ქართული კერა“.

1970 წ. 17 თებერვალი.

მაქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 2 ფ.

312. აცნობებს, რომ უგზავნის ჟურნალს [„სან ფრანცისკოს ქართული კერა“], რომელშიც დაბეჭდილია მისი სტატია. სთხოვს აცნობოს მისი აზრი სტატიის შესახებ. სწერს გაუგზავნოს იმ

პირებისა და ორგანიზაციების მისამართები, რომელთაც საჭიროდ ჩათვლის, რომ მიანოდოს ჟურნალი.

1971 წ. 4 ოქტომბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

313. სწერს, რომ მათ უნდა გააკეთონ სამხედრო განმარტება განიარაღების შესახებ, რისკენაც რუსეთი მიისწრაფვის.

უთარილო.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, შავი, ნასწორები, 1 ფ.

314. სწერს, რომ უგზავნის [ჯონ] სტორმერის (John Stormer) წიგნს „ვერავენ გაბედავს, ამას ღალატი უწოდოს“ ("None Dare Call it treason"). სთხოვს, ყურადღება გაამახვილოს 48-208-ე გვერდების შინაარსზე, რომელიც ეხება აშშ-ის პოლიტიკას რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ.

უთარილო.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, შავი, ნასწორები, 1 ფ.

პირი: ვილსონი, პოლკ. კოცი.

315. აცნობებს თავის საფოსტო მისამართს. სწერს, რომ [აშშ-ში] მხოლოდ მათ ეხმარებიან, ვინც ერთიანი განუყოფელი რუსეთისთვის მუშაობს. ატყობინებს, რომ მათი ორგანიზაცია რთულ მდგომარეობაშია, აღნიშნავს, რომ "Ukrainian Quarterly"-ში გამოქვეყნებული მისი სტატია ახლო აღმოსავლეთის შესახებ დაბეჭდა ჟურნალმა "National Review"-მაც.

უთარილო.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, შავი, 2 ფ.

პირი: ალექსანდრე.

316. სწერს, რომ „ტოლსტოის კომიტეტი“ ამერიკის ადმინისტრაციის ხელით [კომუნისტებისთვის] უფრო მეტ საქმეს აკეთებს, ვიდრე ბოლშევიკები. მაძლობას უხდის ჟურნალ „Казакия“-ს გამოგზავნისთვის და აცნობებს, რომ სურს ამ ჟურნალში დაბეჭდოს ორი სტატია.

უთარილო.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, შავი, კალკაზე, 2 ფ.

გოლდუოტერი ბარი (Barry Goldwater) – აშშ-ის სენატორი.

317. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. სწერს, რომ მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უმრავლესობის – დაპყრობილი ერების თვალსაზრისის ცოდნა.

1974 წ. 10 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

დადიანი მიხეილ

318. სწერს, რომ სინჯიკაშვილი ყველანაირად ცდილობს მის დისკრედიტაციას.

1959 წ. ბოსტონი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, ბოლონაკლული, შავი, გახაზულია წითელი მელნით, 1 ფ.

პირი: ალ. მანგელიშვილი, გ. ნაკაშიძე, სინჯიკაშვილი, ტატიშვილი, ალშობაია.

319. სწერს სინჯიკაშვილთან დაპირისპირების მიზეზების შესახებ. ეხება რადიო „ამერიკის ხმაში“ მუშაობის დაწყების საკითხს.

1961 წ. 4 ნოემბერი, სან-ფრანცისკო.

ავტოგრაფი, 4 ფ.

იქვეა იმავე წერილის შავი პირი, 1961 წ. 3 ნოემბერი, 3 ფ.

პირი: საშა (სულხანიშვილი), ირაკლი ორბელიანი, სინჯიკაშვილი, ცო-მაია, ციციშვილი (ჯობაძე), კეკელია, კვიტაშვილი, მიტო.

დერვინსკი ედვარდ (Edward J. Derwinski) – აშშ-ის წარმომადგენლობათა პალატის წევრი.

320. აცნობებს, რომ უგზავნის ჟურნალის – „ქართული კერა სან ფრანცისკოში“ – ნომრებს. სწერს თავის ბიოგრაფიას. ატყობინებს, რომ აშშ-ში ქართველი ემიგრანტებისთვის პოლიტიკური საქმიანობა რთულია, რადგან მათ რუსეთის მოქალაქეებად თვლიან, ხოლო რუსული ემიგრანტული ორგანიზაციები

დევნიან ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ემიგრანტებს.

1970 წ. 23 ივნისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: დობრიანსკი.

321. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „საბჭოთა კავშირის სიძლიერე და სისუსტე“. სწერს, რა საკითხებია განხილული წიგნში.

1970 წ. 7 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

322. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას „უკანასკნელი იმპერიის ბინდი“. სწერს, რომ, როგორც გენერალური შტაბის ოფიცერი, საჭირო ინფორმაციას აწვდის ყველას, ვინც დაპყრობილი ერების პრობლემატიკით არის დაინტერესებული. აცნობებს, რომ აშშ-ში დასაქმებულ ქართველებს რუსი აგენტები ავიწროებენ.

1971 წ. 16 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

323. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. სწერს, რა საკითხებია განხილული აღნიშნულ წიგნში.

1974 წ. 12 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

დობრიანსკი ლევ (Lev E. Dobriansky) – „ამერიკის უკრაინული კონგრესის კომიტეტის“ ("Ukrainian Congress Committee of America") და „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee") თავმჯდომარე, ეთნიკური კვლევების ინსტიტუტის თანამშრომელი, ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის პროფესორი.

324. აცნობებს, რომ უგზავნის თავის ბროშურას „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“.

1958 წ. 14 თებერვალი, დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

325. აცნობებს, რომ თანახმაა, მოამზადოს სტატია საქართველო-სა და კავკასიის შესახებ "Ukrainian Quarterly"-სთვის. სწერს, რომ "Ukrainian Bulletin"-ისთვის გაგზავნა სტატია „შუა აღმოსავლეთი“.

1958 წ. 7 აპრილი, დორჩესტერი.

2 ავტოგრაფი და 1 მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 3 ფ.

ავტოგრაფი: ერთი შავი პირი დაწერილია მისი და ერთი გადათეთრებულია სხვისი ხელით, გადათეთრებულ პირზე წითელი მელნით მიწერილია: „1956“.

მანქანაზე ნაბეჭდი, კალკაზე.

პირი: ვინსენტი შანდორი (Vincent Shandor).

326. აცნობებს, რომ განზრახული აქვს სტატიების მომზადება მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების თემაზე. მისი მიზანია, მსოფლიო სტრატეგიაში კავკასიისა და უკრაინის როლი წარმოაჩინოს. სთხოვს, რომ დაეხმაროს წიგნის – „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ – გამოცემაში.

1958 წ. 15 აგვისტო, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

327. აცნობებს, რომ მისი რჩევა გაითვალისწინა და მისწერს გამომცემლობა "Henry Regnery Co"-ს. ატყობინებს, რომ თავისი სტატია გაუგზავნა სენატორ კენედის.

1958 წ. 30 აგვისტო, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

328. აცნობებს, რომ "Ukrainian Quarterly"-სთვის უგზავნის სტატიას „მიმდინარე ცივი ომი“, რომელიც ეხება რუსეთის მოქმედებებს, მიზნებს და ნაბიჯებს უახლოეს მომავალში. ატყობინებს, რომ მომდევნო სტატია იქნება „დასავლეთი მიმდინარე ცივი ომში“, რომელშიც გააანალიზებს დასავლეთის შეცდომებს.

1958 წ. 29 სექტემბერი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

329. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას „დასავლეთი ცივ ომში“. სწერს, რომ კვირაში შვიდი დღე ფიზიკურად მუშაობს, რის გამოც სტატიებზე მუშაობა დიდხანს უნევს.

1958 წ. 15 ნოემბერი, ბოსტონი.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

ავტოგრაფი: შავი, ლურჯი და წითელი მელნით;

მანქანაზე ნაბეჭდი: ხელმოწერით.

პირი: ე. დუშნიკი (W. Dushnyck).

330. აცნობებს, რომ "Ukrainian Quarterly"-ში წაიკითხა მისი რეცენზია წიგნზე „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“, რის გამოც მადლობას უხდის. სთხოვს, გაუგზავნოს რეცენზიაში მითითებული შეცდომების ნუსხა.

1958 წ. 4 დეკემბერი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

331. მადლობას უხდის სტატიის შესახებ გაკეთებული სასარგებლო შენიშვნებისთვის. სწერს, რომ აუცილებელია, ჩამოაყალიბონ დაპყრობილი ერების საერთო ორგანო.

1958 წ. 16 დეკემბერი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: პ. სიანდრუკი (P. Sjandruk), ვინსენტ შანდორი (Vincent Shandor).

332. ეხება "Ukrainian Quarterly"-სა და "Ukrainian Bulletin"-ში სტატიის დაბეჭდვის საკითხს.

[1958 წ.]

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ლურჯი და წითელი მელნით, შავი, 1 ფ.

333. სწერს, რომ დაწერა ორი სტატია. აცნობებს, რომ მათი ვალდებულებაა, მიაწოდონ ინფორმაცია აშშ-ს საბჭოთა კავშირში მიმდინარე იდეოლოგიური მოძრაობების შესახებ.

1959 წ. 1 ივნისი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: ოლესნიცკი (Olesnitsky).

334. აცნობებს, რომ უგზავნის ბელარუსულ გაზეთში დაბეჭდილ თავის სტატიას „ცივი ომის ახალი ფაზა“.

1961 წ. 12 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ და პოლონურ ენებზე, 2 ფ.

335. სწერს, რომ აშშ-ში დაპყრობილი ერების განთავისუფლებას ეწინააღმდეგება რუსული ემიგრაცია, განსაკუთრებით „ტოლსტოის კომიტეტი“ და სხვა ერთა ემიგრაციის წითელი ელემენტები/კომუნისტები. აცნობებს, რომ კარისკაცად მუშაობს. მის დასაქმებას რადიო „ამერიკის ხმასა“ და კაპიტოლიუმის რადიო-ინჟინერიის ინსტიტუტში (The Capitol Radio Engineering Institute) ხელი შეუშალეს კომუნისტურმა ელემენტებმა. აცხობინებს, რომ ის მუშაობდა ჭურჭლის მრეცხავად და ცხოველთა ჰოსპიტალში, ბოსტონში.

1963 წ. 16 იანვარი, სან-ფრანცისკო.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, ფურცლები 1-4 ავტოგრაფი, ჩასწორებული წითელი მელნით, 5-10 ფურცლები მანქანაზე ნაბეჭდი, სულ 10 ფ.

336. სწერს, რომ უგზავნის თავის სტატიას „მსოფლიო გზაჯვარედინზე“. აცნობებს, რომ მსოფლიოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დაპყრობილი ერების როლი იზრდება. აცხობინებს, რომ „ტოლსტოის კომიტეტს“ აშშ-ში მხარს უჭერენ.

1963 წ. 7 ოქტომბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, კალკაზე, 1 ფ.

337. სწერს, რომ უგზავნის საფრანგეთში „ქართველთა გაერთიანებული ფრონტის“ პერიოდულ ორგანოს „ხალხის უფლება“ ("Le Droit du Peuple"), რომელშიც მისი სტატიაა დაბეჭდილი. უზიარებს თავის მოსაზრებას, რა უნდა გააკეთონ დაპყრობილი ერების წარმომადგენლებმა ბოლშევიზმის დასამარცხებლად. აცნობებს, რომ აშშ-ში ქართველი აქტივისტები „ტოლსტოის კომიტეტისა“ და სხვა რუსული ორგანიზაციების კონტროლის ქვეშ არიან. მათი ეწინააღმდეგობის გამო ვერ ახერხებს შესაბამისი სამსახურის დაწყებას და იძულებულია, დარაჯად იმუშაოს.

1965 წ. 2 მაისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 3 ფ.

338. სწერს, რომ თუ მის წიგნს „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ გამოსცემენ, წიგნს განკარგულებაში გადასცემს „[ამერიკის] უკრაინული კონგრესის კომიტეტს“ ("Ukrainian Congress Committee of America").

1967 წ. 1 ივნისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

339. სწერს, რომ უგზავნის ქართულ ჟურნალს, რომელიც საქართველოსა და ევროპაში მოგზაურ ქართველ ტურისტებში ვრცელდება. სთხოვს, დააკავშიროს იმ პიროვნებებსა და ინსტიტუციებთან, რომლებიც ამ ჟურნალით დაინტერესებული არიან.

1968 წ. 22 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

340. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას „მსოფლიოს ძალთა ბალანსი და დაპყრობილი ერების პოლიტიკური პოტენციალი“, რომელიც ეხება დაპყრობილი ერების მნიშვნელობას სსრკ-ის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1970 წ. 9 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

341. აცნობებს, რომ განზრახული აქვს, დაწეროს ნაშრომი „უკანასკნელი იმპერიის ბინდი“, რომელიც დაეხმარება პოლიტიკურ ლიდერებსა და გენერალურ შტაბს, რადგან მასში წარმოდგენილი იქნება არსებული ვითარების შეფასება დაპყრობილი ერების თვალთახედვით.

1970 წ. 9 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

342. აცნობებს, რომ რუსული ორგანიზაციები ებრძვიან აშშ-ში სსრკ-ის დაპყრობილ ერთა ემიგრაციის განმანთავისუფლებელ

საქმიანობას. ისინი ხელს უშლიან კვალიფიკაციის შესაბამისი სამსახურის დაწყებაში. აცნობს თავის ბიოგრაფიას.

1970 წ. 25 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, აქვს მინანური ქართულად ვანო ნანუაშვილის ხელით: „ანკეტის დანართი“, ხელმოწერით, 2 ფ.

343. აცნობებს, რომ უგზავნის აშშ-ში განთავისუფლებისთვის მებრძოლი ქართული ემიგრაციის საქმიანობის აღწერილობას. ერთვის აღნიშნული აღწერილობა, რომელიც მოიცავს მისი იდეოლოგიის გაცნობას, დაპყრობილი ერების მდგომარეობას, აშშ-ში ქართული სექტორის განსაკუთრებულობას და ადრესანტის აქტივობებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

1970 წ. 8 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ნასწორები, ფ. 7-ზე აქვს მინანური ვანო ნანუაშვილის ხელით, ხელმოწერით, 8 ფ.

344. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას „უკანასკნელი იმპერიის დაისი“. სწერს, რომ არსებული პოლიტიკური მდგომარეობა დაპყრობილი ერების საქმიანობის მაქსიმალურ აქტივობას მოითხოვს.

1971 წ. 12 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

345. სწერს, რომ თანახმაა, ითანამშრომლოს „დაპყრობილ ერთა ეროვნულ კომიტეტთან“ ("National Captive Nations Committee"). აცნობებს, რომ დაპყრობილმა ერებმა გაერთიანებული ძალებით უნდა იბრძოლონ თავისუფლებისათვის და არა ინდივიდუალურად. ატყობინებს, რომ რუსული ორგანიზაციების დევნის გამო, კვალიფიკაციის მიუხედავად, მხოლოდ ფიზიკური სამუშაოს შოვნა შეძლო აშშ-ში.

1972 წ. 10 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

346. სწერს, რომ დაპყრობილ ერთა განთავისუფლების გარეშე მსოფლიო ვერასოდეს მოიპოვებს რეალურ მშვიდობას.

1972 წ. 5 მარტი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

347. აცნობებს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ არსებული ვითარების გათვალისწინებით დაპყრობილი ერების წარმომადგენლებმა. სწერს რუსულ ორგანიზაციებთან მისი დაპირისპირების შესახებ. აცნობებს, რომ ყველაფერს გააკეთებს „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee") საქმიანობის ხელშეწყობისთვის.

1973 წ. 4 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 4 ფ.

პირი: ვიტვიცკი (Witwicky).

348. აცნობებს, რომ მალე დაიბეჭდება თავისი წიგნი „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. სწერს, თუ რა აზრია გატარებული და რა დასკვნებია გაკეთებული აღნიშნულ წიგნში. ატყობინებს, რომ თბილისში გაიმართა ფართომასშტაბიანი დემონსტრაცია.

1973 წ. 15 ოქტომბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 3 ფ.

349. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს. უზიარებს მოსაზრებას არსებული მდგომარეობის შესახებ.

1974 წ. 25 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

350. აცნობებს, რომ უგზავნის წიგნებს აშშ-ის კონგრესმენებსა და სენატორებთან გასაგზავნად. ატყობინებს, რომ ნიქსონსა და დერვინს უკვე გაუგზავნა წიგნები თავისი ხელმოწერით.

1974 წ. 28 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

351. სწერს, რომ ჯორჯ მარდიკიანთან ერთად იმსჯელებს არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. აცნობებს, რომ უგზავნის თავის ანალიტიკურ სტატიას მიმდინარე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

აქვეა ვ. ნანუაშვილის ნაშრომი „მსოფლიოს მიმდინარე საერთაშორისო მდგომარეობის სამხედრო ანალიზი“.

1974 წ. 28 მაისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 6 ფ.

პირი: ჯორჯ მარდიკიანი.

352. აცნობებს, რომ უგზავნის რეცენზიებს თავისი წიგნის შესახებ. ატყობინებს, რომ, მოთხოვნის მიუხედავად, ბოსტონსა და ნიუ-იორკში წიგნის მაღაზიები მის წიგნს არ ყიდნიან. უზიარებს თავის მოსაზრებას მიმდინარე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

1975 წ. 14 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

353. სწერს, რომ თანახმაა მოამზადოს სტატია ჟურნალ "The Ukrainian Quarterly"-თვის საქართველოსა და კავკასიის შესახებ. აცნობებს, რომ "The Ukrainian Bulletin"-თვის გაგზავნა სტატია სამხედრო რუკით, რომელიც, რაც უფრო მალე დაიბეჭდება, უკეთესია მათი საერთო მიზნებისთვის.

უთარილო.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, აქვს მინანური წითელი მელნით ქართულად: „ლალოს“, 1 ფ.

პირი: ვ[ინსენტ] შანდორი (Vincent Shandor).

დრეიფუსი ფრენსის (Francine L. Dreyfus) – გამომცემლობა "Vantage Press"-ის თანამშრომელი.

354. სთხოვს, აცნობოს, რა ეტაპზეა თავისი წიგნის „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ საგამომცემლო სამუშაოები.

1973 წ. 5 ნოემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

355. სწერს, რომ უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ხელი მოაწერა კონტრაქტს თავისი წიგნის გამოცემის შესახებ, თუმცა კვლავ არ იცის, როდის დაიბეჭდება ის.

1974 წ. 7 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

დუბე ვიოლა (Viola E. Dube)¹

356. კერძო ხასიათის.

1957 წ. 25 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: ფიშერი (Dr. Fisher), ტრეფსი (Dr. Trefc).

357. აცნობებს, რომ უგზავნის თავის ბროშურას. სწერს, რა საკითხებს ეხება აღნიშნული ნაშრომი. ატყობინებს, რომ 15 წელია მუშაობს მსოფლიო ფედერაციის (?) მიმართულებით.

1957 წ. 6 დეკემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

358. სწერს, რომ დამორჩილებული ერები, მათ შორის ქართველები, იბრძვიან თავისუფლებისათვის.

1958 წ. 6 იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

359. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. აცნობებს, რომ რუსეთის მიერ დამორჩილებული ერების ერთობლივი მოქმედებების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ნიუ-იორკში შეხვედრა. სწერს, რომ მათი ქვეყნების თავისუფლებისათვის ისინი გააკეთებენ შესაძლებლობების მაქსიმუმს.

1958 წ. 6 თებერვალი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ეგზემპლარი, მე-2 ფ. – ნასწორები ლურჯი მელნით და ხელმოწერით, 2 ფ.

¹ ვანო ნანუაშვილის მოსწავლე და მეგობარი, ასწავლიდა რუსულ ენას.

360. აცნობებს, რომ იწყებს ინგლისურ ენაზე რუსეთისა და თანამედროვე პოლიტიკური სიტუაციის შესახებ სტატიების წერას უკრაინული გაზეთისთვის და მისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა მისი ნაშრომი სტილისტურად ერთნაირი იყოს.

1958 წ. 12 თებერვალი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

361. კერძო ხასიათის.

1958 წ. 12 მარტი, [ბოსტონი]

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

362. სწერს, რომ მისი საქმიანობა უფრო აქტიური ხდება და სერიოზულ ფაზაში გადადის.

1958 წ. 19 მარტი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ნასწორები, 1 ფ.

363. კერძო ხასიათის.

1958 წ. 5 მაისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

364. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. აცნობებს, რომ ევროპის განთავისუფლების შოტლანდიურ ლიგას მოსწონს მისი წიგნი და სურთ მის ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობა. იგივე სურვილი აქვთ აშშ-ის ორგანიზაციებს.

1958 წ. 12 მაისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

ტოპონიმი: ნიუ-იორკი, თბილისი, ვარშავა.

365. კერძო ხასიათის.

1957 წ. 17 სექტემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, აქვს მინაწერი რუსულად, 1 ფ.

პირი: ფიშერი (Dr. Fisher).

პოლ დუგლასი (Paul H. Douglas) – აშშ-ის სენატორი.

366. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „საბჭოთა კავშირის სიძლიერე და სისუსტე – რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. სწერს, რა საკითხს ეხება აღნიშნული წიგნი. დაინტერესების შემთხვევაში, სთავაზობს დამატებითი მასალების მიწოდებას.

1957 წ. 13 ივნისი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

367. აცნობებს, რომ უგზავნის ბროშურას „საბჭოთა კავშირის სიძლიერე და სისუსტე. რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“.

1957 წ. 13 იანვარი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

დუშნიკი ვალტერ (Walter Dushnyck) – ჟურნალ "The Ukrainian Quarterly"-ის რედაქტორი.

368. სწერს, რომ შესაფერისი დროა, დამორჩილებულ ერებთან ერთად საერთო ფრონტით დაიწყონ იდეოლოგიური გამოსვლა, რათა დაამტკიცონ, რომ დამორჩილებული ერების გარეშე მშვიდობა შეუძლებელია. აცნობებს მომავალი სტატიის თემას.

1958 წ. 16 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

369. აცნობებს, რომ აწვდის თავის სტატიას „ძალთა ბალანსი“. სთხოვს, არ გაუგზავნონ სტატიის ჰონორარი, რადგან მათ საერთო მტერი ჰყავთ და საერთო მიზნებისთვის იბრძვიან.

1963 წ. 24 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, კალკაზე, 1 ფ.

პირი: ს. ვიტვიცკი (Wytwyckij ?).

370. მაძღობას უხდის სტატიის თარგმნისთვის. აცნობებს, რომ უგზავნის თარგმანში გადახდილი თანხის დამადასტურებელ ქვითარს.

1963 წ. 2 აპრილი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

371. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას ინგლისურ და პოლონურ ენებზე. ეთანხმება რედაქციის მიერ შეტანილ ცვლილებებს. უგზავნის თავის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.

1963 წ. 17 მაისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

372. სთხოვს, რომ გაუგზავნოს ჟურნალ "The Ukrainian Quarterly" ივნისის ნომერი, თუ მასში დაბეჭდილია თავისი სტატია ან მხოლოდ სტატიის თარგმანი რედაქტირების გარეშე.

1963 წ. 6 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, ასლი, კალკაზე, 1 ფ.

373. მადლობას უხდის ჟურნალის ეგზემპლარების გაგზავნისთვის. აცნობებს, რომ აწვდის ჟურნალების ღირებულების გადახდის ქვითარს.

1963 წ. 24 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

374. აცნობებს, რომ უგზავნის საფრანგეთში არსებული ქართული ორგანიზაცია „ჩაგრულ ხალხთა დაცვის“ ("Défense des Peuples Opprimés") პერიოდულ ორგანოს „ხალხის უფლება“ ("Le Droit du Peuple"), რომელშიც დაბეჭდილია მისი სტატია უკრაინის შესახებ.

1965 წ. 9 ნოემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

დუშნიკი მერი (Mary Dushnyck) – ვალტერ დუშნიკის მეუღლე.

375. ულოცავს მისი მეუღლის მეცნიერებაში მიღწეულ წარმატებებს. სწერს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია ვალტერ დუშნიკის აზრი სტატიის შესახებ.

1965 წ. 20 დეკემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

ელიოტი ჯორჯ ფილდინგი (George Fielding Eliot) – გაზეთ "New York Herald Tribune"-ის სამხედრო და პოლიტიკური ანალიტიკოსი.

376. აცნობებს, რომ უგზავნის თავის ბროშურას „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“, რომლის გამოცემა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გამო შეფერხდა.

1956 წ. 6 დეკემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

ვატცკე რალფ (Ralph F. Watzke) – „ანტი-ბოლშევიკური ახალგაზრდული ლიგის“ წევრი.

377. სწერს მოკლე ინფორმაციას საქართველოს შესახებ. აცნობებს, რომ იგი იკვლევს დაპყრობილ ერთა განთავისუფლების საკითხს. ატყობინებს, რომ უგზავნის თავის ორ სტატიას.

[1970 წ.] სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

378. სწერს, რომ მხარს უჭერს მათ იდეებს. აცნობებს თავის მოსაზრებას სსრკ-ის ეროვნული პოლიტიკის დენაციონალიზაციისა და ასიმილაციის შესახებ. ატყობინებს, რომ, მისი თხოვნის შესაბამისად, უგზავნის ქართულად ნათარგმნ ფრაზას.

1971 წ. 12 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ახლავს ქართულად ნათარგმნი ფრაზა, 2 ფ.

ვესტმორელენდი უილიამ (William C. Westmoreland) – აშშ-ის გენერალი.

379. აცნობებს, რომ უგზავნის თავის ნაშრომს სსრკ-ის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

1971 წ. 22 ნოემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

ვეჰაუზენი ჯ[ონ] (J[ohn] V[roman] Wehausen) – პროფესორი, მათემატიკოსი.

380. სწერს, რომ უგზავნის თარგმანის ორ ასლს. აცნობებს, რომ ზოგიერთი ავტორისა და მათემატიკოსის სახელები ქართულში იწერება ფონეტიკურად, თუმცა მას არ შეუძლია ყველა სახელისა და გვარის დაწერა.

1970 წ. 4 მაისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

381. სწერს, რომ უგზავნის შესწორებული სარჩევის ორ ასლს. მადლობას უხდის წიგნის ჩუქებისთვის. საჭიროების შემთხვევაში, სთავაზობს დახმარებას. აცნობებს, რომ მას კომუნიკატებმა და ნაცისტებმა სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და აშშ-იც დევნიან.

1970 წ. 18 მაისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

სტეფან ვიტვიცკი (Степан Витвицкий / Stefan Witwicki) – დევნილობაში მყოფი უკრაინის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი.

382. სწერს ორგანიზაცია „პარიზის ბლოკის“ სირთულეების შესახებ. აცნობს თავის სამომავლო გეგმებს.

1955 წ. 26 დეკემბერი, დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: კანდელაკი.

ზიმერმანი ლეონარდ (Leonard Zimmerman) – გამომცემლობა "Vantage Press"-ის გამომცემთა დირექტორი.

383. სწერს, რომ გამომცემლობიდან მიღებულ წერილებში მას შეცდომით მოიხსენიებენ "Mrs. or Miss Nanuashvili". აცნობებს, რომ ის 1920-1948 წლებში სამხედრო ოფიცერი იყო, ხოლო იმჟამად პოლონეთის არმიის უფროსი ემერეტუსია (Major emeritus of G. S. of Polish Army).

1974 წ. 28 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

384. მადლობას უხდის თავისი წიგნის რეკლამირებისთვის. სთხოვს, გაუგზავნოს გაზეთში დაბეჭდილი სარეკლამო განცხადებების ასლები.

1974 წ. 5 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

385. აცნობებს, რომ მიიღო თავისი წიგნის „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ საავტორო ცალები. მადლობას უხდის გამომცემლობა "Vantage Press" თანამშრომლობისთვის.

1974 წ. 14 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

ლევან ზურაბიშვილი

386. სწერს, რომ უგზავნის სან-ფრანცისკოს ქართული კერის რევეულს, რომელიც წელიწადში ორჯერ გამოიცემა. აცნობებს, რომ აშშ მხარს არ უჭერს ერთიანი რუსეთის დამლას და ხელს უშლის დაპყრობილი ერების განთავისუფლების მოძრაობას.

უთარილო.

ავტოგრაფი, კალკაზე, 1 ფ.

თოხარაძე კუკური

387. ატყობინებს, რომ მონარქისტი რუსები კრემლთან შეთანხმებით მუშაობენ და ქართველების მოსყიდვაც მოახერხეს. სწერს გიორგი კვინიტაძესთან უთანხმოების მიზეზების შესახებ.

[1959 წ.] 12 მაისი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: გიორგი კვინიტაძე, დათა ლალიძე.

388. აცნობებს, რომ მას ცილს სწამებენ და აბრალებენ, რომ ვარშავის გეტოში მუშაობდა. სწერს, რომ ქართველებს [ამერიკაში] მყარი პოზიცია აქვთ.

1959 წ. 18 სექტემბერი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

პირი: ალექსანდრე კინწურაშვილი, სიკო კობიაშვილი, [გრიგოლ] ფე-
რაძე, ალშიბაია, კედია, გ. კერესელიძე, ვ. ბაქრაძე.
ტოპონიმი: ვარშავა, პოზნანი.

კალმანი იშტვან (Istvan Kalman)

389. აცნობებს, რომ უგზავნის ქართული ჟურნალის სამ ნომერს, რომლებიც ეხება მსოფლიოს იდეოლოგიური ჯგუფების პოლიტიკური ბალანსის საკითხს.

1971 წ. 26 აპრილი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

კენედი ედვარდ (Edward M. Kennedy) – აშშ-ის სენატორი.

390. სწერს, რომ უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. აცნობებს, რომ მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უმრავლესობის – დაპყრობილი ერების თვალსაზრისის ცოდნა.

1974 წ. 6 მაისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

კენედი ჯონ (John F. Kennedy) – აშშ-ის სენატორი და პრეზიდენტი.

391. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას „შუა აღმოსავლეთი და ცივი ომი“, რომელშიც განხილულია რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მეზობელი საზოგადოების აზრი.

1958 წ. 31 აგვისტო, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

კიფერი ჯონ (John E. Kieffer) – ლონდონში აშშ-ის საელჩოს სა- ჰაერო ატაშეს ასისტენტი, ლეიტენანტ-პოლკოვნიკი.

392. აცნობებს, რომ უგზავნის თავის ბროშურას „სსრკ-ის სი-
ძლიერე და სისუსტე“. სწერს, რომ ლონდონში შეხვედრისას გა-
დასცა თავისი ნაშრომი წითელი რუსეთის ამბიციების შესახებ.

1956 წ. 6 დეკემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

კლაინვალდი უილსონ (Wilson Kleinwald)

393. აცნობს თავის ბიოგრაფიას. ატყობინებს, რომ გამოსაცემად ამზადებს ნაშრომს „საბჭოთა კავშირის სიძლიერე და სისუსტე“ და სურს, რომ მათ გამომცემლობაში დაბეჭდოს.

1972 წ. 25 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

კოსტელო ბ. (B. A. Costello) – კაპიტოლიუმის რადიოინჟინერიის ინსტიტუტის (The Capitol Radio Engineering Institute) პროექტების დირექტორი.

394. აცნობებს, რომ წაიკითხა გაზეთ "Novaya Zarya"-ს დამატება და სურს მიიღოს დამატებითი ინფორმაცია. ატყობინებს, რომ თავისუფლად ფლობს რამდენიმე ენას, რომლებზედაც საუბრობენ „რკინის ფარდის“ მიღმა.

1962 წ. 20 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

395. სწერს თავის ბიოგრაფიულ ცნობებს. ატყობინებს, რომ თავისუფლად ფლობს რამდენიმე ენას, რომლებზეც საუბრობენ „რკინის ფარდის“ მიღმა. სთხოვს გაუგზავნოს სააპლიკაციო ფორმა.

1962 წ. 20 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

კოცი ადამ (Adam Koc) – პოლონელი პოლიტიკოსი და სამხედრო პირი.

396. სწერს, რომ [ჯონ] სპელერი მისი საკუთრება მოიპარა. მან თავისი წიგნი მეორედ გამოსცა.

1962 წ. 5 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ახლავს ფოსტის სარეგისტრაციო ბარათები, 1 ფ., 2 ბარათი.

პირი: ჯონ სპელერი (J. Speller).

397. სწერს დასაბეჭდად გაგზავნილი სტატიის რედაქტირების შესახებ.

1958 წ. 5 დეკემბერი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

398. სწერს თავის მოგონებას მეორე მსოფლიო ომის შესახებ. აცნობებს, თუ რა ბედი ეწიათ ვეტერანებს ომის შემდეგ. აცნობებს აშშ-ში ქართული ემიგრაციის საქმიანობის სირთულეებსა და პოლიტიკური სპეკულაციების შესახებ.

1958 წ. 12 მარტი, დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 2 ფ.

პირი: გენერალი [ალექსანდრე] ზაქარიადე, სპელერი, ადმირალი [ალექსანდრე] კოლჩაკი, გენერალი დენიკინი.

კუნიჰოლმი ბ. ე. (Eric Kuniholm) – „ბოლშევიზმისგან განთავისუფლების ამერიკული კომიტეტის“ ("American Committee for Liberation from Bolshevism") პოლიტიკურ საქმეთა განყოფილების დირექტორი.

399. კერძო ხასიათის.

1958 წ. 28 აგვისტო, მასაჩუსეტსი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

ლატიმერი ირა (Ira H. Latimer) – საერთაშორისო კონფერენციის „ცივი ომის მოგება“ ორგანიზატორი.

400. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. სწერს, რომ ცივი ომი არ დაწყებულა 1945 წლის შემდეგ და მას ხუთსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს.

1974 წ. 28 მაისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

ლიტლფილდი მარტინ (Martin Littlefield) – გამომცემლობა "Vantage Press"-ის ვიცე-პრეზიდენტი.

401. აცნობებს, რომ ფინანსების არქონის გამო არ შეუძლია მიიღოს მათ მიერ გამოგზავნილი კონტრაქტის პირობები.

1971 წ. 3 დეკემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

402. ეხება წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებს.

1972 წ. 7 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ნასწორები, 2 ფ.

ლუისი მარქს (Marx Lewis) – ორგანიზაცია „საბჭო კომუნისტური აგრესიის წინააღმდეგ“ ("Council Against Communist Aggression") თავმჯდომარე.

403. აცნობებს, რომ უგზავნის ქართულ ჟურნალებს, რომლებშიც დაბეჭდილია მისი ორი სტატია. სწერს, რომ იზიარებს მის შეხედულებებს და სურს მასთან თანამშრომლობა.

1970 წ. 10 ივნისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

404. შეხვედრის და ერთობლივი საქმიანობის დაგეგმვის მიზნით აცნობებს თავის ტელეფონის ნომერს. სწერს, რომ თანამედროვე ძალთა ბალანსი რუსეთისთვის არასახარბიელოდ იცვლება, მათ შეუძლიათ, კომუნიზმს დაუპირისპირონ სსრკ-ის დაპყრობილი ერები, რომლებიც მოსახლეობის 60% შეადგენენ.

1970 წ. 17 ივნისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

405. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას „უკანასკნელი იმპერიის ბინდი“. ეხება დაპყრობილი ერების საკითხს.

1971 წ. 21 ოქტომბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

406. აცნობებს, რომ მას კონტაქტი აქვს დაპყრობილი ერების ყველა ორგანიზაციასთან, „დაპყრობილ ერთა ასამბლეის“ გარდა.

1971 წ. 8 ნოემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

407. ეხება დაპყრობილი ერების ბრძოლას კომუნიზმის წინააღმდეგ.

უთარილო.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

ლუის ფულტონ, უმცროსი (Fulton Lewis, Jr.) – რადიოკომენტატორი და ახალი ამბების წამყვანი.

408. აცნობებს, რომ უგზავნის თავის ნაშრომს „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ ("The Strength and Weakness of USSR"). სწერს, რომ აშშ-მა უნდა იცოდეს, რომ სსრკ-ის მოსახლეობის უმეტესობა ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძვის.

1958 წ. 14 თებერვალი, მასაჩუსეტსი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, ხელმოწერით, ახლავს ფურცელი მიძღვნილი წარწერით, 2 ფ.

მანველიშვილი ალექსანდრე

409. აცნობს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის მიმდინარე საკითხებს. ასაბუთებს გაერთიანებული ორგანოს შექმნის აუცილებლობას. ეხება უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურში მყოფი ქართველი ემიგრანტების მომავალ „გაერთიანებაში“ გაწევრიანების საკითხს. ატყობინებს, რომ მისი წიგნი გააცნეს გამომცემლებს.

1954 წ. 24 იანვარი.

ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, 1 ფ.

პირი: აკაკი ჩხენკელი.

ტოპონიმი: ინგლისი, ამერიკა.

410. სწერს, რომ ამერიკის პოლიტიკა მიმართულია ერთიანი რუსეთის შენარჩუნებისა და მსოფლიოს ორი გავლენის სფეროდ გაყოფისკენ. აცნობებს „ამერიკული კომიტეტის“ კურსის შესახებ. სწერს, როგორ უნდა იმოქმედოს ქართულმა ემიგრაციამ შექმნილ ვითარებაში. ატყობინებს, რომ „ამერიკული კომიტეტი“, „ტოლსტოის კომიტეტი“ და ქართული ემიგრაციის ჯგუფი სინჯიკელის ხელმძღვანელობით ცდილობენ მის „იზოლაციას“, ისინი შეეცდებიან, ხელი შეუშალონ სამსახურის დაწყებაში, თუ საცხოვრებელ ადგილს შეიცვლის.

1963 წ. 10 ივნისი.

ავტოგრაფი, წითელი და ლურჯი მელნით, შავი, 2 ფ.

პირი: სინჯიკელი [სინჯიკაშვილი].

411. სწერს, რომ გერმანიიდან მიიღო ქართული საბეჭდი მანქანა. ატყობინებს სამომავლო საქმიანობის მიზნების შესახებ. მიიჩნევს, რომ საჭიროა ქართულ-ინგლისური ჟურნალის გამოცემა, აცნობებს ასეთი ჟურნალის გამოცემის სირთულეებს, მათ შორის ასახელებს შიდა დაპირისპირებასა და ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკას – შეინარჩუნოს ერთიანი რუსეთი. სთხოვს გაუგზავნოს პარიზის ქართული გამოცემების დახასიათება, რათა იქ მაინც შეძლოს წერილების გამოქვეყნება. აფრთხილებს, არ ენდოს ს[ვიმონ] კობიაშვილს.

1964 წ. 15 ივნისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: სინჯიკაშვილი, სვიმონ კობიაშვილი.

ტოპონიმი: პარიზი.

412. ეხება ქართულ ემიგრაციაში არსებულ წინააღმდეგობებს. სწერს, რომ პარიზში ქართველები გამოსცემენ ფრანგულ ჟურნალს, რომელიც, მისი აზრით, უნდა გადაკეთდეს ფრანგულ-ინგლისურ გამოცემად. ატყობინებს, რომ [აშშ-ში] არჩევნების დასრულების შემდეგ დაუკავშირდეს „[ამერიკის] უკრაინული კონგრესის კომიტეტის“ ("Ukrainian Congress Committee of America") თავმჯდომარეს – დობრიანსკის.

1964 წ. 4 ოქტომბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: სინჯიკაშვილი, პ. სარჯველაძე, მერაბ კვიტაშვილი, დობრიანსკი, მიშა, შუშუ, ვანო მაჩაბელი.

ტოპონიმი: პარიზი.

ნიქსონი რიჩარდ – აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტი.

413. სწერს, რომ უგზავნის თავის წიგნს „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“.

1960 წ. 12 იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, შესწორებული წითელი მელით, 1 ფ.

პირი: ჯონ სპელერი (Jon P[aterson] Speller), ს. მ. რისი (S. M. Riis).

414. აცნობებს, რომ უგზავნის ბროშურას „საბჭოთა კავშირის სიძლიერე და სისუსტე. რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. სწერს, რომ წიგნში გამოთქმული პროგნოზი გამართლდა.

1960 წ. 20 იანვარი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: ჯონ. პ. სპელერი, ს. მ. რისი.

415. აცნობებს, რომ უგზავნის კვლევას საბჭოთა კავშირის შესახებ. სწერს, რომ მნიშვნელოვანია დაპყრობილი ერების შეხედულებების ცოდნა.

1972 წ. 10 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, თარიღი დაწერილია ხელით, 1 ფ.

416. წერილი აშშ-ის პრეზიდენტ [რიჩარდ ნიქსონის] საარჩევნო შტაბს. აცნობებს, რომ აშშ-ში მცხოვრები დაპყრობილი ერების წარმომადგენლები არჩევნებში მხარს დაუჭერენ მოქმედ პრეზიდენტს. სწერს, რომ დაპყრობილი ერებისათვის [პრეზიდენტობის მეორე კანდიდატის] მაკგოვერნის მოქმედებები მიჩნეულია საფრთხედ აშშ-სა და მთელი მსოფლიოსთვის.

1972 წ. 10 ოქტომბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: [ჯორჯ] მაკგოვერნი ([George] McGovern).

417. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“, რომელშიც მოცემულია, როგორია საბჭოთა კავშირი დაპყრობილი ერებისთვის. სწერს, რომ მნიშვნელოვანია დაპყრობილი ერების თვალსაზრისის ცოდნა.

1974 წ. 4 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

ნოზაძე ვიქტორ

418. გამოთქვამს კმაყოფილებას მისი ესპანეთში დასახლების შესახებ. ატყობინებს, რომ გამოსცა წიგნი „რუსეთის ძლიერება და უძლურება“, რომელმაც დიდი დაინტერესება გამოიწვია, თუმცა უსახსრობისა და ამერიკის პოლიტიკის გამო ახალი ტირაჟის გამოცემა არ შეუძლია. სწერს, რომ ურჩევენ მისი წიგნი ითარგმნოს ესპანურად და ესპანეთში გამოიცეს. სურს, მეორე გამოცემის წინასიტყვაობა დაინეროს ესპანურად და ამის გაკეთებას ირიბად სთავაზობს.

1961 წ. 6 თებერვალი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, ახლავს წერილის გაგზავნის სარეგისტრაციო ქვითარი და ბარათი ვანო ნანუაშვილის წარწერით: „ვიქტორი თებერვალი 6. 1961“, 2 ფ.

პირი: ალშიბაია, ირაკლი [ბაგრატიონი].

ტოპონიმი: ესპანეთი, ჩილე, ევროპა, საქართველო, უნგრეთი, ინგლისი, კანადა, აშშ.

419. ატყობინებს, რომ უგზავნის ჟურნალ „კავკასიონის“ ორი ნომრის საფასურს. სწერს, რომ შეიძინა ქართული საბეჭდო მანქანა. აცნობებს, რომ მისი მოწოდებები გაგზავნეს.

1964 წ. 22 აგვისტო, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 1 ფ.

პირი: იზმაილ აბაშიძე, ლ. ბაბიშვილი, ცხვედელიძე, სინჯიკაშვილი.

ტოპონიმი: ლოს-ანჯელესი, გერმანია.

420. იხსენებს 1963 წლის შეხვედრასა და მის შეხედულებებს მეორე მსოფლიო ომში ქართველების პოზიციის შესახებ. მიმოიხილავს და აფასებს არსებულ საერთაშორისო მდგომარეობას, რომლის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ ქართული საქმისთვის ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. ატყობინებს, რომ ლოს-ანჯელესში ოთხი ქართველია. სწერს ზოგიერთ ქართველ ემიგრანტს შორის არსებული უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ.

1964 წ. 14 ოქტომბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერით, მე-2 ფურცელზე ვანო ნანუაშვილის ხელით ჩანერილია ბაბიშვილის მისამართი, 2 ფ.

პირი: ჰიტლერი, ზიხერჰაიტდინსტი, ბაბიშვილი, ცხვედაძე, სინდიკე-ლი [სინფიკაშვილი].

ტოპონიმები: პარიზი, ბუქარესტი, კოტროჩენი, საქართველო, თბილისი, რუსეთი, ევროპა, აფრიკა, აზია, ლოს-ანჯელესი, ნიუ-იორკი.

ნოულენდი უილიამ (William F. Knowland) – აშშ-ის სენატორი.

421. სთხოვს გაუზიაროს კრიტიკული მოსაზრებები თავისი წიგნის – „საბჭოთა კავშირის სიძლიერე და სისუსტე“ – შესახებ.

1963 წ. 9 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, 1 ფ.

[ოკუნი ჰერბერტ] (Herbert S. Okun) – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭოთა კავშირის საქმეთა ოფისის დირექტორი.

422. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“.

1974 წ. 12 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პოსონი სტეფან (Stefan Possony) – სტენფორდის უნივერსიტეტის ჰუვერის ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების თანამშრომელი.

423. აცნობებს, რომ უგზავნის ქართულ ჟურნალს.

1968 წ. 22 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პრეტკა ვალტერ (Walter Pretka) – „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ფინანსური მდივანი.

424. სწერს, რომ უგზავნის სან-ფრანცისკოს ქართული კერის ყოველწლიურ შენატანს „დაპყრობილ ერთა ეროვნული

კომიტეტისთვის“ ("National Captive Nations Committee"). სთხოვს გაუგზავნოს საინფორმაციო ბიულეტენები.

1970 წ. 22 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პროჩილო ჯესი (Jess Prochilo) – გამომცემლობა "Vantage Press"-ის მარკეტინგის დეპარტამენტის (Promotion Department) თანამშრომელი.

425. სთხოვს, რომ გაუგზავნონ თავისი წიგნის 30 ეგზემპლარი და ფლაერები.

1974 წ. 31 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

426. აცნობებს უახლოეს მომავალში დაგეგმილი ანტიბოლშევიკური ღონისძიებების შესახებ. სთხოვს, გაუგზავნოს გამომცემლობის მიერ მისი წიგნის შესახებ გავრცელებული განცხადების ასლი.

1974 წ. 29 აპრილი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

427. სთხოვს აცნობოს, თუ არის გამომცემლობა "Vantage Press"-ის ფილიალი პარიზში.

1974 წ. 28 ივნისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

428. აცნობებს, რომ, სავარაუდოდ, თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ ყდის გამო (ყდაზე გამოსახულია სსრკ-ის სიმბოლო – ნამგალი და ურო) მაღაზიები ვიტრინაში არ დებენ. სთხოვს, მიაწოდოს წიგნის გაყიდვების ფინანსური ანგარიში.

1975 წ. 2 აპრილი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

რასი ჰერმან (Herman Russ) – გამომცემლობა "Vantage Press"-ის ვიცე-პრეზიდენტი.

429. აცნობებს, რომ წიგნის დაბეჭდვისთვის მათ მიერ შეთავაზებული თანხის გადახდა არ შეუძლია, ამიტომ სთავაზობს მისთვის მისაღებ პირობას.

1971 წ. 5 ნოემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

430. აცნობებს, რომ მიიღო ხელშეკრულება და ეთანხმება შეთავაზებულ პირობებს, თუმცა სთხოვს 32-ე პუნქტის განმარტებას.

1973 წ. 15 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

431. აცნობებს, რომ გამომცემლობის დირექტორს გაუგზავნა თავისი წიგნის ბოლო გვერდები. სთხოვს, აცნობონ რამდენ ხანში დაიბეჭდება წიგნი. სწერს ახალ მისამართს.

1973 წ. 7 აგვისტო, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

432. ეხება თავისი წიგნის დაბეჭდვის გაჭიანურების საკითხს. სწერს, რომ თუ ერთ თვეში კვლავ არ მიიღებს პასუხს, იძულებული გახდება, საქმე ადვოკატს გადასცეს.

1974 წ. 21 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: ფ. დრეიფუსი (F. Dreyfus).

433. სთხოვს აცნობოს, ვის გაუგზავნოს თავისი ნაშრომი „სს-რკ-ის სიძლიერე და სისუსტე“.

1972 წ. 5 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

434. აცნობებს, რომ მიიღო თავისი წიგნის „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ პირველი ეგზემპლარი. მაღლობას უხდის წიგნის გამოცემისთვის.

1974 წ. 8 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

რეგნერი ჰენრი (Henry Regnery) – გამომცემელი.

435. აცნობებს, რომ უგზავნის წიგნს „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე, რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ და იმედი აქვს, რომ დაუბეჭდავენ. სწერს, რომ ამ წიგნზე დიდი მოთხოვნაა სხვადასხვა უნივერსიტეტიდან და სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან.

1959 წ. 29 იანვარი, ბოსტონი.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ლურჯი მელნით და ფანქრით, 3 ფ.

პირი: ლევ ე. დობრიანსკი, ჯეიმს ბურნჰამი, მარკ ო'კონორი, კატლენ დრისკოლი.

რევეი ჯულიან (Julian Revay) – „ამერიკის უკრაინული კონგრესის კომიტეტის“ ("Ukrainian Congress Committee of America") წევრი.

436. სთხოვს აცნობოს, თუ არის შესაძლებელი, მათი ორგანიზაციის კანდიდატი წარადგინონ ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის ეთნოსის კვლევების ინსტიტუტში. სთავაზობს თავის რამდენიმე სტატიას უკრაინულ ჟურნალებში ("The Ukrainian Bulletin" და "The Ukrainian Quarterly") დასაბეჭდად.

1957 წ. 26 სექტემბერი, მასაჩუსეტსი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, 1 ფ.

რეიგანი რონალდ – კალიფორნიის შტატის გუბერნატორი, აშშ-ის პრეზიდენტი.

437. აცყობინებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“, რომელიც გააცნობს საბჭოთა კავშირის დაპყრობილი ერების შეხედულებებს.

1974 წ. 15 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

როკფელერი ნელსონ (Nelson A. Rockefeller) – ნიუ-იორკის გუბერნატორი.

438. უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“, რომელიც გააცნობს საბჭოთა კავშირის დაპყრობილი ერების შეხედულებებს.

1974 წ. 15 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

რუდი კარლოტ (Carlot A. Rood)

439. სწერს თავის მისამართს. აცნობებს, რომ უგზავნის შეტყობინებას ჩაიკოვსკისთვის (Czajkowski).

1951 წ. 12 დეკემბერი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

440. უთანხმებს შეხვედრის დროს.

1952 წ. 21 ივნისი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

სალტონსტალი ლევერეტ (Leverett Saltonstall) – აშშ-ის სენატორი.

441. ატყობინებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე – რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“.

1957 წ. 20 აპრილი, დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

სარჯველაძე პავლე

442. აცნობებს, რომ „ქართული საკითხის“ ცენტრი უნდა იყოს ევროპა, რადგან აშშ-სა და ევროპას განსხვავებული შეხედულებები აქვთ „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ საკითხის მიმართ. სწერს აშშ-ში რუსული ემიგრაციის საქმიანობის შესახებ. აცნობებს, რომ შუამავალი პირების გარეშე ითანამშრომლებს „პარიზთან“. ჩამოთვლის იმ საკითხებს, რომლებზედაც აინტერესებს პასუხი.

1963 წ. 12 ოქტომბერი, სან-ფრანცისკო.

ავტოგრაფი, ხელმოწერით, ახლავს კონვერტი, 3 ფ.

პირი: ა. კეკელია.

ტოპონიმები: პარიზი, ევროპა, მიუნხენი, ამერიკა, რუსეთი.

443. ეხება ქართული პოლიტიკური ემიგრაციის სამოქმედო გეგმას, ქართული საკითხისა და საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზს. აცნობს ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებს. გამოსაქვეყნებლად სთავაზობს 2 სტატიას. სწერს თავისი წიგნის [„რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“] თაობაზე.

1964 წ. 30 აგვისტო, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 5 ფ.

პირები: ტარასი, ჰიტლერი, ნაპოლეონი, მ. კვიტაშვილი, თოხარაძე, კინწურაშვილი, ვ. ნოზაძე, აბრამჩიკი, ევგენი გეგეჭკორი, ლენინი.

ტოპონიმები: რუსეთი, ამერიკა, ევროპა, საფრანგეთი, ურალი, კანადა, ინგლისი, პარიზი, მოსკოვი, აშშ.

444. ატყობინებს, რომ ჟურნალის მომდევნო ნომრისთვის გაუგზავნის 100 დოლარს და მიანოდებს ჟურნალში დასაბეჭდად გამზადებულ სტატიას.

1964 წ. 14 სექტემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი; ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: თოხარაძე.

445. ატყობინებს, რომ უგზავნის თავისი ორი სტატიის ასლს.

1964 წ. 1 ოქტომბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ბოლონაკლული, 1 ფ.

პირები: ლენინი, ტარასი [წულაძე].

446. ატყობინებს, რომ დასაბეჭდად გაუგზავნის მასალას. სწერს თავის შეხედულებებს საერთაშორისო მდგომარეობისა და ქართული საკითხის შესახებ.

1964 წ. 10 ნოემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 1 ფ.

447. სწერს, რომ სასურველია, ჟურნალი გამოდიოდეს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ატყობინებს, როგორ მუშაობენ ამერიკაში რუსი აგენტები „კ.გ.ბ“-ს დახმარებით ქართული მხარის წინააღმ-

დეგ. სთხოვს, რომ თავისი სტატია ფრანგულ ჟურნალში დაიბეჭდოს ინგლისურ ენაზე. აცნობებს, რომ ამერიკის ქართული სათვითგზომოდან გამოვიდა და პარიზის სათვითგზომოში ჩაენერა.

1964 წ. 26 დეკემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 2 ფ.

პირები: სინჯიკაშვილი, დემეტრაშვილი, ახმეტელი, კობიაშვილი.

ტოპონიმები: პარიზი, იტალია, ვარშავა, ბუქარესტი.

448. აცნობებს თავის შეხედულებებს შემდეგ საკითხებზე: 1. ჟურნალი; 2. საერთო მდგომარეობა; 3. ქართული ემიგრაციის როლი; 4. საერთო ცენტრი; 5. მორიგი წერილმანები.

1965 წ. 2 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 4 ფ.

პირები: მასარიკი, პადარესკი, ი. პილსუდსკი, რეზო გაბაშვილი, კორძაია, ვაჩნაძე, აბრამჩიკი.

ტოპონიმები: რუსეთი, ამერიკა, ჩინეთი, მოსკოვი, ევროპა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია, ინგლისი, პარიზი, მიუნხენი, საფრანგეთი, გერმანია.

449. სწერს ქართული და ფრანგული ჟურნალების გამოცემის შესახებ. ატყობინებს, როგორი დამოკიდებულებაა აშშ-ში ქართული საკითხის მიმართ. ეხება ქართულ ემიგრაციაში რუსი აგენტების საქმიანობას.

1965 წ. 12 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 3 ფ.

ტოპონიმები: ნიუ-იორკი, რუსეთი, მოსკოვი, ლონდონი.

450. ატყობინებს, რომ უგზავნის თანხას და გამოსაქვეყნებელ მასალას. სთხოვს გაუგზავნოს ფრანგული ჟურნალისა და ქართული „ჩვენი დროის“ დამატებითი ეგზემპლარები. სწერს თავის ნაშრომებთან დაკავშირებული გამოხმაურებების შესახებ. სთავაზობს თავისი წიგნის ევროპაში გამოცემას. აცნობებს, რომ რუსეთის ერთიანობას ამერიკელები რუსებზე მეტად იცავენ, რადგან აშშ-ის ადმინისტრაციაში (საგარეო საქმეთა სამინისტრო, სამხ-

ედრო აპარატი, პოლიტიკური დაზვერვა) დიდი გავლენა აქვთ რუსებს.

1965 წ. 1 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 2 ფ.

პირები: ლადო არველაძე, ლევან ზურაბიშვილი.

ტოპონიმები: ევროპა, საფრანგეთი, რუსეთი, მოსკოვი.

451. სწერს, რომ არ მიუღია [ფრანგულენოვანი ჟურნალი], სთხოვს მიზეზების გარკვევას. ატყობინებს, რომ ამერიკის ბანკით გაუგზავნა თანხა, სთხოვს მიღება დაუდასტუროს.

1965 წ. 14 მარტი.

ავტოგრაფი, შავი, ლურჯი და წითელი მელნით, 1 ფ.

პირი: ქვარიანი.

ტოპონიმები: პარიზი, ვარშავა.

452. ატყობინებს, რომ მიიღო მისი გამოგზავნილი პერიოდული გამოცემები და წერილები. სწერს მასალის მიღების სირთულეების შესახებ. ასევე ეხება ქართულ და ფრანგულ გამოცემებთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხს. აცნობებს, რომ თავის სტატიას „მსოფლიო გზაჯვარედინზე“ ვერ დაბეჭდავენ ჟურნალებში: „ქართული აზრი“ და „ცნობის ფურცელი“ მისი შეხედულებებისა და პოზიციის მიუღებლობის გამო. ეხება იუნკერთა კავშირის პერიოდულ ორგანოს – „მხედარს“.

1965 წ. 24 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 2 ფ.

პირები: ლადო არველაძე, სინჯიკაშვილი.

453. აცნობებს, რომ მიიღო ფრანგული ჟურნალის გამოცემები და გაავრცელა ისინი. განუმარტავს [საფრანგეთში] მყოფი იუნკრებისადმი „მხედრის“ და მისი ჯგუფის უთანხმოების მიზეზებს. მიაჩნია, რომ ქართული საქმის მოწინააღმდეგეთა ბრალდებების გასაფანტად საჭიროა ვრცელი და არა მცირე ზომის სტატიების წერა. ეთანხმება საქართველოდან ჩამოსულ „მოცეკვავეებთან“ დაკავშირებით მის პოზიციას. ატყობინებს თავის მოსაზრებას

ამერიკის ინტერესების შესახებ, ასევე – ამერიკაში მყოფი ქართველი და სხვა ემიგრანტების მდგომარეობას.

1965 წ. 10 მაისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერით, 3 ფ.

პირი: [ლადო] არველაძე.

ტოპონიმები: პოლონეთი, ამერიკა.

454. სწერს, რომ ფარნა ლომაშვილის ბროშურას გაეცნო, ამასთან დაკავშირებით ატყობინებს თავის მოსაზრებებს საპასუხო მოქმედებების თაობაზე. სწერს იმ გაუგებრობის შესახებ, რაც წარმოიქმნა მასა და ზოგიერთ ემიგრანტს შორის. აცნობებს, რომ აშშ-ში ქართული ემიგრაციისა და ქართული გაერთიანების შექმნისთვის რთული პირობებია შექმნილი, ამიტომ მიაჩნია, რომ ემიგრაციის მთავარი ცენტრი უნდა არსებობდეს ევროპაში.

1965 წ. 6 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 3 ფ.

პირები: ფარნა ლომაშვილი, შალვა ბერიშვილი, ლენინი, ლევან ზურაბიშვილი, რეზო, არჩილ მეტრეველი, დემეტრაშვილი, ლადო [არველაძე], ისიდორე [გაყონია ?], ალექსანდრე მანველიშვილი.

ტოპონიმები: მოსკოვი, რუსეთი, პარიზი, პოლონეთი, ევროპა, საქართველო.

455. აცნობებს, რომ დღის წესრიგში დგას საქართველოს ემიგრანტული მთავრობის არქივის გაყიდვის საკითხი. სწერს იმ საფრთხის შესახებ, რასაც ეს ფაქტი შეიცავს. სთხოვს, არ გაამჟღავნოს ამ ინფორმაციის მიმღები წყარო.

1965 წ. 17 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 1 ფ.

პირები: ბორის სუვარინი (Boris Souvarine), ნ[ოე] ცინცაძე.

ტოპონიმები: საქართველო, რუსეთი, ამერიკა.

456. სწერს, რომ ეთანხმება მის პოზიციას [ფარნა ლომაშვილის ბროშურასთან დაკავშირებით] და საჭაერო ფოსტით უგზავნის მასალებს.

1965 წ. 9 ოქტომბერი, სან-ფრანცისკო.

ავტოგრაფი, ფანქრით, ერთი სიტყვა ჩასწორებულია მელნით, 1 ფ.

457. სთხოვს დახმარებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თავმჯდომარის – [ნიკოლოზ] მუსხელიშვილის – ნათესავისთვის. სწერს ფარნა ლომაშვილის ბროშურაში არსებულ ფაქტებს, რომლებიც ქართველ სამხედროებს ეხება. ასევე აღნიშნავს დევიდ ლენგის მიერ საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომების შესახებ.

1965 წ. 12 ოქტომბერი.

ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

პირები: [ნიკოლოზ] მუსხელიშვილი, სერგო მიქაელიანი, გ. შანშიაშვილი, ფარნა ლომაშვილი, ჩოლოყაშვილი, დ[ევიდ] ლენგი.

ტოპონიმები: საბერძნეთი, პოლონეთი.

458. ატყობინებს, რომ ეთანხმება „საერთო ფრონტის ხაზს“, აცნობებს [აშშ-ში] ქართული საქმის მდგომარეობის შესახებ. განიხილავს დ[ევიდ] ლენგის წიგნს. სწერს, რომ აშშ-ს არ უღიარებია საქართველოს დამოუკიდებლობა.

1965 წ. 8 ნოემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 2 ფ.

პირები: დ. ლენგი, გაგარინი, დადეშქელიანი, შულენბურგი, ფონ კრესენშტაინი.

ტოპონიმები: ოსმალეთი, რუსეთი, ამიერკავკასია, საქართველო, ინგლისი, გერმანია.

459. სწერს, რომ საჰაერო ფოსტით უგზავნის სკრიპტს „პასუხი საქართველოს ოკუპანტებს“.

1966 წ. 12 აპრილი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 2 ფ.

პირი: ლ. ზურაბიშვილი, ლენინი.

ტოპონიმი: შვეიცარია, შვედეთი, საქართველო.

460. წერილი პავლე სარჯველაძესა და უცნობ პირს – ლევანს. ეხება საბჭოთა რუსეთისა და აშშ-ის მოქმედებას საბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ. სწერს საერთაშორისო პოლიტიკაში რუსე-

თისა და აშშ-ს მოკავშირეობის, მათი საერთო ინტერესების, ასევე „ამერიკული კომიტეტის“ საქმიანობის შესახებ. აცნობებს, რომ რუსული ემიგრაცია და მისი დახმარებით ზოგიერთი ქართული ემიგრანტული ჯგუფი ქართული საკითხის წინააღმდეგ მოქმედებენ.

1966 წ. 20 ივნისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, 7 ფ.

პირები: რეზო, ლომაშვილი, ადმირალი კოლჩაკი, ვალდერზე, კუნი-ჰოლი, ჩხენკელი, თეიმურაზი [ბაგრატიონი], აბრამჩიკი, რომანოვი, გოლენოვსკი, ტარსაიძე, დუმბაძე, დავით ვაჩნაძე, ნათიშვილი, სინ-ჯიკაშვილი.

ტოპონიმები: პარიზი, საბჭოთა კავშირი, რუსეთი, აშშ, სან-ფრანცისკო, ჩინეთი, ევროპა, თბილისი, კიევი, ვარშავა, აფრიკა, ოსმალეთი, ლონდონი, მიუნხენი.

სმალ-სტოცკი რომან (R[oman] Smal-Stocki) – უკრაინელი დიპლომატი, მეცნიერი, პოლიტიკოსი და „პრომეთეს“ წევრი.

461. ეხება „საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკულ საბჭოს“.

1957 წ. 21 თებერვალი, მასაჩუსეტსი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

სმიტი ედვარდ ელის (Edward Ellis Smith) – ისტორიკოსი, მწერალი, აშშ-ის საგარეო სამსახურის ოფიცერი, CIA-ს აგენტი.

462. ატყობინებს, რომ უგზავნის სტატიას „უკანასკნელი იმპერიის ბინდი“. აცნობებს თავის მოსაზრებას დაპყრობილი ერების მდგომარეობის შესახებ.

1971 წ. 21 დეკემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

სპელერი ჯონ პატერსონ (Jon P. Speller) – გამომცემელი.

463. აცნობებს, რომ გენერალ გლაზკოვის (Glazkow) მიერ მიწოდებული ინფორმაცია რეალობას შეესაბამება. სწერს, რომ დაუკავშირდება შეხვედრის დეტალების შესათანხმებლად.

1954 წ. 24 აპრილი, [ბოსტონი].

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

464. სწერს თავის ახალ მისამართს. აცნობებს, რომ ეთანხმება გენერალ [ვასილი] გლაზკოვის ([Wasili] Glazkow) იდეებს და მზად არის, ყველაფერი გააკეთოს მათი რეალიზაციისთვის.

1954 წ. 5 აგვისტო, [ბოსტონი].

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

465. სწერს სამსახურის მისამართს, სადაც შეუძლიათ შეხვედრა და დისკუსია. აწვდის ცნობებს თავისი სამხედრო სტატუსისა და განათლების შესახებ.

1958 წ. 28 თებერვალი, [ბოსტონი].

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: ადამ კოცი (Adam Koc), გენ. ზაქარიაძე, [კაზიმირეჟ] სოსნკოვსკი (Kazimierz Sosnkowski).

ტოპონიმი: ლვოვი.

466. კერძო ხასიათის.

1958 წ. 18 მარტი, [ბოსტონი].

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

467. აცნობებს, რომ შეცდა, როცა თ[ეიმურაზ] ბაგრატიონი ქართველ პატრიოტად მიიჩნია, რადგან ის რუსეთის იმპერიის საქმეს ემსახურება. სწერს მისი და კარლტონ რუდის (Carlton A. Rood) თანამშრომლობის შესახებ.

1958 წ. 10 აპრილი, [ბოსტონი].

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: ჩაიკოსკი (Czajkowski), ს. კობიაშვილი.

468. აწვდის ინფორმაციას [„ევროპის თავისუფლების“ შოტლანდიური ლიგის] ("Scottish League for European freedom") თავმჯდომარისა და პრეზიდენტის შესახებ.

1958 წ. 16 მაისი, დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: ჯონ სტიუარტი (John Stewart), [ვასილი] გლაზკოვი (Wasili Glazkow), ბანდერა (Bandera), სტეცკო (Stecko), მარშალი [ედმუნდ] აირონსაიდი ([Edmund] Ironside), გენერალი მილერი.

469. სწერს, რომ ეთანხმება მის მოსაზრებას „ევროპის თავისუფლების შოტლანდიური ლიგის“ ("Scottish League for European freedom") შესახებ. აცნობებს, რომ თანამშრომლობისთვის ქართული სამხედრო ორგანიზაციებიდან ადამიანები პერსონალურად უნდა შეირჩეს.

1958 წ. 24 მაისი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: [ადამ კოცი] (Adam Koc).

470. აცნობებს, რომ ეთანხმება პოლკოვნიკ ოტო კლემენტის (Otto Klement) ჯგუფში გაწევრიანებას, რადგან ის თანამშრომლობდა მათთან „პრომეთეში“.

1958 წ. 3 ივნისი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

471. სწერს, რა საკითხებზე ისაუბრებენ პირადი შეხვედრის დროს.

1958 წ. 23 ივნისი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: [ადამ კოცი] (Adam Koc), [ვასილი] გლაზკოვი (Wasili Glazkow).

472. აცნობებს, რომ უგზავნის ამერიკულ ჟურნალს "National Review", რომელშიც დაბეჭდილია წერილი მისი სტატიის შესახებ. სწერს, რომ ექნება მათთან კავშირი ალექსანდრე სულხანიშვილის დახმარებით.

1958 წ. 19 აგვისტო, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: [ადამ კოცი] (Adam Koc), [ვასილი] გლაზკოვი (Wasili Glazkow).

473. ატყობინებს, რომ უგზავნის თავის სტატიას „დასავლეთი მიმდინარე ცივ ომში“ ჟურნალ "The Ukrainian Quarterly"-სთვის.

1958 წ. 8 ნოემბერი, ბოსტონი.

ავტოგრაფი და ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ფ. 1 – ავტოგრაფი, ლურჯი და წითელი მელნით, შავი. ფ. 2 – მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერით, 2 ფ.

474. აცნობებს, რომ უგზავნის თავის ბოლო სტატიას და აინტერესებს მისი კრიტიკული შენიშვნები და მოსაზრება ნაშრომის შესახებ.

1958 წ. 15 ნოემბერი, ბოსტონი.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ლურჯი და წითელი მელნით, ხელმოწერით, 2 ფ.

475. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. აცნობებს, რომ სურს პასუხი გასცეს "The Milwaukee Journal"-ის სტატიას და სთხოვს აცნობოს, შესაძლებელი თუ არის ამის გაკეთება.

1958 წ. 24 ნოემბერი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

476. აცნობებს, რომ დაპყრობილი ერების უსაფრთხოებისათვის აუცილებელია [„საგარეო პრესის სერვისის“] დაარსება. სწერს, რომ მიიღო საქართველოს შესახებ მასალები, რომლებიც საჭიროებს პასუხის გაცემას.

1958 წ. 24 ნოემბერი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

477. სთხოვს აცნობოს, შეუძლია თუ არა, რომ "The Milwaukee Journal"-ში დაბეჭდილი სტატიის პასუხი დაწეროს პოლონურ ენაზე.

1958 წ. 29 ნოემბერი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

478. სწერს, რომ "The Milwaukee Journal"-ის მასალები გაუგზავნა. აცნობებს, რომ ის ფრანგული არმიიდან თანამშრომლობს პოლკოვნიკთან, რომელსაც მათი დახმარება შეუძლია.

1958 წ. 6 დეკემბერი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ნასწორები, 1 ფ.

პირი: ნოვოსათიანი (Novosatian).

479. სთხოვს აცნობოს, დაიბეჭდა თუ არა "The Milwaukee Journal"-ში გამოქვეყნებულ სტატიაზე მისი პასუხი და თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილი.

1958 წ. 26 დეკემბერი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

480. აცნობებს, რომ ჟურნალის გამოცემა უმნიშვნელოვანესია. სწერს თავისი ორი სტატიის სათაურს.

[1958 წ.]

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, შავი, 1 ფ.

481. აწვდის ინფორმაციას მისი პოლონეთის არმიაში მსახურობის შესახებ.

[1958 წ. ბოსტონი].

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ფანქრით, 2 ფ.

482. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას „მსოფლიოს უკანასკნელი ევოლუცია“.

1959 წ. 11 იანვარი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

483. სწერს, რომ განზრახული აქვს, წინააღმდეგობა გაუწიოს ყველა იმ ქართველს, რომლებიც ბოლშევიკურ საქმეს ემსახურებოდნენ ამერიკაში.

1959 წ. 14 იანვარი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: ჭეიშვილი, ბალო ბილატი (Ballo Bilatti).

484. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს, რომელიც შესწორებულია დანიის გენერალური კონსულის მიერ. სწერს, რომ მის ნაშრომს ითხოვს სხვადასხვა უნივერსიტეტი და ორგანიზაცია.

1959 წ. 15 იანვარი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: დობრიანსკი, გლაზკოვი (Glazkow).

485. აცნობებს ნიუ-იორკში ყოფნის თარიღებსა და ტელეფონის ნომერს.

1959 წ. 2 თებერვალი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

[სპელერი ჯონ პატერსონ] (Jon P. Speller) (?) – გამომცემელი.

486. აცნობებს, რომ უგზავნის გაგრძელებას ჟურნალიდან "The-Milwaukee Journal".

1959 წ. 14 თებერვალი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

487. მადლობას უხდის დახმარებისთვის.

1959 წ. 6 მარტი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: ადამი, ალექსი.

488. სწერს თავის მოსაზრებას მის მიერ ნაჩუქარი წიგნის შესახებ.

1959 წ. 22 მაისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: ადამი.

ტოპონიმი: შვეიცარია.

489. აცნობებს, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ არგენტინიდან ნიუ-იორკში ჩამოყვანილმა ნაკაშიძემ შეიძლება შეცდომები დაუშვას, ამიტომ სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ.

1959 წ. 22 ოქტომბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: ნაკაშიძე, თ. ბაგრატიონი, ალექსი.

490. აცნობებს ალექსის (ალექსანდრე სულხანიშვილი ?) მისამართს. სწერს, რომ წერილის გაგზავნისას გაითვალისწინონ, რომ ალექსი მხოლოდ მშობლიურ და რუსულ ენებს ფლობს.

1959 წ. 18 დეკემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

491. აცნობებს, რომ კრონპრინცმა [თეიმურაზ ბაგრატიონმა] ამერიკის ეკლესიისგან მოიპოვა ფინანსური დახმარება პარიზის ქართული ეკლესიისთვის.

1960 წ. 17 იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: მანველიშვილი, კობიაშვილი, ცომაია.

492. ატყობინებს თავის მისამართს. სწერს, რომ პირი, რომლის შესახებაც ეკითხება, უნდა იყოს მაიორ შალიკაშვილის შვილი. აცნობებს, რომ ეძებს სამსახურს.

1960 წ. 7 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: მაიორი შალიკაშვილი.

493. აცნობებს, რომ [ალ.] მანველიშვილი თანახმაა, გახდეს ორგანიზაციის წევრი. ატყობინებს, რომ ქართველ ემიგრანტებში ტიტული პრინცი და პრინცესა მიემართება იმ პირებს, რომლებიც თანამშრომლობენ დენიკინის ჯგუფსა და რუსულ ემიგრაციასთან. აღნიშნული ჯგუფები არ აღიარებენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

1960 წ. 2 ივლისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: მანველიშვილი, მამა [ილია] (მელია), ადამი, ტარსაიძე, ვასკა ნაკაშიძე.

494. კერძო ხასიათის.

1961 წ. 4 აპრილი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

495. აცნობებს, რომ მუშაობს თავისი წიგნის გამოცემის საკითხზე.

1961 წ. 8 მაისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

496. სთხოვს აცნობოს, შესაძლებელია თუ არა მისი წიგნის დაბეჭდვა.

1961 წ. 28 მაისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

497. აცნობებს, რომ უგზავნის წიგნს შესწორებებით, ბიბლიოგრაფიას, რუკებსა და წერილს. სწერს წიგნის გამოცემასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

1961 წ. 12 ივნისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

498. სწერს თავისი წიგნის მნიშვნელობის შესახებ.

1961 წ. 2 ივლისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: სტენფორდის უნივერსიტეტის პროფ. სვარაკოვსკი (Swarakowski).

499. სწერს, რომ თუ მისი ნაშრომის გამოცემა ვერ ხერხდება, დაუბრუნონ წიგნის ხელნაწერი.

1961 წ. 20 აგვისტო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

500. სწერს, რომ თავისი წიგნის გამოცემის (1956 წ.) შემდეგ განვითარებული პოლიტიკური მოვლენები ადასტურებს მასში გამოთქმული მოსაზრებების მართებულობას.

1961 წ. 25 აგვისტო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, აქვს მინაწერი, 1 ფ.

501. წუხს, რომ თავისი წიგნის გამოცემა ვერ ხერხდება. აცნობებს საკუთარ ტელეფონის ნომერს.

1961 წ. 18 სექტემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, აქვს მინაწერი: „Speller“, 1 ფ.

502. სწერს, რომ თუ მისი წიგნის გამოცემა ვერ ხერხდება, დაუბრუნონ წიგნის ხელნაწერი.

1961 წ. 1 ოქტომბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

503. სწერს, რომ უგზავნის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშას. სთხოვს აცნობოს, თუ არის შესაძლებელი მისი წიგნის დაბეჭდვა. ატყობინებს, რომ რადიო „ამერიკის ხმისგან“ მიიღო [რადიოში მუშაობის დასაწყებად გავლილი] გასაუბრებისა და გამოცდის შედეგები.

1961 წ. 16 ოქტომბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

504. სთხოვს დაუბრუნოს თავისი წიგნის ხელნაწერი.

1961 წ. 29 ოქტომბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

505. სწერს, რომ თავის წიგნს მისთვის მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და არა ფინანსური. სთხოვს, დაუყოვნებლივ აცნობონ პასუხი წიგნის დაბეჭდვის შესახებ.

1961 წ. 20 ნოემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, ახლავს წერილის გაგზავნის ქვითარი, 1 ფ.

506. სთხოვს მხარდაჭერას იმ საკითხში, რომლის შესახებაც სწერს თანდართულ წერილში პოლონურ ენაზე.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

სტენისი ჯონ (John C. Stennis) – აშშ-ის სენატორი.

507. აცნობებს, რომ უგზავნის თავის ნაშრომს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სიტუაციის შესახებ, რომელიც მოიცავს დასავლეთის სპეციალისტებისთვის უცნობ მასალებს.

1971 წ. 22 ნოემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

508. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. სწერს, რომ მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უმრავლესობის – დაპყრობილი ერების თვალსაზრისის ცოდნა.

1974 წ. 7 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

სტეტსკო სლავა (Slava Stetsko) – „ერების ანტიბოლშევიკური ბლოკის“ (ABN – "Antibolshevik Bloc of Nations") პრესბიუროს თანამშრომელი.

509. სთხოვს გაუგზავნოს [„ერების ანტიბოლშევიკური ბლოკის“] ბიულეტენის – "ABN Correspondence" – ხუთი ეგზემპლარი.

1967 წ. 16 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

510. ეხება თავისი სტატიების ABN-ში ("Antibolshevik Bloc of Nations") დაბეჭდვის საკითხს.

ახლავს სტატიის „ლენინი და ეროვნული საკითხი“ გაგრძელება.

1969 წ. 28 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 3 ფ.

511. სწერს, რომ აშშ-ში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ მათი საქმიანობა შეფერხდა, თუმცა საერთაშორისო მდგომარეობა განთავისუფლებისათვის მებრძოლი ერების სასარგებლოდ იცვლება. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას „ლენინი და ეროვნული საკითხი“, რომელიც მისი წიგნის ერთ-ერთი თავია. ატყობინებს, რომ მისი ორი სტატია დაიბეჭდა უკრაინულ ჟურნალში "Ukrainian Quarterly".

1967 წ. 3 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ და პოლონურ ენებზე, ხელმოწერით, 3 ფ.

პირი: რომან სმალ-სტოცკი (Роман Смаль-Стоцкий), დობრიანსკი.

სტიუარტი ჯონ (John F. Stewart) – „ევროპის განთავისუფლების შოტლანდიური ლიგის“ ("Scottish League for European freedom") წევრი.

512. სწერს, რომ მიესალმება „ევროპის განთავისუფლების შოტლანდიური ლიგის“ საქმიანობას. წუხს, რომ აქამდე არ ჰქონდა მჭიდრო კავშირი ამ ლიგასთან. აცნობებს, რომ [აშშ-ში] თავისი წიგნის გამოცემა ვერ ხერხდება, ამიტომ აინტერესებს, თუ არის შესაძლებელი, რომ წიგნი დაბეჭდოს ინგლისში.

1958 წ. 14 მაისი, მასაჩუსეტის შტატი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

სუზა ჯენეტ (Janet Susa) – გამომცემლობა "Vantage Press"-ის სარედაქციო დეპარტამენტის თანამშრომელი.

513. ატყობინებს, რომ უგზავნის მის მიერ შესწორებული წიგნის („რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“) სუპერყდას.

1973 წ. 20 მარტი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

ტენენბერგი რობერტა (Roberta Tenenberg) – გამომცემლობა "Vantage Press"-ის წიგნის გამომცემელი.

514. სწერს, რომ უბრუნებს თავისი წიგნის კორექტურას.

1973 წ. 26 თებერვალი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

515. აცნობებს, რომ გაუგზავნის წიგნისთვის ავტორის წინასიტყვაობის დამატებას.

1973 წ. 9 მარტი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

516. აცნობებს, რომ უგზავნის თავისი წიგნისთვის – „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ – ავტორის წინასიტყვაობისთვის დასამატებელ ტექსტს.

ახლავს გაგზავნილი ტექსტი.

1973 წ. 11 მარტი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

517. სთხოვს აცნობონ, წიგნისთვის განკუთვნილი ავტორის წინასიტყვაობას დაამატეს თუ არა მის მიერ გაგზავნილი ტექსტი.

1973 წ. 26 მარტი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

518. აცნობებს, რომ უგზავნის წიგნის ბოლო კორექტურას.

1973 წ. 19 ივნისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

519. სთხოვს, გაუგზავნოს მის შესახებ გაკეთებული რეკლამები, ასევე – თარიღები და მისამართები იმ გაზეთებისა, რომლებშიც ეს რეკლამებია დაბეჭდილი.

1974 წ. 20 აპრილი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

520. სთხოვს, გაუგზავნონ თავისი წიგნის „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ 10 ეგზემპლარი.

1974 წ. 15 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

ტომპსონი დორის (Doris W. Thompson) – "Francis Scott Key Book Shop"-ის თანამშრომელი.

521. აცნობებს, რომ თავისი ნაშრომი „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ მთლიანად ითარგმნა და დაიბეჭდა. სწერს, რომ უგზავნის ამ ნაშრომის ასლს.

[1954 წ.], მასაჩუსეტსი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

ტრემბიციკი ვოლოდიმირ (Володимир Трембіцький) – უკრაინელი ისტორიკოსი.

522. აწვდის ინფორმაციას ამიერკავკასიის ფედერაციული და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკების შესახებ.

[1958 წ.]

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 2 ფ.

პირი: ეგგენი გეგეჭკორი, ნიკოლოზ ჩხეიძე, აკაკი ჩხენკელი.

523. სწერს საკონტაქტო ინფორმაციას იმ პიროვნებებისა და ორგანიზაციების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ დაეხმარონ მისთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებაში.

1958 წ. 25 ნოემბერი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

პირი: ბ. ბილატი (B. Bilatti), ზაჰირ ჩან ჩოისკი (Zahir chan Chojski), [ნოე] ჟორდანია, ა. სულხან (ალექსანდრე სულხანიშვილი ?).

უოლესი ჯორჯ (George C. Wallace) – ალაბამას შტატის გუბერნატორი.

524. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“, რომელიც გააცნობს საბჭოთა კავშირის დაპყრობილი ერების შეხედულებებს.

1974 წ. 15 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

ურუშაძე ნიკო.

525. საერთაშორისო ვითარების კონტექსტის გათვალისწინებით აუცილებლად მიიჩნევს ერთიანი ქართული ეროვნული ფრონტის არსებობას და ფიქრობს, რომ დამღუპველია რუსოფილური პოლიტიკის გატარება.

[1955 წ.] 2 ოქტომბერი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, ახლავს კონვერტი, 2 ფ.

პირი: ანდრო გუგუშვილი, ცინცაძე, ტ. წულაძე, პავლე სარჯველაძე.

ფლუდი დანიელ (Daniel E. Flood) – აშშ-ის წარმომადგენლობათა პალატის წევრი.

526. აცნობებს, რომ უგზავნის ჟურნალის – „ქართული კერა სან ფრანცისკოში“ – ნომრებს. სწერს, რა საკითხებს ეხება აღნიშნულ ჟურნალში დაბეჭდილი სტატიები. სთავაზობს დაწვრილებითი ცნობების მიწოდებას საბჭოთა კავშირის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების შესახებ.

1970 წ. 12 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

527. სთხოვს, სან-ფრანცისკოს ქართულ კერას გაუგზავნოს „სახლის დოკუმენტი №91-184 დაპყრობილი ერების კვირეულის შესახებ“.

1970 წ. 14 აგვისტო, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

528. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას „უკანასკნელი იმპერიის ბინდი“. ატყობინებს, რომ დაპყრობილ ერებს ჰყავთ სამხედრო სპეციალისტები, რომლებიც კარგად იცნობენ საკუთარ მტერს. სწერს, რომ, როგორც გენერალური შტაბის ოფიცერი, საჭირო ინფორმაციას აწვდის ყველას, ვინც დაპყრობილი ერების პრობლემატიკით არის დაინტერესებული.

1971 წ. 17 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

ფულბრაიტი ჯეიმს (James W. Fulbright) – აშშ-ის სენატორი.

529. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“.

1974 წ. 7 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

შანდორი ვ. (В. Шандор) – პანამერიკული უკრაინული კონფერენციის წევრი.

530. სწერს, რომ სირთულეებმა მათი საქმიანობა არ უნდა შეაფერხოს. აცნობებს, რომ ის აპირებს მოამზადოს წერილი კავკასიის მნიშვნელობის შესახებ.

1958 წ. 5 მაისი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

პირი: პოლონელი გენ. [პავლო] შანდრუკი (Pawło Szandruk), დობრი-
ანსკი.

531. აცნობებს, რომ განზრახული აქვს, მოიძიოს ფაქტები იმის დასამტკიცებლად, რომ კავკასიისა და უკრაინის ტერიტორიების გარეშე რუსეთი განიარაღებული იქნება და ვერ შეძლებს მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებას.

1958 წ. 14 ივლისი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, შავი, 1 ფ.

პირი: დუშნიკი.

532. სწერს, რომ ის [ბოსტონში] მარტო არის და არ შეუძლია ნატოსთან დაკავშირებული აქციის ორგანიზება. სთავაზობს, მსგავსი აქციები დაიგეგმოს რუსეთის მიერ დაპყრობილ ხალხთან ერთად. აცნობებს, რომ მალე გაუგზავნის სტატიას „მიმდინარე ცივი ომი“ ("Current Cold War").

1958 წ. 22 სექტემბერი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, შავი, 1 ფ.

533. სთხოვს აცნობოს, როგორ გამოიყენებს მის სტატიებს ვ. დუშნიკი. ასევე სწერს, გაუგზავნოს ჟურნალის "The Ukrainian Quarterly"-ის ახალი ნომრები.

[1958 წ. ბოსტონი].

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

პირი: ვ. დუშნიკი (В. Душник), დობრიანსკი.

შანდრუკი პავლო (Pawło Szandruk) – პოლონელი გენერალი.

534. სწერს, ვინ შეასრულებს ორგანიზაციაში საქართველოს წარმომადგენლის ფუნქციას მისი არყოფნის დროს.

1958 წ. 24 მარტი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

პირი: გენ. ვლადისლავ ბორტნოვსკი (general Władysław Bortnowski).

ჩიზი იაროსლავ (Yaroslav J. Chyz) – ამერიკის ერთიანობის საერთო საბჭოს ასოცირებული დირექტორი.

535. აცნობებს, რომ მიიღო [ჰოლის] ჰოდჯეს (Hollis W. Hodges) წერილის ასლი. მაღლობას უხდის დახმარებისთვის.

1957 წ. 23 მარტი, დორჩესტერი (მასაჩუსეტსი).

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

536. აცნობებს, რომ უგზავნის ბროშურის – „საბჭოთა კავშირის სიძლიერე და სისუსტე“ – ორ ასლს. სთხოვს დაეხმაროს აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნებაში.

1956 წ. 6 დეკემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

წულაძე ტარასი

537. ეხება საბჭოთა აგენტურისა და მონარქისტის რუსული ემიგრაციის მოქმედებას საბჭოთა კავშირის ერთიანი ემიგრაციის საქმიანობის წინააღმდეგ. სწერს, რომ ჩრდ. კავკასიელი პოლკოვნიკ ნატრიბოვის ჯგუფი აპირებს ეროვნული გლოვის დღის აღნიშვნას, რომელშიც ზოგიერთი ქართველი ემიგრანტიც მიიღებს მონაწილეობას. აცნობებს, რომ „ამერიკული კომიტეტის“ ინიციატივით აშშ-ში არსდება სამეცნიერო ინსტიტუტი. სთხოვს ევგენი გეგეჭკორმა მისწეროს კომიტეტს, რათა ინსტიტუტის დაარსებაში მონაწილეობა მიაღებინონ მის ორგანიზაციასაც [„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“]. ატყობინებს, რომ ი[რაკლი] ორბელიანმა ავადმყოფობის გამო შეიძლება დატოვოს სამსახური რადიო [„ამერიკის ხმაში“]. ურჩევს მის ნაცვლად ვინმე მათი მომხრე ან ნეიტრალური ამერიკელი პირის დანიშვნას შეუწყონ ხელი. სწერს ორგანიზაციის შიდა საკითხებს და მასა და ლეო დუმბაძეს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე, ასევე – აშშ-ში ქართულ ემიგრაციაში არსებული უთანხმოების შესახებ. აცნობებს თავის შეხედულებას – როგორი უნდა იყოს მათი მოქმედების პრინციპები და მიზნები ორგანიზაციული მუშაობის დროს.

1954 წ. 28 თებერვალი.

ავტოგრაფი, ასლი, 3 ფ.

პირი: პოლკოვნიკი ნატრიბოვი, ლეო დუმბაძე, კვიტაშვილი, ცომაია, კუნიხოლმი, ე. გეგეჭკორი, ი. ორბელიანი, გოლდმანი, ა. ასათიანი, ნ. ჟორდანია, [ისიდორე გაჟონია] გაჟონია, პავლე სარჯველაძე, ჭოფოძე-სურამელი, აკ. რამიშვილი, ა. კეკელია, სინჯიკაშვილი, ბარათელი-პიტავა.

538. აღნიშნავს, რომ უმუშევრობისა და უსახსრობის გამო იძულებულია, დატოვოს ნიუ-იორკი და შეწყვიტოს აქტიური პოლიტიკური საქმიანობა. ატყობინებს, რომ ჩრდ. კავკასიელებმა აღნიშნეს 1944 წელს მომხდარი მასობრივი გადასახლებები. სწერს, რომ ნიუ-იორკის ქალაქის თვითმმართველობაში შედგა „პარიზის ბლოკის“ დაარსების ერთი წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი. აცნობებს აშშ-ში (ნიუ-იორკი) აზერბაიჯანისა და ჩრდ. კავკასიის პოლიტიკური ემიგრაციის მდგომარეობისა და ქართულ ემიგრაციასთან ურთიერთობის შესახებ. ეხება რუსი მონარქისტების მოქმედებას და მათ გავლენას კავკასიის ერთა ემიგრაციაზე, ასევე – ქართველებს, რომლებიც მონარქისტების მხარეს მოქმედებენ. აცნობებს ქართულ ემიგრაციაში მიმდინარე პროცესებს, ემიგრანტების ურთიერთობისა და წინააღმდეგობის შესახებ.

1954 წ. 22 მარტი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, ფანქრით, ფ. 4 – მცირე ზომის, 4 ფ.

პირი: ლ[ეო] დუმბაძე, სენატორი კერსტენი, ნაკასაციანი, რასულ ზადე, შეიხ ულ ისლამი, დუდარდინსკი, აკბარი, სანხოისკი, პოლკ. ქაზუმბეკი, ბალო ბილატი, შიჰშევი, ნამიტოვი, ვარსან-სირეი, ჯაბაგი, ომარ გაიდარი, ავტარხანოვი, ბამატი, გენ. ზაქარიაძე, პოლკოვნიკი ნატირბოვი, სოლომონ ერისთავი, სერგეევსკი, კუჩ მახუკიანი, ჩერმოევი, ცომაია, კვიტაშვილი, ი. გოლდმანი, ი. გაჟონია, ჩხოტუა, ფატმა ხანუმი.

ტოპონიმი: პარიზი, ნიუ-იორკი, მიუნხენი, სტამბოლი, არგენტინა.

539. ატყობინებს, რომ „ამერიკული კომიტეტის“ ინიციატივით, მიუნხენის მსგავსად, აშშ-შიც არსდება სსრკ-ის ერთა აკადემიური წრე, რომლის შექმნის საინიციატივო კომიტეტში შეიყვანეს

ალექსანდრე ცომაია. სთხოვს ამ საკითხთან დაკავშირებით ევგენი გეგეჭკორმა მისწეროს წერილი „კომიტეტს“. აცნობებს „ამერიკული კომიტეტის“ წევრებთან შეხვედრისას განხილულ სხვა საკითხებსაც. სწერს, რომ რუსი მონარქისტები უპირისპირდებიან ქართველ ემიგრაციასა და მის ორგანიზაციას.

1954 წ. 26 მარტი.

ავტოგრაფი, ფანქრით, 2 ფ.

პირი: ა. ცომაია, კვიტაშვილი, ნიკოლაევსკი, კუნიხოლმი, [ევგენი] გეგეჭკორი, ზურაბ ჩხატუა, სერგეევსკი.

ტოპონიმი: მიუნხენი.

540. სწერს, რომ „ამერიკულმა კომიტეტმა“ გადასცა მოქმედების გეგმა და წერილები, რადგან მათთან თანამშრომლობა სურთ. აცნობინებს, რომ „ამერიკული კომიტეტის“ ინიციატივით ამერიკაში ტარდება მიუნხენის სამეცნიერო ორგანოს მიერ მოწვეული კონფერენცია, რომელშიც ისინი პროტესტის გამო მონაწილეობას არ მიიღებენ. სთხოვს „ამერიკულ კომიტეტს“ განუმარტონ, რომ ემიგრანტული მთავრობა ამერიკაში მხოლოდ მათ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს. ურჩევს, ი[ლია] გოლდმანი გაარკვიონ ქართული ემიგრაციის საშინაო საქმეებში.

1954. წ. 3 აპრილი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, ფანქრით და მელნით, ფ. 2 მცირე ზომის, 2 ფ.

პირი: ევგენი [გეგეჭკორი], მელგუნოვი, ა. ცომაია, მ. კვიტაშვილი, ტერპაკი, კობიაშვილი, ი. გოლდმანი, ზურაბი [ჩხატუა ?].

ტოპონიმი: მიუნხენი.

541. აცნობებს, რომ პარიზელი ქართველები საყვედურობენ ნიკოლაევსკის იმის გამო, რომ მას აქვს კავშირი „რეაქციონერ ქართველებთან“. სწერს მეორე მსოფლიო ომში გერმანელების მხარეს ქართველების მონაწილეობისა და ომის დროს მისი პოზიციის შესახებ.

1954 წ. 5 აპრილი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, ფანქრით, 2 ფ.

პირი: ნიკოლაევსკი, ი. წერეთელი, ჰიტლერი, პავლე სარჯველაძე, გიორგი კერესელიძე, დათა.

ტოპონიმი: პარიზი, ბერლინი, საფრანგეთი.

542. ეხება „ამერიკულ კომიტეტთან“ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ურთიერთობის საკითხს. სწერს, რომ გადაწყვეტილი აქვთ, პროტესტი გამოხატონ იმ კონფერენციის მიმართ, რომლის შესახებაც წინა წერილში აცნობებდა.

1954 წ. 9 აპრილი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, ფანქრით, 1 ფ.

პირი: გენ. დრო, ევგენი [გეგეჭკორი], გოლდმანი.

ტოპონიმი: პარიზი.

543. ატყობინებს, რომ საცხოვრებლად გადადის ბოსტონში. სწერს ქართული ემიგრაციის ამერიკასთან ურთიერთობის შესახებ და ამ საკითხთან დაკავშირებით ილია გოლდმანის პოზიციას. აცნობს თავის მოსაზრებას ქართული კოლონიისა და ზოგიერთი ქართველი ემიგრანტის შესახებ. აღნიშნავს, რომ რადიო „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის ხელმძღვანელად დაინიშნა ამერიკელი და რადიოსადგური გადადის ვაშინგტონში.

1954 წ. 19 აპრილი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, 1-ელი ფურცლის ქვედა მხარე მოხეულია, 2 ფ.

პირი: ილია გოლდმანი, გაჟონია, სინჯიკაშვილი, ცომაია, ჟორდანია, ზ[ურაბ] ჩხოტუა, აბრამჩიკი, ვ. აბაშიძე.

ტოპონიმი: პარიზი, ბოსტონი, ნიუ-იორკი, ვაშინგტონი.

544. ეხება ამერიკელებთან („ამერიკულ კომიტეტთან“) ურთიერთობას, „პარიზის ბლოკს“ და ორგანიზაციაში თავმჯდომარის არჩევის საკითხს.

1954 წ. 2 მაისი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, ფანქრით, 1 ფ.

პირი: პავლე სარჯველაძე, გოლდმანი, ზ. ჩხოტუა, დიასამიძე, კ. კანდელაკი.

ტოპონიმი: ბოსტონი, ნიუ-იორკი.

545. სწერს, რომ „ამერიკული კომიტეტისგან“ მიიღო განმარტება „სასაქმო კომისიის“ დანიშნულების შესახებ. აცნობებს, რომ ემიგრაციის ერთი ნაწილი ამერიკაში აპირებს საერთო კავკასიური პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. თვლის, რომ ეს ინიციატივა მათ ხელში უნდა იყოს, ამიტომ მნიშვნელოვნად მიაჩნია ამერიკაში არსებული აზერბაიჯანული, ჩრდილოკავკასიური და სომხური გაერთიანებების მიმხრობა. სთხოვს ი. გოლდმანსა და ზ. ჩხოტუას შორის არსებული წინააღმდეგობის დაძლევას.

[1954 წ.] 14 მაისი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, ფანქრით, 1 ფ.

პირი: ნ. დუმბაძე, ბალო ბილატი (?), გენ. დრო, გოლდმანი, ზ. ჩხოტუა.

546. სწერს ამერიკაში არსებული აზერბაიჯანის, ჩრდ. კავკასიის და სომხეთის ემიგრანტული ჯგუფების შესახებ, რომელთა გაერთიანებითაც ფიქრობს „საერთო კავკასიური ორგანოს“ შექმნას. ატყობინებს, რომ ქართულ კოლონიაში მათი მონაწილეობა ბანაკი სუსტდება, ორგანიზაციის ახალი წევრები იზოლაციის პოლიტიკას ირჩევენ.

1954 წ. 1 ივნისი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, ფანქრით, 1 ფ.

პირი: ბამატი, ჩერმოვეი, ნოვორატიანი.

547. სთხოვს, ილია გოლდმანისაგან გაიგოს იმ პირთა ვინაობა, რომლებიც ხელს უშლიან ქართულ და კავკასიურ საქმეს. ატყობინებს, რომ 30 მაისს გადაიხადეს საქართველოსა და კავკასიური ერების დამოუკიდებლობის დღე. აცნობებს, რომ დაპყრობილი ერებისა და კავკასიელთა დამოუკიდებლობის მომხრეთა მოძრაობა ახალ ფაზაში შედის, წინააღმდეგობა და დაპირისპირება მძაფრდება.

1954 წ. 5 ივნისი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, ფანქრით, 1 ფ.

პირი: ილია გოლდმანი.

548. სწერს, რომ ევგენი [გეგეჭკორის] გარდაცვალება დიდი დანაკლისია დაპყრობილი ერების საერთო ბრძოლისთვის, გამოთქვამს მწუხარებას. აცნობებს, რომ გადაწყვეტილი აქვს ევგენი გეგეჭკორისადმი მიძღვნილი სპეციალური ნომრის გამოცემა, რისთვისაც სთხოვს, გაუგზავნოს მისი ბიოგრაფია.

1954 წ. 6 ივნისი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, ფანქრით, 1 ფ.

პირი: ევგენი [გეგეჭკორი].

549. ეხება ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობას და სთხოვს განმარტებას რამდენიმე საკითხის შესახებ.

1954 წ. 22 ივნისი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, ფანქრით, 1 ფ.

550. სწერს, რომ ამერიკაში რუსეთის მიმართ დადებითი დამოკიდებულება შესუსტდა და მათ თვალში დაპყრობილი ერების მნიშვნელობა გაიზარდა. მიაჩნია, რომ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია „პარიზის ბლოკის“ საქმიანობის გააქტიურება. აცნობებს [აშშ-ში] პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ შიდა საკითხებს. აღნიშნავს, რომ ზოგი ქართველი ემიგრანტი ამერიკაში ავრცელებს ინფორმაციას, თითქოს საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგ აჯანყებები და ქ. ჩოლოყაშვილის ბრძოლები არ ყოფილა. სთხოვს, მთავრობის სახელით გაუგზავნოს ცნობები საქართველოში მომხდარი აჯანყებების შესახებ, რომელსაც წარუდგენენ ამერიკულ წრეებს. ურჩევს, სიფრთხილე გამოიჩინოს [ალექსანდრე] ცომაიას ჯგუფთან თანამშრომლობისას.

1954 წ. 9 აგვისტო, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, ფანქრით, 2 ფ.

პირი: გოლდმანი, ცომაია, სინჯიკაშვილი, კვიტაშვილი, ალექსი ჩხენკელი, საშა სულხანიშვილი, ჩოლოყაშვილი.

551. აცნობებს, რომ კავკასიის საკითხებით დაინტერესდა სენატორ კერსტენის კომიტეტი. სწერს, რომ [ალექსანდრე] ჩხენკელი

მოექცა დუმბაძე-ცომაია-სინჯიკაშვილის ჯგუფების გავლენის ქვეშ. სთხოვს, დააჩქარონ [ალექსანდრე] სულხანიშვილისთვის ნოტარიულად დამონმებული მოწმობის გაგზავნა, [რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ საქართველოში აჯანყებები ნამდვილად მოხდა].

1954 წ. 4 ოქტომბერი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, ფანქრით, 1 ფ.

პირი: კერსტენი, დუმბაძე, ცომაია, სინჯიკაშვილი, ალექსანდრე ჩხენ-კელი, სულხანიშვილი.

ტოპონიმი: პოლონეთი, ესტონეთი.

552. [წულაძეს] და პავლე [სარჯველაძეს]. ეხება აშშ-ისა და ევროპის დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ, არსებულ საერთაშორისო ვითარებაში საქართველოს ადგილის საკითხს. სწერს, რომ ამერიკის მთავრობა დაპყრობილ ერებს შორის რუსული ემიგრაციის შოვინისტურ ნაწილს ემხრობა, ამიტომ, მისი აზრით, ქართულ ემიგრაციას ამერიკის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს. რუსული ემიგრაცია აქტიურად მუშაობს მათ წინააღმდეგ. ამ წინააღმდეგობაში მონაწილეობენ ამერიკის სამსახურში მყოფი რუსი ექსპერტები. მიაჩნია, რომ ქართული საკითხის ცენტრი უნდა იყოს ევროპა. აღნიშნავს, რომ მათი მანდატით ჩასულ პირებს ამერიკაში არ ენდობა, რადგან მათ პოზიცია შეიცვალეს, ერთ-ერთი ასეთია ა. კეკელია, რომელიც „კომუნისტურ ტერორისტულ რაზმში“ გადავიდა. სთხოვს პასუხებს მისთვის საინტერესო საკითხებზე. სწერს იმ თემების შესახებ, რომლებიც დამუშავებული აქვს.

1964 წ. 25 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერით, 4 ფ.

პირი: გ. ურატაძე, ა. კეკელია, გოლდმანი.

ტოპონიმი: რუსეთი, ჩინეთი, ევროპა, მიუნხენი, პარიზი.

553. აცნობებს, რომ სიამოვნებით დასთანხმდება ნოე ცინცაძესთან მუშაობას. სწერს თავისი მდგომარეობის შესახებ, რომელიც 1951 წლიდან, რაც ამერიკაში ჩავიდა, საკმაოდ მძიმეა. იმყ-

ოფება „ტოლსტოის კომიტეტის“ და რუსული ემიგრაციის დევნის ქვეშ; უკრაინის პრეზიდენტმა ვიტკიციკიმ ნაილო მისი წიგნის პოლონური ტექსტი, მის წერილებს ბეჭდავენ უკრაინულ, ბელო-რუსულ და პოლონურ ორგანოებში, დიდ დახმარებას უწევდნენ „ყაზახების სამოსტიინიკები“. აღნიშნავს, რომ კარგი ურთიერთობა აქვს „პარიზის ბლოკის“ თავჯდომარე აბრამჩიკსა და სხვადასხვა ერის ემიგრაციის წარმომადგენლებთან. სწერს ამერიკაში მყოფი ზოგიერთი ქართველი ემიგრანტის შესახებ, რომლებიც მათ მოწინააღმდეგე ჯგუფებში არიან გაერთიანებულნი (სინჯიკაშვილის ჯგუფი, „ტოლსტოის კომიტეტი“, რუსი მონარქისტები). ეხება მისი და სინჯიკაშვილის ურთიერთდამოკიდებულებას, ამ უკანასკნელის მოქმედებას. ატყობინებს, რომ მას აბრალევენ, თითქოს ის მუშაობდა ვარშავაში, ებრაელების გეტოში, რამაც ხელი შეუშალა, სამსახური დაენყო რადიო „ამერიკის ხმაში“, კონგრესის ბიბლიოთეკაში და სხვაგან. სწერს, რომ ქართული საქმის წინააღმდეგ იბრძვის „რუსული ეროვნული აპარატი“ თავისი ქართველი თანამშრომლების დახმარებით. აცნობს თავის შეხედულებას, როგორ უნდა დაუპირისპირდნენ მათ.

1964 წ. 22 აგვისტო, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერით, 5 ფ.

პირი: ავტორხანოვი, ნოე ცინცაძე, აბრამჩიკი, [სტეფან] ვიტკიციკი, სტანისლავ პაპროცკი, გ. ნაკაშიძე, სინჯიკაშვილი, გენ. ნათიშვილი, „კნიაზ“ სუმბატოვი (სუმბათაშვილი), კორძაია, დავით ვაჩნაძე, სიკო კობიაშვილი, პავლე სარჯველაძე, ა. მანველიშვილი, ბალო ბილატი (ჩრდ. კავკასია), თეიმურაზ ბაგრატიონი, ჰენრი პუი (ჩინეთის დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი), ა. კეკელია, გოლდმანი.

ტოპონიმი: ვაშინგტონი, ბოსტონი, ნიუ-იორკი, ბათუმი.

554. მაღლობას უხდის ავტორხანოვის წიგნის მიწოდებისთვის. სთხოვს „ამერიკული კომიტეტის“ გამოცემის გაგზავნას. ატყობინებს, რომ ჩააბარა გამოცდები ამერიკულ რადიოში [„ამერიკის ხმა“] მუშაობის დასაწყებად, სახელმწიფო აპარატმა მიიჩნია სანდო პირად, თუმცა ქართველების მცდელობით მის მიღებას ხელი შეეშალა.

1964 წ. 20 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.
მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერით, 1 ფ.
პირი: ავტორხანოვი, პავლე [სარჯველაძე ?].
ტოპონიმი: ნიუ-იორკი, სან-ფრანცისკო.

555. ეხება სინჯიკაშვილის (სინდიკელი) და აბაშიძის საქმიანობას აშშ-ში, ბრალს სდებს მათ აგენტობაში. სწერს, რომ ფიქრობენ ამერიკაში „ქართულ-კავკასიური“ ორგანოს შექმნას, რომელიც ძველი „პრომეთეს“ ხაზს გააგრძელებს.

1964 წ. 20 ოქტომბერი, სან-ფრანცისკო.
მანქანაზე ნაბეჭდი, ნასწორები, ხელმოწერით, 3 ფ.
პირი: სინდიკელი, ალშიბაია, სიკო კობიაშვილი, „კნიაზ“ სუმბათოვი, ბერია, ფერაძე, ბარაზბი ბაიტუგანი.

556. ეხება ამერიკის ინტერესებს რუსეთთან დაკავშირებით, ასევე – ამერიკის პოლიტიკის მისეულ ანალიზსა და შეფასებას. სწერს, რა მდგომარეობა დახვდება „პარიზის ბლოკის“ დელეგაციას ამერიკაში. აცნობებს, რომ „ამერიკული კომიტეტი“ და საიდუმლო სამსახური ებრძვიან დაპყრობილი ერების საქმიანობას. აცნობებს, რომ ყოფილი იუნკერი დ. ვაჩნაძე „ამერიკულ კომიტეტში“ მუშაობს, მან უარყო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა და „ერთიანი რუსეთის“ ინტერესების მხარეს დადგა. სწერს, რომ რუსული ემიგრაცია „ტოლსტოის კომიტეტის“ სახით აქტიურად იბრძვის ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ. აღნიშნავს, რომ შეუძლია აღადგინოს „პრომეთეს“ წევრებთან კარგი ურთიერთობა. ატყობინებს, რომ გ. ნაკაშიძის, ალ. მანველიშვილის და მისთვის ნიუ-იორკში ან ვაშინგტონში სამსახურის შოვნის შემთხვევაში ამ სამი ადამიანის ბაზაზე შეიქმნებოდა კარგი გუნდი ამერიკაში. მიაჩნია, რომ ყველაზე დიდ წინააღმდეგობას მას უწევენ, რადგან ის ცდილობდა „პრომეთეს“ მუშაობის აღდგენას.

1965 წ. 3 იანვარი, სან-ფრანცისკო.
მანქანაზე ნაბეჭდი, ნასწორები, ხელმოწერით, 3 ფ.
პირი: აბრამიკი, გენ. კუშელი, რეზო [გაბაშვილი], დ. ვაჩნაძე, ედიგარი (ყოფილი პოლონელი ოფიცრის შვილი), გ. ნაკაშიძე, მანველიშვილი, სინდიკელი, ბაგრატიონი, პავლე [სარჯველაძე?].

ტოპონიმი: ვაშინგტონი, ნიუ-იორკი, ბოსტონი.

ჯარემა სტეფან (Stephen J. Jarema) – „ამერიკის უკრაინული კონგრესის კომიტეტის“ ("Ukrainian Congress Committee of America") აღმასრულებელი დირექტორი, ნიუ-იორკის შტატის ასამბლეის წევრი.

557. აცნობებს, რომ უგზავნის თავის ბროშურას „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“.

1958 წ. 14 თებერვალი, დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

ჯაყელი მიხეილ

558. აცნობებს, რომ სინჯიკაშვილი მას აუგად მოიხსენიებს.

[1968 წ. სექტემბერი].

ავტოგრაფი, შავი, ლურჯი და წითელი მელნით, 1 ფ.

პირი: სინჯიკაშვილი.

ტოპონიმი: ჩილე, კალიფორნია.

559. სწერს, რომ საფრანგეთმა გერმანიის მხარეს მებრძოლი ქართველების ამნისტია გამოაცხადა, არ შეიწყალებს მხოლოდ გესტაპოს მფარველობით მოქმედი პირები, მათ შორის მ. კედია, ა. ცომაია და ს. სინჯიკაშვილი. აცნობებს, რომ მ. კედია მოკლეს, ხოლო ცომაია და სინჯიკაშვილი რადიო „ამერიკის ხმის“ თანამშრომლობიდან გაათავისუფლეს. აკრიტიკებს სინჯიკაშვილთან თანამშრომლობის გამო.

1968 წ. 29 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, კალკაზე, 4 ფ.

პირი: ნესტორი, იზმაილი, მ. კედია, ცომაია, სინჯიკაშვილი (სინდიკე-ლი), მ. დადიანი, გ. ბერიკაშვილი, მერაბიშვილი.

ტოპონიმი: ბელგია.

ჯექსონი ჰენრი (Henry M. Jackson) – აშშ-ის სენატორი.

560. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. სწერს წიგნ-

ში განხილული საკითხების შესახებ. დაინტერესების შემთხვევაში სთავაზობს თავისი ნაშრომის გაგზავნას, რომელიც დაწერა დიდ ბრიტანეთში ამერიკის საელჩოს დავალებით.

1959 წ. 27 აპრილი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

561. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. სწერს, რომ დაპყრობილი ერების შეხედულებების ცოდნა მნიშვნელოვანია.

1974 წ. 5 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

ჰოლდენი ჯენეტ (Janet Holden) – გამომცემლობა "Vantage Press"-ის გამომცემათა დირექტორი.

562. სთავაზობს გამოსავალს, როგორ შეიძლება გადაწყდეს თავის წიგნში – „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ – რუკების დაბეჭდვასთან დაკავშირებული სირთულე.

1973 წ. 26 აპრილი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

563. სწერს, რომ არსებული პოლიტიკური ატმოსფერო საუკეთესოა თავისი წიგნის გამომცემისთვის, რომელიც ბევრი პოლიტიკოსისთვის სახელმძღვანელო იქნება, ამიტომ მისი გამომცემის დაგვიანება წიგნისთვის საზიანოა.

1973 წ. 24 ივნისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

564. აცნობებს, რომ დაუკავშირდნენ „რედაქტორთა ასოციაციის ამერიკული აკადემიიდან“ თავისი წიგნის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით მათი მოსაზრება აინტერესებს.

1973 წ. 21 აგვისტო, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

[ჰოლცვორთი ჟან] (Jean Holzworth)

565. აცნობებს თავის მოსაზრებას და ანალიზს აშშ-ის პრეზიდენტ ნიქსონის პოლიტიკისა და ვიეტნამის ომის შესახებ.

1973 წ. 9 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

პირი: [ჯორჯ] მაკგოვერნი ([George] McGovern), ნიქსონი.

566. აცნობებს თავის შეხედულებას საერთაშორისო მდგომარეობისა და რუსეთის შესახებ.

1960 წ. 24 დეკემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: Khrushczew (სავარაუდოდ, ხრუშჩოვი).

უცნობი პირი

567. აცნობებს, რომ გამომცემლობა "Vantage Press"-ი გამოსცემს თავის წიგნს, მაგრამ წარმოიქმნა გარკვეული პრობლემა. სთხოვს დახმარებას ამ პრობლემის მოგვარებაში.

1972 წ. 20 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი და ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, ახლავს გამომცემლობა "Vantage Press"-ი სავიზიტო ბარათი, 3 ფ.

უცნობი პირი – აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი.

568. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“, რომელიც ასახავს საბჭოთა კავშირის მდგომარეობას დაპყრობილი ერების თვალთახედვით. სწერს, რომ მნიშვნელოვანია დაპყრობილი ერების შეხედულებების ცოდნა.

1974 წ. 12 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

569. სწერს, რომ უგზავნის ნაშრომის ნაწილს, რომელიც სსრკ-ს წარმოაჩენს სამხედრო თვალსაზრისით და მოიცავს განსხვავებულ ცოდნას სსრკ-ის შესახებ.

უთარილო.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, შავი, ლურჯი და წითელი მელნით, 1 ფ.

უცნობი პირი – ბალო

570. აცნობს თავის მოსაზრებას აშშ-სა და ევროპაში დაპყრობილ ერთა ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

1966 წ. 14 აგვისტო, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 3 ფ.

პირი: ჰიტლერი, დეგოლი, ვილსონი, ჩხენკელი, კობიაშვილი.

უცნობი გენერალი

571. აცნობებს, რომ უგზავნის პოლონურ გაზეთს, რომელშიც დაბეჭდილია მისი სტატია.

1959 წ. 7 ოქტომბერი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, ნასწორები, შავი პირი, 1 ფ.

უცნობი პირი – გენკუ (Genku ?)

572. აცნობებს თავის დადებით შეფასებას გენეკის წიგნზე „1939 წლის თავდაცვითი ომი მსროლელის მოგონებებით“ ("Z wspomnien strzelca z wojny obronnej 1939"). სწერს თავისი თანამებრძოლების შესახებ.

1973 წ. 29 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, კალკაზე, 2 ფ.

პირი: მირონ ჩმირი (Miron Czmyr), ძიერზბიცი (Dzierzbicki).

573. უგზავნის თავის მოგონებებს მეორე მსოფლიო ომის შესახებ.

1973 წ. 3 აპრილი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ნასწორები ლურჯი მელნით, 4 ფ.

პირი: კაჩალო (?) (Kaczalo), ლინკევიჩი (Linkiewicz), ჩაბანოვსკი (Czabanowski), რეიმანი (Rejman), კელმანი (Kelman), ბემი მაიორი (mjr. Bem), გენერალი შილინგი (gen. Sziling), ბუკოვი (Bukowy), ჩერნი (Czerny), [იუზეფ] ბიენიკი ([Jozef] Bjenyk), რომანსკი (Romanski), იუზეფ გრუშკა (Józef Gruska), დიდუხი (Dyduch), შზუტი (Szut), ლუკომსკი (Lukowski).

574. სწერს პოლკის ისტორიას და პოლკში თავისი როლის შესახებ.

1973 წ. 8 ოქტომბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 4 ფ.

პირი: იუზეფ ბემი (Jozef Bem), ბოლესლავ შვარზენბერგ-ჩერნი (Boleslaw Swarzenberg-Czerny), იუზეფ ბიენიეკი (Jozef Bieniek), ყიფიანი, ვლადისლავ ანდერსი (Wladyslaw Anders), რომან შიმანსკი (Roman Szymanski), იუზეფ კუროპიესკა (Jozef Kuropieska).

575. უზიარებს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ადიუტანტ ჟულტოვსკის [სტეფან] ([Stefan] Zoltowski) შესახებ. მიიჩნევს, რომ ის არ ასრულებს თავის მოვალეობას.

1974 წ. 18 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, კალკაზე, 2 ფ.

576. ეხება გენეკის წიგნს არასამხედრო პირების ქვეითთა პოლკის ისტორიის შესახებ.

1974 წ. 30 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, კალკაზე, აქვს მინაწერი , 2 ფ.

577. აცნობებს, რომ აპირებს ბოსტონში წასვლას, სადაც პოლონელი ნოტარიუსი დაუდასტურებს, რომ მიღებული აქვს სამხედრო ტრავმა.

1974 წ. 9 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

უცნობი პირი – გივი

578. სთავაზობს თანამშრომლობას სამხედრო ცოდნის გაზიარებასთან დაკავშირებით.

უთარილო.

ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

უცნობი პირი – გრიგოლ ვასილის ძე

579. სწერს, რომ უგზავნის თავის სტატიას „მსოფლიო გზაჯვარედინზე“ ("The World at Crossroads"). აცნობებს, რომ „ტოლსტოის

კომიტეტი“ ცდილობს, ხელი შეუშალოს და დააბრკოლოს მისი საქმიანობა.

1964 წ. 2 თებერვალი, [სან-ფრანცისკო].

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

580. აცნობს თავის მოსაზრებას ევროპის პოლიტიკის შესახებ. სწერს, რომ ევროპაში დამონებული ერების განთავისუფლები-სათვის ბრძოლა მნიშვნელოვანია. ატყობინებს, რომ კავკასიის ხალხთა ორგანიზაცია ტროას ცხენის როლს ასრულებს „ამერი-კული კომიტეტის“ ხელმძღვანელობით.

უთარილო.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, ნასწორებია წითელი მელნით, ბლანკზე, ბოლონაკლული, 1 ფ.

პირი: ჩხენკელი.

უცნობი პირი – ვასილი (?)

581. ატყობინებს, რომ სურს ითანამშრომლოს მასა და მის ორ-განიზაციასთან. სწერს თავის ბიოგრაფიას. აცნობებს, რომ და-მონებული ხალხების განთავისუფლებისთვის მებრძოლ პირებს, მათ შორის მასაც, აშშ-ში ხელს უშლიან, რომ დასაქმდნენ კვალ-იფიკაციის შესაბამისად. უგზავნის ჟურნალს „სან ფრანცისკოს ქართული კერა“, რომელშიც დაბეჭდილია მისი ორი სტატია. სთხოვს გაუზიაროს აზრი სტატიებში გამოთქმული მოსაზრე-ბების შესახებ.

1970 წ. 11 აპრილი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: პოლკოვნიკი ედვარდ ხარაშკევიჩი.

უცნობი პირი – ვახტანგი

582. ეხება ორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებულ უთანხ-მოებას. სთხოვს, წაიკითხოს მის მიერ გაგზავნილი ლადოს წერ-ილი და მისი საპასუხო წერილიც.

უთარილო, 26 დეკემბერი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ლადო [არველაძე ?].

უცნობი პირი – ილია იაკობის ძე

583. სთავაზობს დაწეროს რეცენზია თავისი წიგნის შესახებ.

1956 წ. 12 ნოემბერი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

584. აცნობებს, რომ კონგრესის ბიბლიოთეკიდან მიიღო მადლობის წერილი წიგნის გაგზავნისთვის. თუმცა არ იცის, თავისი წიგნი შეტანილია თუ არა ბიბლიოთეკის კატალოგში.

1957 წ. 9 თებერვალი.

ავტოგრაფი, რუსულ და ინგლისურ ენებზე, 1 ფ.

585. სწერს, რომ მათთან თანამშრომლობა მისთვის მნიშვნელოვანია, ამიტომ სთხოვს, იყოს უფრო მომთმენი და ზომიერი მიმდინარე პროცესებთან მიმართებით. აცნობებს, რომ ქართული ემიგრაცია აღშფოთებულია ქართული პრორუსული ჯგუფის საქმიანობით.

1957 წ. 3 აპრილი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

პირი: კობახიძე, თეიმურაზ [ბაგრატიონი], ტარსაიძე.

586. აწვდის ინფორმაციას „პრომეთეს“ ჯგუფის წევრის [გიორგი] ნაკაშიძის შესახებ. სწერს, რომ თეიმურაზ [ბაგრატიონი] ეძებს ისეთ ქართველებს, რომლებიც პატრიოტიზმის ნიღბით რუსულ საქმეს აკეთებენ. ატყობინებს, რომ სინდიკელი (სინჯიკაშვილი) თანამშრომლობდა ბოლშევიკებთან.

1959 წ. 21 ოქტომბერი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, ფანქრით, 1 ფ.

პირი: გიორგი ნაკაშიძე, ალშიბაია, სინდიკელი (სინჯიკაშვილი), კობიაშვილი, კედია, ცომაია.

ტოპონიმი: პოლონეთი, ვარშავა.

უცნობი პირი – მთავარი რედაქტორი

587. აცნობებს, რომ დასაბეჭდად გამზადებული აქვს რამდენიმე ნაშრომი. ჩამოთვლის ამ ნაშრომების სათაურებს და გვერდების რაოდენობას.

1971 წ. 15 აგვისტო, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

588. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას „უკანასკნელი იმპერიის ბინდი“ ("The Twilight of The Last Empire"). სწერს, რომ დაპყრობილი ერები საუკუნეებია საბრძოლო მდგომარეობაში არიან რუსეთთან, აქედან გამომდინარე, ფასეულია არსებული ვითარების შესახებ დაპყრობილი ერების მოსაზრებები.

1971 წ. 20 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

უცნობი პირი – პოლ (Paul)

589. კერძო ხასიათის.

1958 წ. 12 მაისი, დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

უცნობი პირი – პოლონელი გენერალი

590. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“.

1958 წ. 3 მარტი, დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

უცნობი პირი – პოლონელი პოლკოვნიკი

591. სწერს „პრომეთეს“ საქმიანობისა და „ტოლსტოის კომიტეტის“ შესახებ.

1958 წ. 7 თებერვალი, დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

592. აცნობებს, რომ აშშ თანამშრომლობს რუსეთთან და დაპყრობილ ერთა ორგანიზაციის წევრების წინააღმდეგ მოქმედებს, შესაბამისად, საუკეთესო გამოსავლად მიაჩნია ინდივიდუალური ინიციატივები და აქტივობები.

1958 წ. 20 ივლისი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, 2 ფ.

პირი: ჰიმლერი (Himmler), გუსტოვსკი (Gustowski).

593. აცნობებს თავის ახალ მისამართს. სწერს საკუთარ მოსაზრებას აშშ-ის მთავრობის პოლიტიკის შესახებ.

1958 წ. 6 აგვისტო, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: გუსტოვსკი (Gustowski), დრასტამატ კანაიანი [გენერალი დრო] (Drastamant Kanayan), სინდიკელი (სინჯიკაშვილი), ალ. სულხანი (ალ. სულხანიშვილი).

594. სთავაზობს, მისი არყოფნის პერიოდში ითანამშრომლონ [შეფიცულთა რაზმის] წევრ ა[ლექსანდრე] სულხა[ნიშვილთან].

1958 წ. 23 აგვისტო, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

595. აცნობებს, საქართველოში გამომავალი რომელი პერიოდული გამოცემების მიღება სურს რეგულარულად.

1958 წ. 7 დეკემბერი, ბოსტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

596. აცნობებს, რომ [სინჯიკაშვილის] ხელმძღვანელობით არსებული ორგანიზაცია კომუნისტურია. კონკრეტული ფაქტებით ცდილობს, რომ დაასაბუთოს თავისი მოსაზრება.

1959 წ. 6 მარტი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: ალ. სულხანი (ალ. სულხანიშვილი), დ. სინდიკელი (სინჯიკაშვილი), ს. კობიაშვილი, რ. კობიაშვილი, ე. კუნიჰოლმი, კ. კობიაშვილი.

597. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას ცივი ომის ახალი ფაზის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა "Belarusslan"-ში. სთხოვს დახმარებას მისი შემდეგი სტატიის მომზადებაში. სტატია ეხება იუზეფ პილსუდსკის პოლიტიკისა და რუსეთ-პოლონეთის 1920 წლის ომის მნიშვნელობას თანამედროვე მსოფლიოში.

1961 წ. 4 დეკემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

პირი: იუზეფ პილსუდსკი.

598. უზიარებს თავის მოსაზრებას მსოფლიო პოლიტიკის შესახებ.

ახლავს ვანო ნანუაშვილის ნაშრომი.

1968 წ. 27 სექტემბერი, [სან-ფრანცისკო].

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 10 ფ.

599. სწერს თავისი წიგნის „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ და საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

1975 წ. 4 აპრილი. სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 2 ფ.

600. აცნობს თავის მოსაზრებას [ცივი ომის] დროს კომუნისტური ბლოკის ერების მნიშვნელობის შესახებ.

1975 წ. 17 აპრილი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

პირი: ანდერსი (პოლონელი გენერლის სახელი).

უცნობი პირი – პოლონელი პროფესორი

601. აცნობებს, რომ მის ლექციას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. სწერს თავისი მატერიალური მდგომარეობის შესახებ.

1957 წ. 23 მარტი, [ნიუ-იორკი].

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: ბაჩკოვსკი (Baczkowski), იაროსლავ ჩიზი (Jaroslaw Czyz).

602. აწვდის ინფორმაციას ამერიკაში არსებული პროკომუნისტური ორგანიზაციის შესახებ. სწერს თავის შეხედულებას შავ ზღვაზე არსებული მდგომარეობის თაობაზე. სთხოვს, მიაწოდოს მასალები, რომლებიც დაეხმარება 1956 წლის მოვლენებისა და ცივი ომის შესახებ სტატიის მომზადებაში.

1957 წ. 23 მარტი, დორჩესტერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ხელმოწერით, აქვს მინაწერი, 2 ფ.

პირი: გლაზგოვი (Glasgow), სერგეიევსკი (Sergejewski), ბელოზერსკი (Belozerski), ბოლდირიოვი (Boldyriow), კუნიჰოლმი (Kuniholm).

უცნობი პირი – პრეზიდენტი (სავარაუდოდ, სტეფან ვიტვიცკი (Stefan Witwicki)).

603. სთხოვს დაეხმაროს, რათა უკრაინულ ჟურნალ "Ukrainian Quarterly"-ში სტატია დაბეჭდოს.

1963 წ. 11 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, კალკაზე, 1 ფ.

604. ეხება მათ ერთობლივ საქმიანობას.

უთარილო.

ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, შავი, 1 ფ.

უცნობი პირი – რიჩარდი (Ryszardzie)

605. სწერს, რომ უგზავნის ბოლშევიკების ბროშურის – „ქართული ემიგრაციის ისტორიიდან“ – რეზიუმეს. აწვდის ცნობებს პოლონეთში მცხოვრები ქართველების შესახებ.

ახლავს 1965 წელს თბილისში გამოცემული ფარნა ლომაშვილის წიგნის „ქართული ემიგრაციის ისტორიიდან“ ("Z Historii Gruzinskiej Emigracji") რეზიუმე.

1965 წ. 12 სექტემბერი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 6 ფ.

პირი: კეჭაყმაძე, კ. ბერიშვილი, დ. ერქომაიშვილი.

უცნობი პირი – სულტანი

606. სწერს, რომ მათ მოკრძალებული კავკასიური ძალებით შეუძლიათ, სარგებელი მოუტანონ ყველა დამონებულ ხალხს. სთხოვს, თავისი წიგნის გამოცემის შესახებ მისწეროს პოლიტიკოსს და გაზეთის გამომცემელს [უილიამ კლოულენდს] (William F. Knowleand). აწვდის გასაგზავნი წერილის პროექტს.

1962 წ. 7 ოქტომბერი, სან-ფრანცისკო.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 2 ფ.

უცნობი პირი – ჩარლი

607. კერძო ხასიათის.

1969 წ. 28 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ასლი, 1 ფ.

უცნობი პირი – ჯონი

608. სწერს, რომ უგზავნის არაბულის მცოდნე ქართველების მისამართებს. აცნობებს, რომ ორგანიზაციისთვის ყველაფერს გააკეთებს.

1958 წ. 19 ივლისი, ბოსტონი.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

პირი: ალექსანდრე ჩხენკელი, ალექსანდრე ჭარაძე (?), ნიკოლოზ ამილახვარი.

უცნობი პირები

609. სწერს, რომ უგზავნის რუსეთის წინააღმდეგ მათი ბრძოლის „პრინციპებს“.

ახლავს ტექსტი რუსეთის წინააღმდეგ მათი ბრძოლის „პრინციპების“ შესახებ.

1945 წ. აგვისტო, რომი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ და პოლონურ ენებზე, ნასწორები, 7 ფ.

610. უცნობ პირს, კოდური სახელით „დიკი“ (дикий), აცნობებს, რომ უგზავნის უკრაინულ ბიულეტენს "The Ukrainian Bulletin" და სთხოვს, ყურადღება მიაქციოს ვანო ნანუაშვილის სტატიას. მადლობას უხდის საერთო საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

1954 წ. 3 ივლისი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი ვანო ნანუაშვილის ხელით, მანქანაზე ნაბეჭდის ასლი, 2 ფ.

611. სწერს, რომ მისი მოქმედება ადრესატმა არასწორად აღიქვა.

1956 წ. 15 დეკემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, თარიღი დაწერილია ხელით, 1 ფ.

612. სწერს პოლონეთის არმიაში მყოფი ქართველი კონტრაქტორის შესახებ (სახელსა და გვარს არ ასახელებს). მიიჩნევს, რომ საქართველოს განთავისუფლების იდეა საქართველოში თანდათან ძლიერდება. აფასებს საბჭოთა კავშირში არსებულ მდგომარეობას.

1957 წ. 7 მაისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი, 2 ფ.

613. აცნობს მათი ერთობლივი მოქმედების გეგმას.

1958 წ. 18 მაისი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, თავნაკლული, აქვს მინაწერი წითელი მელნით, 1 ფ.

614. სთხოვს, გაუგზავნოს "The Ukrainian Quarterly"-ს ახალი ნომერი, რომელშიც იბეჭდება ლევ დობრიანსკის გამოხმაურება თავის წიგნზე „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“.

1958 წ. 31 აგვისტო.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

პირი: დობრიანსკი.

615. (ვინმე პ-ს). კერძო ხასიათის.

1959 წ. 23 მაისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

616. კერძო ხასიათის.

1960 წ. 10 თებერვალი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

617. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. ასევე აწვდის ცნობებს დიმიტრი შალიკაშვილის ერთ-ერთი ვაჟის შესახებ.

1960 წ. 7 მარტი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

პირი: ალექსი, დიმიტრი შალიკაშვილი, პოლკ. სტრზელეცკი (Plk. Strzelecki), ალშობაია, ცომაია, სინდიკელი (სინჯიკაშვილი), კობიაშვილი.

618. აცნობებს, რომ სინდიკელის (სინჯიკაშვილის) ჯგუფი ეცდებოდა, ხელი შეუშალოს მას, რომ რადიო „ამერიკის ხმაში“ მუშაობა დაიწყოს. ამ საკითხთან დაკავშირებით სთხოვს დახმარებას.

1960 წ. 4 აპრილი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

619. სთხოვს აცნობოს, შესაძლებელია თუ არა მისი წიგნის გამოცემა.

1961 წ. 14 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: პროფ. სვარაკოვსკი (Swarakowski), კერენსკი.

620. სწერს თავისი წიგნის გამოცემისა და სტატიების დაბეჭდვის შესახებ. აცნობებს, რა პრობლემებია აშშ-ში სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებით.

1961 წ. 16 ივლისი. სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

პირი: კუშელი (Kuszel), ჰიტლერი.

621. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას. სწერს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის, ასევე – ქართული და რუსული ემიგრაციის ურთიერთობების შესახებ.

1963 წ. 23 მარტი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, კალკაზე, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: [ვალტერ] დუშნიკი, [თეიმურაზ] ბაგრატიონი.

622. სწერს, რომ მომავლისთვის აუცილებელია, ერთმანეთს გაუზიარონ მოსაზრებები, ამასთან დაკავშირებით გაუგზავნის ვრცელ წერილს.

1966 წ. 21 თებერვალი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ხელმოწერით, აქვს მინაწერი წითელი მელნით, 1 ფ.

623. აცნობებს, რომ კუკური თოხაძესთან ურთიერთობა აღარ აქვს. სწერს, რომ პოლონეთის ჯარში განათლებისა და მომზადების შესაბამისად მაღალ თანამდებობაზე ამუშავებდნენ.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, თავნაკლული, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: კ. თოხაძე.

624. ჩამოთვლის სსრკ-თან დაკავშირებულ იმ საკითხებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია რუსეთის სპეციალისტებისთვის.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

625. აცნობებს, რომ უგზავნის თავის ბროშურას „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“. სწერს, რომ აუცილებელია იცოდნენ, რას ფიქრობს საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 60 პროცენტი.

უთარილო.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

ტოპონიმი: უნგრეთი, სირია, რუსეთი.

626. აცნობებს, რომ იყო ჟურნალ „მხედრის“ რედაქტორი. ასევე დანერგული აქვს წიგნი „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“. ატყობინებს, რომ უგზავნის 1956 წელს გამოცემულ თავის წიგნს და სთხოვს დაეხმაროს მის ფრანგულად თარგმნასა და გამოცემაში.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ნასწორები ფანქრითა და კალმით, ინგლისურ ენაზე, შავი, 1 ფ.

627. აცნობებს, რომ იშოვა მუდმივი სამსახური. სწერს, რომ [რადიო „ამერიკის ხმაში“] მუშაობის დაწყებისთვის წარმატებით გაიარა გასაუბრება და გამოცდა. ატყობინებს ზოგიერთი ქართველი ემიგრანტის უარყოფითი საქმიანობის შესახებ. ადანაშაულებს მათ კომუნისტებთან თანამშრომლობაში. აღნიშნავს, რომ ორგანიზაციასთან ურთიერთობას არ გამოიყენებს კარიერული მიზნებისათვის.

უთარილო.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 2 ფ.

პირი: არველაძე, გაჟონია, ცომაია, [გივი კობახიძე].

ტოპონიმი: სან-ფრანცისკო.

628. ნოტრ დამის უნივერსიტეტის გამომცემლობა "University of Notre Dame Press"-ს. სთხოვს მიაწოდონ წიგნი „სიკვდილი ტყეში“. აცნობებს, რომ უგზავნის წიგნის საფასურს.

1972 წ. 24 ივლისი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

სხვადასხვა პირის წერილები ივანე ნანუაშვილს

აბაშიძე ლოლია

629. კერძო ხასიათის.

1968 წ. 31 იანვარი, [საქართველო].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: სიმონიკა [აბაშიძე].

630. კერძო ხასიათის.

1968 წ. 16 მაისი, [საქართველო].

ავტოგრაფი, მწვანე მელნით, 1 ფ.

პირი: სიმონიკა [აბაშიძე].

631. კერძო ხასიათის.

1968 წ. 14 ოქტომბერი, [საქართველო].

ავტოგრაფი, 2 ფ.

პირი: სიმონიკა [აბაშიძე].

აბაშიძე სიმონ

632. კერძო ხასიათის.

1968 წ. 12 თებერვალი, პარიზი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, ღია ბარათზე, 1 ც.

პირი: ლოლია [აბაშიძე].

633. კერძო ხასიათის.

1968 წ. 23 ოქტომბერი, პარიზი.

ავტოგრაფი, ღია ბარათზე, 1 ც.

პირი: ლოლია [აბაშიძე].

634. კერძო ხასიათის.

1969 წ. 16 მაისი, პარიზი.

ავტოგრაფი, ღია ბარათზე, 1 ც.

პირი: ლოლია [აბაშიძე].

ამორი რობერტ (Robert Amory, Jr.) – აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი.

635. მადლობას უხდის ბროშურის – „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ – გაგზავნისთვის.

1957 წ. 9 იანვარი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

არველაძე ლადო

636. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. ატყობინებს, რომ გეგმავს მასთან მისვლას, სთხოვს მის სახელზე მოსული წერილების შენახვას.

1952 წ. 3 მარტი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: მიშა.

ტოპონიმი: ბრუკლინი.

637. ეხება მათ შორის წარმოქმნილ უთანხმოებას და [სათვისტომოს] კრებას.

1953 წ. 16 აპრილი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: [ილია] ჭავჭავაძე, ვახტანგი, სინჯიკაშვილი, აბაშიძე, საშა [სულხანიშვილი ?].

638. აცნობებს, რომ საზოგადოებრივი საქმიანობა სუსტდება. სწერს, რომ მის პუბლიცისტურ წერილში რედაქტორმა თვითნებურად შეიტანა შესწორებები. ატყობინებს, რომ მალე გამოვა ჟურნალი „ჩვენი გზა“.

1955 წ. 4 იანვარი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: ლ[ეო] დუმბაძე, საშა [სულხანიშვილი ?], გივი, ჩხენკელი.

639. ეხება მათ შორის წარმოქმნილ უთანხმოებას, ზოგადად, ქართულ ემიგრაციაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობას.

1955 წ. 11 იანვარი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: ქაქუცა ჩოლოყაშვილი, საშა [სულხანიშვილი ?], ვახტანგი, გივი, კ. ამილახვარი, ისიდორე [გაჟონია ?].

640. აცნობებს, რომ აპირებს ჟურნალ „ჩვენი დროშისთვის“ ანგარიშის გაგზავნას. სთხოვს მიაწოდოს მისი სიტყვის შემოკლებული ტექსტი. სწერს ზოგიერთ ემიგრანტთან მისი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ.

1956 წ. 8 მაისი (წერილზე აღნიშნულია ჯერ თვე და მერე წელი).

ავტოგრაფი, რამდენიმე ადგილას გახაზულია წითელი მელნით ვანო ნანუაშვილის მიერ, 1 ფ.

პირი: ისიდორე [გაჟონია ?], საშა [სულხანიშვილი ?], ლეო [დუმბაძე ?], გრიშა [ხაბეიშვილი], თევდორე, იტალია (მეუღლე).

ტოპონიმი: პარიზი.

641. ეხება ერთ-ერთი ქართული გაზეთისა და ზოგიერთი ემიგრანტის კრიტიკას.

1956 წ. 23 მაისი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ისიდორე [გაჟონია], საშა [სულხანიშვილი ?], გოგია, გივი, თედორე, გაჟონია.

642. სწერს ქართული ემიგრაციის ზოგიერთ წარმომადგენელთან კრიტიკული დამოკიდებულების შესახებ.

1956 წ. 1 ივნისი (წერილზე აღნიშნულია ჯერ თვე და მერე წელი).

ავტოგრაფი, 2 ფ.

პირი: გოგი, გაჟონია, ლეო [დუმბაძე ?], საშა სულხანიშვილი, გივი.

ტოპონიმი: ნიუ-იორკი.

643. წუხს, რომ დაგვიანდა მისი წიგნის გამოცემა. ბოდიშს უხდის, რომ ვერ შეძლო სათანადო დახმარების აღმოჩენა.

1956 წ. 10 ივნისი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], გოგია, ვახტანგი, გივი.

644. წუხს იმის გამო, რომ მისი წასვლით საერთო საქმე ძალიან დაზარალდება. სთხოვს, თავი შეიკავოს გარკვეული ფრაზების წარმოთქმისგან.

1957 წ. 22 აპრილი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: სინჯიკაშვილი.

ტოპონიმი: ამერიკა, ევროპა.

645. სწერს, რომ მისი წერილის ტონმა გააკვირვა, თუმცა ესმის მისი ასეთი დამოკიდებულება, განუმარტავს ზოგიერთ საკითხს. ასევე აცნობებს სხდომის თარიღს.

1957 წ. 30 აპრილი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: აბდუშელი, სიკო ერისთავი.

646. სწერს, რომ ემიგრაციის როლი ქართველი ერის ცხოვრებაში მცირეა. ატყობინებს მომავალი საერთო კრების თარიღს, სთხოვს დასწრებას და სთავაზობს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ სიტყვით გამოსვლას. აცნობებს, რომ ინგლისურად უნდა გამოსცენ ჟურნალი.

1957 წ. 21 აგვისტო.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ილია [ჭავჭავაძე], საშა [სულხანიშვილი ?], ბიძინა, გოლდმანები.

647. ეხება „ძველი“ და „ახალი“ ემიგრაციის საკითხს. გამოთქვამს კრიტიკულ აზრს ზოგ ქართველ ემიგრანტზე. სწერს საერთო კრების თარიღის შეცვლის შესახებ.

1958 წ. 9 ნოემბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: ალექსანდრე სულხანიშვილი, მანველიშვილი, ზაქარაძე, საღირაშვილი, აფხაზი, თენგიზი, ბიჭიკო ახვლედიანი, ვანდა, ვახტანგი,

[კონსტანტინე] კანდელაკი, თარხნიშვილი, ვალოდია, ბაგრატიონი, სინჯიკაშვილი, იტალია (ლადო არველაძის მეუღლე).
ტოპონიმი: ბოსტონი.

648. ატყობინებს, რომ ორგანიზაციის აღდგენისათვის დაგეგმილია თათბირი.

1959 წ. 4 მარტი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ვახტანგი [ჩხატარაშვილი ?], გოგია, საშა [სულხანიშვილი ?].

649. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. ეხება მათ შორის წარმოქმნილ უთანხმოებას, ემიგრანტებში არსებულ დაპირისპირებას.

1959 წ. 1 მაისი.

ავტოგრაფი, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

პირი: ვახტანგი.

650. ატყობინებს, რომ სჭირდებათ ქართული შრიფტი, რომლის მიხედვითაც გააკეთებდნენ მანქანას, ამიტომ სთხოვს, ჩამოიტანოს ფურცელზე ნაბეჭდი ასოების რიგი.

1959 წ. 8 მაისი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?].

651. ეხება „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ წევრის კრიტიკას და მისი გაუქმების მიზეზებს.

1959 წ. 27 ოქტომბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ბიძინა (?), ზაღდასტანიშვილი, საშა [სულხანიშვილი ?], ქაქუცა [ჩოლოყაშვილი].

652. აცნობებს, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, რის გამოც ვერ მუშაობს. სწერს, რომ გაჩნდა ორგანიზაციის აღდგენის ინიციატივა, ატყობინებს ამ მიმართულებით დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ.

1959 წ. 3 ნოემბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი], გოგი, ისიდორე [გაჟონია ?], დუმბაძე, ვაჩნაძე, გოგი ლოლობერიძე.

653. აცნობებს, რომ მიიღო მისი გამოგზავნილი ფულის ნიშანი „პრეზიდენტის“ ხელმოწერით. სწერს, რომ ფულის მიწოდება დაუგვიანდა.

1959 წ. 7 ნოემბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

654. სთხოვს, რომ თავი შეიკავოს საყვედურებისაგან. აცნობებს, რომ ბოიკოტს უცხადებენ სათვისტომოს არჩევნებს. სწერს ორგანიზაციის გადახალისებისა და გააქტიურების მიზნით დაგეგმილი თათბირისა და საერთო კრების მიწვევის შესახებ.

1959 წ. 12 ნოემბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: შილერი, ვახტანგი, რეგინა.

655. ეხება ორგანიზაციის აღდგენის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებს. სწერს საერთო კრებაზე გასაგზავნი კანდიდატების სიას. სთხოვს, მხარი დაუჭიროს მას ან თავისი შემადგენლობა წარმოადგინოს.

1959 წ. 18 ნოემბერი.

ავტოგრაფი, რამდენიმე ადგილას წითელი მელნით გახაზულია ვანო ნანუაშვილის მიერ, 1 ფ.

პირი: გ[ოგი] ლოლობერიძე, ვ[ახტანგ] აბაშიძე, რ. ხიდაშელი, ივლიანე, ა[ლექსი] ჩხენკელი, ა. ჯინჭარაძე, თ[ეიმურაზ] ბაგრატიონი, ი[სიდორე] გაჟონია, გ. ჯაყელი, რეგინა, ვანდა.

656. სწერს, რომ უნდობლობით არ უნდა აზარალონ საერთო საქმე. სთხოვს, რომ მის წერილში არ შეცვალოს ფრაზები. ატყობინებს გოლდმანთან შეხვედრისა და საუბრის შესახებ, ასევე – ორგანიზაციის გააქტიურებისა და კრების მიწვევის თაობაზე. აღნიშნავს, რომ ურატაძის პანაშვიდის გადახდასთან დაკავშირებით გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა.

1959 წ. 25 ნოემბერი

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], ვახტანგი, [ილია] გოლდმანი, ურატაძე, თეიმურაზი, ლეო [დუმბაძე ?], ისიდორე [გაჟონია ?], გივი.

657. ეხება მათ ურთიერთდამოკიდებულებას. ატყობინებს, რომ ჩატარდება კრება, რომელზედაც აირჩევენ გამგეობის წევრად. მიიჩნევს, რომ „ძველი“ ემიგრაცია „ახლებს“ არ ენდობა.

1959 წ. 30 დეკემბერი.

ავტოგრაფი, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

პირი: თეიმურაზ [ბაგრატიონი], საშა [სულხანიშვილი ?], დემეტრაშვილი, ვახტანგი, გ. ნაკაშიძე.

ტოპონიმი: ევროპა, არგენტინა.

658. კერძო ხასიათის.

1960 წ. 2 იანვარი.

ავტოგრაფი, წითელი მელნით, 1 ფ.

659. ატყობინებს, რომ საერთო კრების მოწვევა დანიშნულ დროს არ ხერხდება. სწერს, რომ მისი ოჯახი ყოველთვის პატივს სცემდა მას და მის საწინააღმდეგოს არაფერს მოიმოქმედებს. სთხოვს, ნუ იფიქრებს, რომ ზურგს უკან მასზე საუბრობენ და ნულარ გააკრიტიკებს მოწინააღმდეგე ჯგუფებს, რადგან ეს მის ავტორიტეტზე მოქმედებს.

1960 წ. 6 თებერვალი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ივლიანე, ზალდასტანი, დობრიანსკი.

660. ატყობინებს საერთო კრების მოწვევის თარიღს. სწერს, რომ განზრახული აქვს, ორგანიზაციის გამგეობაში ახალი წევრები შეიყვანოს. აცნობებს ჟურნალ „ჩვენი გზის“ გამოცემისა და ინგლისურად მთარგმნელის მოძიების შესახებ.

1960 წ. 12 თებერვალი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: გოგი, ვახტანგ [ჩხატარაშვილი ?], გივი, ისიდორე [გაჟონია ?], ზაქრაძე, ივლიანე, საშა [სულხანიშვილი ?], დიტრიხი, ჯავახიშვილი, ანდრია გუგუშვილი, იტალია (ლადო არველაძის ცოლი), თევდორე.

661. უარის მიუხედავად, მაინც სთხოვს დაესწროს საერთო კრებას.

1960 წ. 16 თებერვალი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

662. სწერს, რომ წიგნის საფასურს არ გამოართმევს. ატყობინებს, რომ მისი წიგნის შინაარსი მწვავე რეაქციას გამოიწვევს. წუხს ვანო ნანუაშვილსა და საშას (სულხანიშვილი?) შორის მომხდარი უთანხმოების გამო, სთხოვს მასთან შერიგებას.

1964 წ. 22 სექტემბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], გოგი, ისიდორე [გაჟონია ?].

663. სთხოვს დაუბეჭდოს სტენსილზე (საბეჭდი მანქანა) წიგნის მასალები. ჰონორარის სახით უგზავნის 100 დოლარს. სწერს, არ განაწყენდეს თანხის შეთავაზების გამო. საჭიროების შემთხვევაში, მიმოგრაფით მასალის გამრავლებას ითხოვს.

1964 წ. 8 დეკემბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

ტოპონიმი: ნიუ-იორკი.

664. აცნობებს, რომ უგზავნის არქივში ნანახ წიგნებს, ხოლო ჟურნალებს არქივი თავად მიაწვდის. ატყობინებს, რომ აგვისტოს აჯანყების წლისთავს ძალიან ცოტა ადამიანი ესწრებოდა.

1968 წ. 20 სექტემბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: კრემენკო, [სიმონ] პეტლიურა, [ლევ] დობრიანსკი, მიშა ჯაყელი, ამილახვარი, გოგია, საშა [სულხანიშვილი ?], არჩილ გომართელი, სანდრო (ალექსანდრე) მანველიშვილი, ნოე ჟორდანიძე.

ტოპონიმი: კალიფორნია.

665. აცნობებს, რა მდგომარეობაა პარიზის ქართულ ემიგრაციაში. სწერს, რომ გაადვილებულია მიმოსვლა საქართველოში, ზოგიერთი ქართველი ემიგრანტი ბრუნდება სამშობლოში. იმედი აქვს, რომ საერთაშორისო ვითარება მათ სასიკეთო ცვლილებებს მოუტანს და ქვეყანა დაიბრუნებს თავისუფლებას.

1966 წ. 28 სექტემბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: პავლე სარჯველაძე.

ტოპონიმი: თელავი, სიღნაღი.

666. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. სწერს, რომ ქართული ემიგრაციის რიცხვი შემცირდა და სამომავლოდ შეიძლება, აღარ იარსებოს. იმედით უყურებს რიჩარდ ნიქსონის აშშ-ის პრეზიდენტად არჩევას. მიიჩნევს, რომ რუსეთის რეალური მტერი აღმოსავლეთია.

1968 წ. 26 ნოემბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], ისმაილი, ვანო სულხანიშვილი, [ალექსანდრე] (სანდრო) მანველიშვილი, გოგია ლოლობერიძე, რიჩარდ ნიქსონი.

ტოპონიმი: სან-ფრანცისკო, კალიფორნია, ნიუ-იორკი.

667. ულოცავს ახალ წელს.

[1972 წ. 13 დეკემბერი].

ავტოგრაფი, ღია ბართზე, 1 ც.

668. აღნიშნავს, რომ საერთო საქმის წარმატებისა და ორგანიზაციის ნაყოფიერი მუშაობისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნია მისი ნიუ-იორკში საცხოვრებლად გადასვლა. ჰპირდება დახმარებას სამსახურის შოვნაში. სწერს ორგანიზაციის ერთ-ერთი ბოლო სხდომის შესახებ. ფიქრობს, რომ ორგანიზაცია ბეჭდვის საკითხში არ უნდა იყოს ერთ ადამიანზე დამოკიდებული.

უთარილო.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ლეო [დუმბაძე ?], გივი, საშა სულხანიშვილი.

აუერბახი რ. დ. (R. D. Auerbach) – აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) სპეციალური აგენტი.

669. ეხება ვანო ნანუაშვილის გამოძიების ფედერალურ ბიუროში მთარგმნელად მუშაობის დაწყების საკითხს.

1960 წ. 27 იანვარი, სან-ფრანცისკო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

ბაგრატიონი თეიმურაზ

670. სწერს, რომ ქართული ენის უცოდინრობის გამო იძულებულია, რუსულად მისწეროს, რის გამოც ბოდიშს უხდის. აცნობებს, რომ გაუგზავნის მიმართვას საზღვარგარეთ არსებული პოლიტიკური ჯგუფებისადმი. მიაჩნია, რომ აშშ-ის გენერალურ შტაბსა და პენტაგონთან უნდა დაამყარონ კონტაქტი. ჩამოთვლის იმ საკითხებს, რომლებიც, მისი აზრით, მნიშვნელოვანია და უნდა განხორციელდეს.

1951 წ. 19 თებერვალი.

მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, აქვს მინაწერი შავი მელნით, 1 ფ.
პირი: ლომიძე, მისაკიანი.

671. აცნობებს, რომ კავკასიელების ერთობა მნიშვნელოვანია და არასოდეს არ უნდა დასთანხმდნენ კავკასიის დანაწილებას. სწერს, რომ ლიგის კრებაზე გადაწყდა, რომ გააგრძელებენ დაწყებულ საქმეებს. ატყობინებს, რომ მათ მიმართვას დიდი გამოხმაურება და მხარდაჭერა მოჰყვა.

1951 წ. 7 მარტი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, აქვს მინაწერი შავი მელნით, „ტოლსტოის კომიტეტის“ ბლანკზე, 1 ფ.

პირი: მიშა, მაკლეინი, ნოე ჟორდანია, მისაკიანი, ბამატი.

ბაკლი ჯეიმს (James L. Buckley) – აშშ-ის სენატორი.

672. მადლობას უხდის წიგნის „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ გაგზავნისთვის.

1975 წ. 31 მარტი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

ბარუდი უილიამ (William J. Baroody) – აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური მრჩეველი.

673. აცნობებს, რომ პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა ხელი მოაწერა დეკლარაციას დაპყრობილი ერების კვირეულის გამოცხადების შესახებ. ატყობინებს, რომ პრეზიდენტის თხოვნით უგზავნის აღნიშნული დეკლარაციის ასლს.

ახლავს აშშ-ის პრეზიდენტის დეკლარაცია დაპყრობილი ერების კვირეულის გამოცხადების შესახებ.

1974 წ. 17 ივლისი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, ახლავს კონვერტი, 2 ფ.

ბერლშტაინი ალფრედ (Alfred Berlstein) – ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკის სლავური განყოფილების თანამშრომელი.

674. მადლობას უხდის სამეცნიერო დოკუმენტების გაგზავნისთვის.

1951 წ. 18 იანვარი. ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, ბლანკზე, 1 ფ.

ბუჩინსკი ეუგენიუშ (Eugeniusz Buczynski) – ლვოვის 39-ე მსოფლიოელთა პოლკის მეთაური 1939 წელს.

675. ეუგენიუშ ბუჩინსკის (Eugeniusz Buczynski) მიერ ივანე ნანუაშვილისთვის გაგზავნილი წერილების კონვერტები.

უთარილო, ფშემისი (Przemyśl) (პოლონეთი), 5 ც.

ბრაუნი გარი (Gary J. Brown) – ორგანიზაცია „ახალგაზრდა ამერიკელები თავისუფლებისათვის“ ("Young Americans for Freedom") წევრი.

676. მადლობას უხდის ჟურნალის – „სან ფრანცისკოს ქართული კერა“ – მიწოდებისთვის. აცნობებს, რომ უგზავნის ინფორმაციას ნიგნის „სიცრუის ოსტატის“ ("Master of Deceit") შესახებ.

1970 წ. 17 აპრილი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

ბუსკარენი ენტონი (Anthony Bouscaren) – აშშ-ის მარქუეტის უნივერსიტეტის (Marquette University) პოლიტიკური მეცნიერებების დეპარტამენტის დირექტორი.

677. მადლობას უხდის ბროშურის – „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ – გაგზავნისთვის.

1956 წ. 5 დეკემბერი, მილუოკი (აშშ).

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

678. აცნობებს, რომ მისი ნიგნი სსრკ-ის შესახებ წაიკითხა და უბრუნებს. სწერს, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას სთხოვა, შეუკვეთოს მისი ნიგნი.

1957 წ. 4 თებერვალი, მილუოკი (აშშ).

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

[გაბაშვილი რევაზ (?)]

679. აცნობებს, რომ შეიქმნა „ცენტრი“, რომელშიც, გარდა მთავრობისა, განევრიანება შეუძლია ყველას, მათ შორის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. სწერს „ცენტრის“ წევრების სიას და სთხოვს, ეს ამბავი საიდუმლოდ შეინახოს.

1950 წ. 4 დეკემბერი, პარიზი.

ავტოგრაფის ასლი, 2 ფ.

პირი: ნოე ჟორდანი, დ. ვაჩნაძე, გეგეჭკორი, თავაძე, შარია, ა. ქორქია, კალე სალია, კაკი წერეთელი, კერენსკი, აბრამოვიჩი, სუმბათაშვილი, მ. კედი, მ. აღშიბაია, ა. ცომაია, ე. რამიშვილი, გ. კვინიტაძე, ვ. ღამბაშიძე, ი. გობეჩია, დ. მაჭავარიანი, ე. პატარიძე, ლ. ზურაბიშვილი, ვ. ბაქრაძე, რ. გაბაშვილი, ალ. მანველიშვილი.

[გამყრელიძე (?) გიორგი]

680. აცნობებს, რომ სინჯიკაშვილი პარიზში ეძებს მოწმეებს მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების გასაბათილებლად.

1959 წ. 27 ივლისი.

ავტოგრაფი, აქვს მინაწერი წითელი მელნით: „გამყრელიძე“, 1 ფ.

პირი: სანდრო კორძაია, დ. სალირაშვილი, სინჯიკაშვილი, გივი.

681. კერძო ხასიათის.

1974 წ. 6 აგვისტო.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: ლევან ზურაბიშვილი.

გაგაჭკორი ევაენი

682. ეხება „ამერიკულ კომიტეტთან“ თანამშრომლობის საკითხს.

1953 წ. 24, თებერვალი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, გახაზულია წითელი ფანქრით, 1 ფ.

პირი: ზურაბ ჩხოტუა, ალექსანდრე სულხანიშვილი, ალ. ცომაია, გლე-ბოვ-მესხი (?).

ტოპონიმი: მიუნხენი.

გენეკი

683. იხსენებს მეორე მსოფლიო ომის დროს მეზობლ პირებს, ფაქტებსა და ადგილებს.

1973 წ. 6 მარტი, ფშემისლი (პოლონეთი).

ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, ტექსტი წაშლილია და ძნელად იკითხება, 1 ფ.

პირი: შიმანსკი (Szymański), ბურზოვი (Burzowy), ჩაბანოვსკი (Czabanowski), სობეკი (Sobek), რეიმანი (Reyman), ვალეჟიცი (Waliezycy), ბოგუცი (Bogucki), გრომკოვსკი (Gromkowski), ჩიროვსკი (Chirovski), პრალზარზი (Pralzarz), ტრონდოვსკი (Trondowski).

684. სწერს თავის მოგონებებს 1939 წლის ბრძოლების შესახებ.

1973 წ. 14 მარტი, ფშემისლი (პოლონეთი).

ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, ტექსტი წაშლილია და ძნელად იკითხება, 1 ფ.

685. სწერს საერთო ნაცნობების ბედის და მიმდინარე მოვლენების შესახებ.

1973 წ. 13 მაისი.

ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

პირი: ბლუმსკი (Blumski), ოსიეჟკო (Osiezko), ვილეგლა (Wylegla), ბაკი (Bak), სარასინსკი-სკავინსკი (Sarasinski-Skawinski), შავახიშევიჩი (Szawachiszewicz), პიეშაკი (Pieszak), ფუსეკი (Fusek), ტრონდოვსკი (Trondowski).

686. აცნობებს, რომ განზრახული აქვს მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მეომრების მემორიალური დაფის დამზადება.

1973 წ. 8 აგვისტო, ფშემისლი (პოლონეთი).

ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

პირი: ჩმირი (Czmyr), შუტი (Szut), ზიდნიცკი (Zydnicki), კილჟუ (Kilrzu), ჟულტოვსკი (Zoltowski), ვილეგალა (Wylegala).

687. იხსენებს 1939 წლის სექტემბრის საბრძოლო ოპერაციებს.

1973 წ. 20 სექტემბერი, ფშემისლი (პოლონეთი).

მანქანაზე ნაბეჭდი და ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, აქვს მინანქრები ლურჯი მელნით, კალკაზე, 6 ფ.

პირი: კაზიმიეჟ სონსკოვსკი (Kazimierz Sonskowski), ი. შუტი (J. Szut), დიდუხი (Dyduch), ვილეგალა (Wylegala), მარკიევიჩი (Markiewicz), აპოლონიუშ ზავილისკი (Apoloniusz Zawiliski), ლუდვიკ შვეიცერი (Ludwik Szejcer), ვლადისლავ ანდერსი (Wladyslaw Anders), სტრუმფ-ვოიტიკიევიჩი (Strumph-Wojtkiewicz), ი. შპიტმა (J. Szpytma), ს. ოპიელოვსკი (S. Opielowski), ს. ვსნჩიკი (S. Wsnczycki), იუზეფ ბაბიაჟი (Józef Babiarczy), ალექსანდერ ოსინსკი (Aleksander Osinski), რ. შიმანსკი (R. Szymanski), პიოტრ კაჩალა (Piotr Kaczala), ი. ბიენეკი (J. Bienek), იუზეფ პილსუდსკი (Jozef Pilsudski).

688. სწერს კაპიტან სტეფან ჟულტოვსკის (Stefan Zoltowski) შესახებ. სთხოვს დაივინყოს უსიამოვნება, რომელიც შეემთხვა პოლკოვნიკ რომან შიმანსკისთან (Roman Szymanski), ასევე გაუგზავნოს თავისი მოგონება ბირცასთან მომხდარი ბრძოლის შესახებ.

1973 წ. 13 დეკემბერი, ფშემისლი (პოლონეთი).

ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

პირი: რომან შიმანსკი (Roman Szymanski), კაზიმიეჟ სოსნოვსკი (Kazimierz Sosnowski), შუტი (Szut).

689. იხსენებს მეორე მსოფლიო ომის დროს მიმდინარე ბრძოლებს.

უთარილო.

ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, ხელნაკეთ საახალწლო ღია ბარათზე, 1 ც.

690. სთხოვს გაუგზავნოს წიგნი. ახლავს გენეკის (Genek) მოგონება 1939 წლის 7 სექტემბრის ბრძოლის შესახებ.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი და ავტოგრაფი, პოლონურ ენაზე, კალკაზე, ფ. 4-მცირე ზომის, 4 ფ.

გლაზკოვი ვასილი (В. Г. Глазков) – ემიგრაციაში მყოფ კაზაკთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი.

691. სწერს, რომ მათი პოლიტიკოსები სათანადოდ არა იბრძვიან დამონებული ერების განთავისუფლებისთვის და ამ ბრძოლაში უგულვებელყოფენ სამხედრო საკითხს. აცნობებს, რომ იზიარებს მის მოსაზრებას დამონებული ერების განთავისუფლებაში სამხედრო საკითხის მნიშვნელობის შესახებ.

1958 წ. 21 თებერვალი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

692. სთავაზობს შეხვედრას ნიუ-იორკში ივლისის დასაწყისში და მათთვის საინტერესო საკითხების განხილვას.

1958 წ. 28 ივნისი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

693. სწერს, რომ კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას ისინი თანმიმდევრულები და შეუვალები არიან.

1966 წ. 2 იანვარი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: ბაგრატიონი (კნიაგინია).

694. ქრისტეშობისა და ახალი წლის მისალოცი ღია ბარათი.

1970/1971 წ.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, ხელმოწერით, 1 ც.

გოლდუოტერი ბარი (Barry Goldwater) – აშშ-ის სენატორი.

695. მადლობას უხდის წიგნის – „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ – გაგზავნისთვის.

1974 წ. 18 მარტი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

მიხეილ დადიანი

696. კერძო ხასიათის.

1948 წ. 23 იანვარი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, ბლანკზე, 2 ფ.

პირი: დათა ქუთათელაძე, გოგია, შაქრო [ცერცვაძე ?], თინა [გომართელი] – მიხეილ დადიანის მეუღლე, ცოტნე.

ტოპონიმი: ვირჯინიის შტატი, რომი, ნიუ-იორკი, ლონდონი.

697. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. ეხება ივანე ნანუაშვილის ნაშრომების თარგმნისა და გამოქვეყნების საკითხს. აცნობებს, რომ ქართული საქმისათვის [ნიუ-იორკის] ემიგრაციაში ხელსაყრელი ნიადაგია შექმნილი.

1948 წ. 19 თებერვალი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: ჯონჯი დადიანი, დ. ქუთათელაძე, სიმონიკა [დადიანი], მელიქ არტემიჩი, შაქრო ცერცვაძე.

ტოპონიმი: ნიუ-იორკი.

698. სწერს, რომ აშშ-ის ქართული ემიგრაციის შემადგენლობის გათვალისწინებით შეუძლებელია გაერთიანების შექმნა ან გამოცემის დაარსება. აცნობებს, რომ თუ იგი (ვანო ნანუაშვილი) გადაწყვეტს ამერიკაში საცხოვრებლად გადასვლას, სამსახურის

შოვნა არ გაუჭირდება. ეხება აშშ-ში საქმიანი კავშირების დამყარების საკითხს.

1948 წ. 27 მარტი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, რამდენიმე ადგილას წითელი ფანქრით გახაზულია და აქვს მინაწერი, 2 ფ.

პირი: ტარსაიძე, დ. ქუთათელაძე, კეი, გუგუ, ფარნაოზი.

699. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. ეხება ვანო ნანუაშვილის ნაშრომების გამოცემის საკითხს.

1948 წ. 13 აპრილი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, გახაზულია წითელი ფანქრითა და შავი მელნით, 1 ფ.

პირი: ოთარ ზალდასტანიშვილი, პროფ. სმასტოვსკი, გ. ნაკაშიძე, დ. ქუთათელაძე, საშა სულხანიშვილი.

700. აცნობს მიმდინარე საკითხებს, კერძოდ, ნანუაშვილის ნაშრომების გამოცემის, საერთო საქმისთვის სასარგებლო კონტაქტების დამყარებისა და ზოგი ქართველი ემიგრანტის შესახებ.

1948 წ. 1 ივნისი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: ო[თარ] ზალდასტანიშვილი, სმასტოვსკი, დ. შალიკაშვილი, ს. კობიაშვილი, ალშიბაია.

701. სთხოვს, სასწრაფოდ გაუგზავნოს მოხსენება, თუ რატომ სურთ ამერიკულ სამხედრო წრეებთან დაკავშირება.

1948 წ. 14 ივნისი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, რამდენიმე ადგილას გახაზულია წითელი და ლურჯი ფანქრით, ასევე – შავი მელნით, 2 ფ.

პირი: გოგია, ს[აშა] სულხანიშვილი, ჯონჯი [დადიანი], დ. ვაჩნაძე, ახმეტელი, ს. კობიაშვილი

702. ეხება ნანუაშვილის ნაწერების ამერიკაში გამოცემის საკითხს. სთხოვს გაუგზავნოს მოხსენება. აცნობებს, რომ არასწორია აშშ-ში უცხოელებისგან ცალკე ლეგიონის შექმნის შესახებ

გავრცელებული ინფორმაცია. ატყობინებს, რომ ცდილობს მისი (ვანო ნანუაშვილი) ამერიკაში ჩაყვანის საკითხი მოაგვაროს.

1948 წ. 16 ივნისი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: გოგია, ჯონჯი [დადიანი], დ. ვაჩნაძე, ახმეტელი (ლ. ახმეტელის ძმისშვილი), საშა [სულხანიშვილი ?].

703. ეხება აშშ-ის [სამხედრო პირებთან] დაკავშირებისა და ამ საკითხში სხვა ქართველ ემიგრანტებთან წარმოქმნილ უთანხმოების საკითხს.

1948 წ. 30 ივნისი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, ბოლონაკლული, 1 ფ.

პირი: გოგია, ჯ[ონჯი დადიანი], ს[აშა] [სულხანიშვილი ?], ალშიბაია, დ. ვაჩნაძე.

704. ეხება ნანუაშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში საცხოვრებლად გადასვლის საკითხს. სწერს [ამერიკელ სამხედრო ჩინის პირებთან] ურთიერთობის დამყარების შესახებ. ატყობინებს, რომ კალისტრატე სალიამ შესთავაზა ჟურნალთან „ბედი ქართლისა“ თანამშრომლობა.

1948 წ. 6 ივლისი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, მე-2 ფურცელზე ტექსტის მონაკვეთი მოწმინდულია წითელი ფანქრით, 2 ფ.

პირი: გოგია, ჯონჯი [დადიანი], საშა [სულხანიშვილი ?], დ. ქუთათელაძე, დოლიკა, კ. სალია, მიხ. წერეთელი, გრ. რობაქიძე, ვ. ნოზაძე, რ. გაბაშვილი, ო. ზალდასტანიშვილი.

705. აცნობებს, რომ მისი P.i.N.R იბეჭდება ინგლისურად ამერიკულ ჟურნალში. სწერს ამერიკელ [სამხედრო პირთან] სხვა ქართველი ემიგრანტების შეხვედრის შედეგებზე. ატყობინებს, რომ უნდა შეხვდეს აშშ-ში ჟურნალისტიკის სფეროში კავშირების მქონე პოლონელ მღვდელს. სთხოვს ნაშრომების გადათარგმნასა და გამოქვეყნებაში დახმარებას.

1948 წ. 16 აგვისტო, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: ჯონჯი [დადიანი], საშა [სულხანიშვილი ?].

706. აცნობებს, რომ მისი P.i.N.R აუცილებლად დაიბეჭდება. ურჩევს პარიზში ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობების გააქტიურებას, რადგან ეს ხელსაყრელია ამერიკაში მათი საერთო საქმისთვის.

1948 წ. 29 აგვისტო, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, მონიშვნები და რომაული ციფრები წითელი ფანქრით, 3 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], ჯონჯი [დადიანი], ა. ქართველიშვილი.

707. აცნობებს, რომ შეხვდნენ ამერიკული ორგანიზაციის (FBI ?) წევრებს და გადასცეს მისი რეფერატები, რომლებსაც თარგმნიან და წარუდგენენ სამხედრო შტაბს, რომლის წარმომადგენელიც მოგვიანებით დაუკავშირდება.

1948 წ. 5 სექტემბერი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: ჯონჯი [დადიანი], ლომიძე, კაპ. ჯავახიშვილი.

708. სწერს, რომ FBI-ს წევრები მის მიერ მიწოდებულ მასალას გადასცემენ სამხედრო-პოლიტიკურ უწყებას, რომელიც გამოიტანს გადაწყვეტილებას. აცნობებს, რომ ჯერ არ დაბეჭდილა ნანუაშვილის P.i.N.R.

1948 წ. 20 სექტემბერი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: ს[აშა სულხანიშვილი ?], ჯ[ონჯი დადიანი], ბაქრაძე.

709. აცნობებს, რომ აღარ მიიღებს მონაწილეობას ორგანიზაციის საქმიანობაში.

1948 წ. 17 ნოემბერი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: ჯ[ონჯი დადიანი], ვიქტორი.

710. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. ასევე ეხება ვანო ნანუაშვილის ნაშრომების თარგმნისა და გამოქვეყნების საკითხს.

1948 წ. 29 დეკემბერი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], ჯ[ონჯი დადიანი], [ა.] ლობჯანიძე, გოგია.

711. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. ასევე ეხება ვანო ნანუაშვილის ნაშრომების თარგმნის, გამოქვეყნებისა და ჰონორარის საკითხებს.

1949 წ. 12 იანვარი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: ვ. ბაქრაძე, [ა.] ლობჯანიძე, საშა [სულხანიშვილი ?], ჯ[ონჯი დადიანი], მელიქა, გოგია.

ტოპონიმი: ნიუ-იორკი, იტალია, პოლონეთი.

712. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. ასევე აცნობებს, რომ აშშ-ში ქართული საქმისთვის ხელსაყრელი მდგომარეობაა შექმნილი. სწერს, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია რუსი ემიგრანტების მიერ დაარსებულ „რუსეთის თავისუფალ ხალხთა ლიგაში“ ქართველი ემიგრანტების განეწესება.

1949 წ. 4 მარტი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: გოგია, საშა [სულხანიშვილი ?], [ა.] ლობჯანიძე, ა. გურიელი, პ. კვარაცხელია, ა. ყრუაშვილი, მ. ჯორჯაძე, ა. კერენსკი.

713. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. ეხება ვანო ნანუაშვილის ერთ-ერთი ნაშრომის თარგმნისა და გამოქვეყნების საკითხს.

1949 წ. 14 მარტი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], [ა.] ლობჯანიძე, ვახტანგ აბაშიძე, ვანო ბაქრაძე, შოთა.

ტოპონიმი: ნიუ-იორკი.

714. აცნობებს, რომ აშშ-ში ქართველი მენშევიკების გააქტიურება შეუძლებელია.

1949 წ. 1 მაისი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: [ა.] ლობჯანიძე, მელიქა, ვახ[ტანგ] აბაშიძე, კიტა ჩხენკელი, პ. კვარაცხელია, საშა [სულხანიშვილი ?], მიხ. ალშობაია, [გივი] გაბლიანი, კედია, ექ. ჩხატარაიშვილი, ევ. გეგეჭკორი, ნოე ჟორდანია, კერენსკი, ვანო ბაქრაძე.

ტოპონიმი: შვეიცარია, პარიზი.

715. ეხება ვანო ნანუაშვილის აშშ-ში საცხოვრებლად გადასვლის საკითხს. აცნობებს, რომ [კიტა] ჩხენკელი შეხვდა „ამერიკის ხმის“ წარმომადგენლებს. სწერს თავის შეხედულებას პარიზის ქართულ ემიგრაციასთან ურთიერთობისთვის გ. შანშიაშვილის კანდიდატურის შერჩევის შესახებ.

1949 წ. 13 ივნისი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 4 ფ.

პირი: ა. ლობჯანიძე, საშა [სულხანიშვილი ?], ვ. აბაშიძე, ამბროსი, ჩხენკელი [კიტა], სმასტოვსკი, მერაბ კვიტაშვილი, გენ. ზიგსტ[...], გიორგი ვაჩნაძე, გ. შანშიაშვილი.

ტოპონიმი: სივამი, ყირიმი, ხერსონი, კრემენჩუგი, პერიკოპი, სიმფეროპოლი.

716. ეხება ვანო ნანუაშვილის აშშ-ში საცხოვრებლად გადასვლის საკითხს. აცნობებს, რომ კიტა ჩხენკელს ესუბრა მათი ორგანიზაციის („მხედართა კავშირი“) შესახებ.

1949 წ. 15 აგვისტო, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: სიკო [კობიაშვილი], თ[ეიმურაზ] ბაგრატიონი, საშა [სულხანიშვილი ?], კ[იტა] ჩხენკელი, ვ. ლომიძე, ჯ[ონჯი] დ[ადიანი], მერაბ კვ[ი-ტაიშვილი], გოგია, ბიქტორი.

717. ეხება ვანო ნანუაშვილის აშშ-ში საცხოვრებლად გადასვლის საკითხს. ამ მიზნით სურს, რომ დაუკავშირდეს თეიმურაზ ბაგრატიონს.

1949 წ. 9 სექტემბერი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], [თეიმურაზ] ბაგრატიონი, [ა.] ლობჯანიძე, ჯ[ონჯი] დ[ადიანი], ვ. აბაშიძე, სიკო კობიაშვილი, ვ. ლომიძე.

ტოპონიმი: მიდლტაუნი.

718. სწერს, რომ კავკასიური კლუბის პიკნიკზე გაიცნო თეიმურაზ ბაგრატიონი. ატყობინებს, რომ ნაყოფიერი საუბარი ჰქონდა აშშ-ის დაზვერვის ოფიცერთან, რომელმაც თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

1949 წ. 28 სექტემბერი, აშშ.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: თეიმურაზ ბაგრატიონი, მ. სუმბათაშვილი, იუგოსლავიის მეფე პეტრე.

ტოპონიმი: ინგლისი, ნიუ-იორკი.

719. აცნობებს, რომ აშშ-ის დაზვერვის თანამშრომელს, რომელსაც ისინი პირობითად „პეტრედ“ მოიხსენიებენ, გაუგზავნა მასალები. სწერს, რომ მათი მიმონერისთვის საჭიროა რთული შიფრის გამოყენება. აცნობებს თავის პოზიციას, როგორ უნდა იმოქმედოს პეტრესთან (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომელი) ურთიერთობის დროს. სთავაზობს დახმარებას ორგანიზაციაში არსებული კრიზისის დაძლევაში.

1949 წ. 10 ოქტომბერი, ნიუ-იორკი

ავტოგრაფი, შავი მელნით, ტექსტი რამდენიმე ადგილას გახაზულია წითელი და შავი მელნით, 1 ფ.

პირი: ყიფიანი, გვარამაძე.

720. ეხება [აშშ-ის დაზვერვის თანამშრომელთან], რომელსაც ისინი პირობითად „პეტრედ“ მოიხსენიებენ, თანამშრომლობის საკითხს. ატყობინებს, რომ „პეტრე“ წარმოშობით ჩერქეზია.

1949 წ. 11 ოქტომბერი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: გაბლიანი.

721. სწერს, რომ პეტრეს (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი) გაუგზავნა მასალები. აცნობებს, რომ „პეტრესთან“ თანამშრომლობით მაქსიმალურად უნდა ეცადონ, რათა საერთო გეგმები განახორციელონ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორია.

1949 წ. 24 ოქტომბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, ტექსტი გახაზულია წითელი ფანქრით, აქვს მინაწერი: „პატაკი“, 1 ფ.

პირი: დ. ქუთათელაძე, ს. კობიაშვილი.

722. სწერს პარიზში მყოფი ქართველი სამხედროების შესახებ და სთავაზობს, რომ შექმნან „სამხედრო კავშირის“ უჯრედი.

[1949 წ.] 8 ნოემბერი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: ძიძაშვილები, არჩილ დადიანი, მიშა კვალიაშვილი.

723. სწერს ნანყვეტს „პეტრეს“ (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი) წერილიდან, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ ივანე ნანუაშვილის ნაშრომები არ შეიცავს მოქმედების კონკრეტულ გეგმას, რის გამოც უკან უბრუნებს მასალებს. აცნობებს თავის მოსაზრებებს, როგორ უნდა გააგრძელონ „პეტრესთან“ ურთიერთობა.

1949 წ. 14 ნოემბერი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

724. სწერს, რომ მინიშნებებით მისწერს „პეტრეს“ (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი) მისამართს. აცნობებს, რომ „პეტრეს“ გაუგზავნა რეფერატი და წერილი. ატყობინებს რეფერატისა და წერილის მოკლე შინაარსს.

1949 წ. 25 ნოემბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, გახაზულია წითელი ფანქრით, 1 ფ.

725. სწერს, რომ „პეტრესთან“ (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი) ისაუბრა ქართველი ოფიცრების ამერიკულ სამხედრო სკოლაში მიღების შესახებ. მინიშნებებით (დაშიფრულად) ატყობინებს „პეტრეს“ მისამართს.

1949 წ. 30 ნოემბერი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, ტექსტი რამდენიმე ადგილას გახაზულია წითელი მელნით, 1 ფ.

პირი: სიკო [კობიაშვილი].

726. წერილი დაშიფრულია. ეხება „პეტრესთან“ (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი) ურთიერთობის საკითხს. აცნობებს, რომ თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელი, ეროვნული თვალსაზრისით, მათთვის დაკარგული პიროვნებაა. სწერს, რომ უგზავნის ცნობას თეიმურაზ ბაგრატიონის ჯვრისწერის შესახებ. ახლავს ამონაჭერი რუსული გაზეთიდან თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანბატონის ჯვრისწერის შესახებ.

1949 წ. 6 დეკემბერი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

727. წერილი დაშიფრულია. სთავაზობს მემორანდუმის შედგენას. სწერს თავის მოსაზრებას, მემორანდუმში რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება.

1949 წ. 9 დეკემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: ლ. ლალიძე.

728. უგზავნის „პეტრესგან“ (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი) მიღებული საპასუხო წერილის ფრაგმენტს. მიიჩნევს, რომ მათი ტაქტიკა სწორია და შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

1949 წ. 22 დეკემბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

729. წერილი დაშიფრულია. სწერს „პეტრესთან“ (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი) შეხვედრისას, რა საკითხებზე იმსჯელეს და შეთანხმდნენ. ვარაუდს გამოთქვამს, რომ მალე შედგება მისი და „პეტრეს“ მორიგი შეხვედრა. აცნობებს, რა უნდა იცოდეს ამ შეხვედრის შემთხვევაში.

1949 წ. 28 დეკემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: ჰოვანეზა (?), საშა სულხანიშვილი.

ტოპონიმი: ნიუ-იორკი.

730. აცნობებს, რომ ალ. სულხანიშვილმა შეიტყო მისი და „პეტრეს“ (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი) შეხვედრის შესახებ. სწერს თავის მოსაზრებას არჩილ დადიანის კანდიდატად დასახელების თაობაზე. მინიშნებებით ცდილობს, გააგებინოს „პეტრეს“ გვარი. ურჩევს, რა საკითხი მოაგვაროს „პეტრესთან“ შეხვედრამდე.

1950 წ. 4 იანვარი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: საშა ს[ულხანიშვილი], არჩილ დადიანი, დავითაია, გოგი ჭიჭინაძე, გოგი ჯავახიშვილი, ფარნაოზ ნაცვლიშვილი (იუნკერი), მამუკა ასათიანი (იუნკერი), ზუბიკა ტატიშვილი (იუნკერი), ისკანდარაშვილი (იუნკერი), ტატო რატიშვილი (იუნკერი), ვანო ბაქრაძე (იუნკერი), გიორგი ოდიშელიძე (იუნკერი), დოლიკ ვაჩნაძე (იუნკერი).

ტოპონიმი: ნიუ-იორკი.

731. აცნობს თავის აზრს მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით. სწერს ვანო ნანუაშვილის ნაშრომების გამოქვეყნების შესახებ, ატყობინებს, რომ „პეტრემ“ (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი) იცის მათი ორგანიზაციის არსებობის შესახებ.

1950 წ. 23 იანვარი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, გახაზულია წითელი ფანქრით, 1 ფ.

პირი: გოგი ჭიჭინაძე, სანდრო, სიკო [კობიაშვილი], მ. ალშიბაია, გ. გაბლიანი.

732. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. სწერს ა. ტარსაიდის წერილიდან ფრაგმენტს, რომელიც ეხება რადიო „ამერიკის ხმაში“ საქართველოზე გადაცემების მომზადებასა და მის თემატიკას.

1950 წ. 4 თებერვალი, [აშშ].

ავტოგრაფი, ქართულ და რუსულ ენებზე, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], თეიმურაზი [ბაგრატიონი] ა. ტარსაიძე, დათა ვაჩნაძე, სიკო [კობიაშვილი].

733. სწერს, რომ ელოდება „პეტრესგან“ (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი) პასუხს. აცნობებს, რომ უსახსრობის გამო ვერ მიდის ქართული კოლონიის კრებაზე.

1950 წ. 6 თებერვალი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: საშა, დალინი, ვ. კაროლი.

734. სწერს „პეტრესთან“ (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი) ურთიერთობის შესახებ. აცნობებს, რომ სათვისტომოს კრებამ ძველი გამგეობა დატოვა.

1950 წ. 15 თებერვალი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: ლომიძე, ჯ[ონჯი] დ[ადიანი], სიკო [კობიაშვილი], დავითაია, კანდელაკი, ვიქტორი.

735. სწერს სიკო [კობიაშვილის] საპასუხო წერილის შინაარსს. აცნობებს, რომ იმედი აქვს „პეტრე“ (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი) აუცილებლად დაუკავშირდება მას.

1950 წ. 1 მარტი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: სიკო [კობიაშვილი], დავითაია, საშა [სულხანიშვილი ?], ს. ერისთავი, გურიელი (არჩილ ჭყონია), ს. ტარსაიძე.

736. აცნობს თავის აზრს ვანო ნანუაშვილის მიერ გაგზავნილ ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიების შესახებ. ატყობინებს ყოფილი იუნკრის, რომელსაც პირობითად „ინგუშს“ უწოდებს, საწინააღმდეგო მოქმედებების შესახებ. აცნობებს, რომ პარიზში არსებული „საიდუმლო სკოლის“ წევრებიდან მხოლოდ შოთა გედევანიშვილმა მიიღო მონაწილეობა ბრძოლებში, დანარჩენები კი გაიპარნენ.

1950 წ. 20 მარტი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: ე. გეგეჭკორი, კედი, მიხო აღშობაია, ა. ბოკერია, მ. ქავთარაძე, ნოზაძე, მათიკაშვილი, შოთა გედევანიშვილი.

737. სთავაზობს, რომ თუ ვანო ნანუაშვილის აშშ-ში საცხოვრებლად გადასვლის საკითხი დადებითად არ გადაწყდება, უარი არ თქვას „ბიცილას“ [ინგლისის] წინადადებაზე და ინგლისში გააგრძელოს მუშაობა. აცნობებს, რომ „ბიცილა“ [ინგლისი] და „ბიძია“ [აშშ] ევროპის კომუნიზმის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში ერთ პოზიციაზე არიან.

1950 წ. 4 აპრილი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

738. სწერს, რომ „პეტრეს“ (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი) სიჩუმე, სავარაუდოდ, ზოგიერთი ქართველის საზიანო ქმედებით არის გამოწვეული. ურჩევს, დატოვოს ორგანიზაცია და ყურადღება აშშ-ში გადასვლაზე გადაიტანოს.

1950 წ. 21 აპრილი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: გოგლიკა ვაჩნაძე, ვიქტორი, საშა [სულხანიშვილი ?], თეიმურაზ [ბაგრატიონი], გაბლიანი.

739. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. ეხება „ყოფილ ქართ. კომბატანტთა ასოციაციას“. ურჩევს, თავი დაანებოს ორგანიზაციებთან მუშაობას და ინდივიდუალურად იმოქმედოს.

1950 წ. 9 მაისი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: თეიმურაზ [ბაგრატიონი], საშა [სულხანიშვილი ?], ა. რამიშვილი, ლომიძე, გენ. ჯაფარიძე, პოლკ. ცხაკაია, შ. ნიკოლაძე, გაბლიანი.

740. ეხება ვანო ნანუაშვილის აშშ-ში საცხოვრებლად გადასვლის საკითხს. აცნობებს, რომ „პეტრეს“ (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი), სავარაუდოდ, ზაფხულში შეხვედება.

1950 წ. 26 მაისი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], გ. აბაშიძე, სიკო [კობიაშვილი], მ. ჯორჯაძე.

741. აცნობებს, რომ რადიო „ამერიკის ხმაში“ სამუშაოდ 6 ქართველი სჭირდებათ. ატყობინებს, რომ, დიდი ალბათობით, რადიო „ამერიკის ხმაში“ მუშაობას დაიწყებს, თუ ვინმემ ხელი არ შეუშალა. სწერს, რომ მისი (ვანო ნანუაშვილი) აშშ-ში საცხოვრებლად გადასვლა საერთო საქმისთვის აუცილებელია.

1950 წ. 9 ივლისი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: ვახტანგ აბაშიძე, ლომიძე, ირაკლი ორბელიანი, ჯიმშერ ახმეტელი, შუშუ [საშა] სულხანიშვილი, თეიმურაზ [ბაგრატიონი].

742. სწერს იმ ქართველი ემიგრანტების შესახებ, რომლებიც ხელს უშლიან საქმიანობაში. იმედი აქვს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, შეძლებენ მიზნის მიღწევას. აცნობებს, რომ რადიო „ამერიკის ხმაში“ მუშაობის დაწყებას შეძლებს, თუმცა ამას დრო დასჭირდება.

1950 წ. 19 ივლისი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: თეიმურაზ [ბაგრატიონი], საშა [სულხანიშვილი ?], სიკო კობიაშვილი, გაბლიანი, ვახტანგი.

743. აცნობებს, რომ განზრახული აქვთ, ნიუ-იორკში ჩაატარონ კრება, რომელსაც რამდენიმე ადამიანი (ზურაბ ჩხოტუა, ირაკლი ორბელიანი, თეიმურაზი [ბაგრატიონი?], საშა [სულხანიშვილი], ლ. დუმბაძე და თვითონ) დაესწრება. სწერს, რომ ზურაბ ჩხოტუამ [ევგენი] გეგეჭკორისგან მიიღო მანდატი აშშ-ში ქართული საქმიანობისთვის.

1950 წ. 9 აგვისტო, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], თეიმურაზ [ბაგრატიონი], ზურაბ ჩხოტუა, გეგეჭკორი, ლ. დუმბაძე, ირაკლი ორბელიანი, საშა [სულხანიშვილი], [ევგენი] გეგეჭკორი.

744. აცნობებს დროებითი საინიციატივო ჯგუფის კრების შედეგებს. სწერს თავის გეგმას საინიციატივო ჯგუფის მორიგ კრებასთან დაკავშირებით.

1950 წ. 19 აგვისტო, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: ირაკლი ორბელიანი, თეიმურაზ [ბაგრატიონი], ლ. დუმბაძე, ვ. ანდრონიკაშვილი, საშა სულხანიშვილი, ზურაბ ჩხოტუა, მიხეილ ახმეტელი, ვ. აბაშიძე.

745. აცნობებს, რომ მისი (ვანო ნანუაშვილი) აშშ-ში საცხოვრებლად გადაყვანის საკითხზე ზრუნავს საშა [სულხანიშვილი]. სწერს, რომ [საინიციატივო ჯგუფი] დაარეგისტრირებს ორგანიზაციას „ქართული ანტიკომუნისტური ჯგუფი“. მიიჩნევს, რომ ჯგუფის შემადგენლობა მომზადების მხრივ სუსტია, თუმცა – მონდობილი. ატყობინებს, რომ შემდეგ კრებაზე ვაშინგტონიდან დაბრუნებული ზ. ჩხოტუა გააკეთებს მოხსენებას, რა ფორმით და როგორ უნდა დაარეგისტრირონ ორგანიზაცია.

1950 წ. 25 აგვისტო, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, რამდენიმე ადგილას გახაზულია წითელი მელნით, 2 ფ.

პირი: ზ. ჩხოტუა, საშა [სულხანიშვილი], თეიმურაზ [ბაგრატიონი], ლ. დუმბაძე, [ევგენი] გეგეჭკორი, დავითაია, გაბლიანი, მიხო, ლ. ზურაბიშვილი, ს. ცომაია, დ. ვაჩნაძე.

746. აცნობებს, რა გადაწყვეტილებები მიიღეს [საინიციატივო ჯგუფის] მორიგ კრებაზე. ურჩევს სამხედრო კავშირის რეორგანიზაციას.

1950 წ. 28 აგვისტო, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, აქვს მინანერი ვანო ნანუაშვილის ხელით: „მივიღე 31.8“, 1 ფ.

პირი: ზ. ჩხოტუა, ჩახრუხაძე (ჩხოტუა), ა. გურიელი, გ. ჭიჭინაძე, პ. კვარაცხელია, კ. ხუნწარია, გაბლიანი, თეიმურაზი [ბაგრატიონი], დ. ვაჩნაძე, ვ. აბაშიძე, საშა (სულხანიშვილი), სიკო [კობიაშვილი].

747. ურჩევს, რომ პოლიტიკური საქმიანობა შეწყვიტოს ინგლისში და აშშ-ში გააგრძელოს. აცნობებს, რომ ალშობაია და ზოგი სხვა მისთვის უცნობი პირი მასზე (ვანო ნანუაშვილი) უარყოფით ხმებს ავრცელებენ, რაც ცუდ გავლენას იქონიებს მათ საერ-

თო საქმეზე. ატყობინებს, რომ [საინიციატივო ჯგუფის] ბოლო კრებაზე აირჩიეს კომიტეტი.

1950 წ. 7 სექტემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, რამდენიმე ადგილას გახაზულია წითელი და ლურჯი ფანქრით, 2 ფ.

პირი: ალშიბაია, მათიკაშვილი, ჩახრუხაძე, პ. კვარაცხელია, ი. ორბელიანი, ლ. დუმბაძე, დ. ჩხატარაშვილი, [ევგენი] გეგეჭკორი, თეიმურაზ ბაგრატიონი (ბაღლი).

748. წერილი დაშიფრულია. ეხება [საინიციატივო ჯგუფის] 5 სექტემბრის კრებას.

1950 წ. 15 სექტემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, რამდენიმე ადგილას გახაზულია წითელი მელნით, 1 ფ.

პირი: დოლიკა ვაჩნაძე.

749. სწერს თეიმურაზ [ბაგრატიონთან] გაგზავნილი წერილების შინაარსს.

1950 წ. 21 სექტემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, რამდენიმე ადგილას გახაზულია და აქვს მინაწერი წითელი ფანქრით, 1 ფ.

პირი: თეიმურაზი [ბაგრატიონი].

750. სწერს თეიმურაზ ბაგრატიონის მისამართს, ასევე ახასიათებს მის პიროვნებას. ატყობინებს, რაზე ისაუბრა [საინიციატივო ჯგუფის] 5 სექტემბრის კრებაზე, რადგან მისი სიტყვა ევროპის ქართულ ემიგრაციაში არასწორად აღიქმეს.

1950 წ. 8 ოქტომბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, ბოლონაკლული, რამდენიმე ადგილას გახაზულია წითელი ფანქრით, 2 ფ.

პირი: ჩახრუხაძე (ჩხოტუა), თეიმურაზ ბაგრატიონი.

751. წერილი დაშიფრულია. ეხება „სარდაფში“ (საინიციატივო ჯგუფის პირობითი სახელი) მის პოზიციებს, ასევე – „სარდაფის“ კრებებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. აც-

ნობებს, რომ მისი (ვანო ნანუაშვილი) აშშ-ში ჩამოყვანის საკითხი თითქმის მოგვარებულია.

1950 წ. 22 ოქტომბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, გახაზულია წითელი მელნით, 2 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი], ბამატი, ვახტანგი.

752. აცნობებს, რომ ანგლოამერიკულ წრეებში ერთიანი რუსეთის დაყოფის იდეა ძლიერდება, რითაც შემფოთებული რუსული ემიგრაცია ცდილობს თავისი პოლიტიკის მომხრეთა პოვნას. გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ბალს“ (თეიმურაზ ბაგრატიონი) რუსული ემიგრაცია საქართველოს ტახტს ჰპირდება, რის გამოც მისი პოზიციები იცვლება.

1950 წ. 2 ნოემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: თეიმურაზ ბაგრატიონი („ბალლი“).

753. სწერს, რომ ჩატარდა [საინიციატივო ჯგუფის] მორიგი კრება, რომლის შესახებაც მან შემთხვევით გაიგო. აცნობებს, რომ კრებაზე მიუღიათ წესდება, რომელშიც საქართველო ნახსენები არაა. ურჩევს, ხშირად მისწეროს „ბალს“ (თეიმურაზ ბაგრატიონის პირობითი სახელი), რომ შეძლოს მისი მიმხრობა. აძლევს რჩევებს, როგორ მიმართოს მას წერილის გაგზავნისას.

1950 წ. 20 ნოემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, გახაზულია წითელი და ლურჯი ფანქრით, 1 ფ.

პირი: პ. კვარაცხელია, ი. ორბელიანი, ლ. დუმბაძე, დ. ჩხარატაშვილი, ალავიძე, გურგენიძე, თეიმურაზ ბაგრატიონი („ბალლი“).

ტოპონიმი: ნიუ-იორკი.

754. აცნობებს, რომ დაესწრება ახალი გამგეობის მიერ მოწვეულ პირველ საჯარო და გაფართოებულ კრებას. სწერს, რომ „ბალლი“ (თეიმურაზ ბაგრატიონის პირობითი სახელი) მიწვეულია რუსულ ეპისკოპოსთა ყრილობაზე, რომელშიც ისაუბრებს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ატყობინებს, რომ რადიო „ამერიკის ხმის“ რუსულ განყოფილებას გამოეყო კავკასი-

ური ნაწილი, რომლის ხელმძღვანელ ირაკლი ორბელიანზე დიდ იმედებს ამყარებს.

1950 წ. 5 დეკემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], ა. ბარმინი, ირაკლი ორბელიანი, რუზველტი (რუსი გენერლის, ა. ბარმანის, ცოლისძმა), თეიმურაზ ბაგრატიონი („ბაღლი“).

755. სწერს, რომ დადგენილია, რადიო „ამერიკის ხმაში“ არ მიიღონ ძველი ემიგრანტები. აცნობებს, რომ [რადიო „ამერიკის ხმის“ კავკასიური განყოფილების] უფროსი რუზველტი დასაქმებას დაჰპირდა. ატყობინებს, რომ „ბაღლს“ (თეიმურაზ ბაგრატიონის პირობითი სახელი) მასთან გარეგნულად კარგი ურთიერთობა აქვს, თუმცა სხვებთან საუბრისას განსხვავებულ პოზიციას გამოხატავს. სთხოვს, აცნობოს აშშ-ში ჩასვლის თარიღი.

1950 წ. 10 დეკემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: ირაკლი ორბელიანი, რუზველტი (გენერალ ა. ბარმანის ცოლისძმა), საშა [სულხანიშვილი], თეიმურაზ ბაგრატიონი („ბაღლი“).

756. წერილი დაშიფრულია. ასევე ეხება „პეტრესთან“ (აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლის პირობითი სახელი) შეხვედრისა და ურთიერთობის საკითხებს.

1950 წ. 13 დეკემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნი, 2 ფ.

პირი: დოლიკა, რატიშვილი, პ. კვარაცხელია, გოგია, ცოტნე.

757. ეხება „ბაღლთან“ (თეიმურაზ ბაგრატიონი) ურთიერთობის საკითხს. ატყობინებს საიდუმლო ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ოფიციალურად გაფორმებული იქნება რადიო „ამერიკის ხმის“ თანამშრომლად, რეალურად კი მისით დაინტერესებული არიან ვაშინგტონში სამხედრო პირები და, შესაძლოა, მათთან თანამშრომლობს.

1950 წ. 21 დეკემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, რამდენიმე ადგილას გახაზულია წითელი ფანქრით, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი], დუმბაძე, ირ. ორბელიანი, ნოზაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი („ბალლი“).

758. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. ატყობინებს, რომ რუსეთის მიმართ მისი შეურიგებელი პოზიციის გამო აღარ იწვევენ კრებებზე. სწერს, რომ მის (ვანო ნანუაშვილი) შესახებ ავრცელებენ ჭორებს და მას მეგრელებისა და გურულების სიძულვილს აბრალევენ.

1951 წ. 29 იანვარი, ნიუ-იორკი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, რამდენიმე ადგილას გახაზულია წითელი მელნით, 2 ფ.

759. სწერს, რომ თუ „სარდაფთან“ (საინიციატივო ჯგუფი) ერთად მუშაობა ვერ მოახერხეს, „ბალლის“ (თეიმურაზ ბაგრატიონი) სიჯიუტის გამო სხვა საშუალებები უნდა გამოიხატონ. ატყობინებს, რომ ქართული კოლონიის კრებაზე აირჩიეს ახალი გამგეობა.

1951 წ. 5 თებერვალი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, გახაზულია წითელი მელნით, 1 ფ.

პირი: ლ. დუმბაძე, კ. გურგენიძე, ს. ალავიძე, დ. ჩხატარაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი („ბალლი“).

760. აცნობებს, რომ „სარდაფი“ (საინიციატივო ჯგუფი) იწვევს გაფართოებულ კრებას. სწერს, რომ „სარდაფის“ რამდენიმე წევრი უეკაყოფილოა „ბალლის“ (თეიმურაზ ბაგრატიონი) მოქმედებებით. აცნობებს, რომ „ბალლმა“ მასთან მიმოწერა შეწყვიტა. სთხოვს, შეატყობინოს მისი (ვანო ნანუაშვილი) აშშ-ში ჩასვლის თარიღი და გემის ნომერი.

1951 წ. 22 თებერვალი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], თეიმურაზ ბაგრატიონი („ბალლი“).

761. აცნობებს, რომ [საინიციატივო ჯგუფის] კრებაზე „ბალღის“ (თეიმურაზ ბაგრატიონი) მოხსენებიდან გაირკვა, რომ არსებითად არაფერი არ არის გაკეთებული. ატყობინებს, რომ მან უარი თქვა გამგეობის წევრობაზე. გაკვირვებას გამოხატავს კრების თავმჯდომარის – ვ. აბაშიძის – მისდამი დამოკიდებულების გამო. სწერს, რომ „ბალღის“ კერენსკისთან მუშაობის ამბავი არ შეესაბამება სიმართლეს.

1951 წ. 16 მარტი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: გაბლიანი, ვ. აბაშიძე, ვახტანგი, კერენსკი, თეიმურაზ ბაგრატიონი („ბალღი“).

762. ნაწილობრივ კერძო ხასიათის. სწერს, რომ „ბალღს“ (თეიმურაზ ბაგრატიონი) რამდენიმე თვეა უშედეგოდ სთხოვს მემორანდუმის მომზადებას. აინტერესებს, რა აზრისაა მის მიერ ლიგის გამგეობის წევრობაზე უარის თქმის შესახებ. აცნობებს, რომ აშშ-ის პერიოდულ გამოცემებში ნაშრომების დაბეჭდვისთვის საჭიროა მინდობილობის გაფორმება ისეთ პირზე, რომელიც აშშ-ში ცხოვრობს.

1951 წ. 12 აპრილი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: თეიმურაზ ბაგრატიონი („ბალღი“).

763. აცნობებს, რომ ერთი კვირაა მუშაობა დაიწყო რადიო „ამერიკის ხმაში“ და 27 მაისიდან მოამზადებენ ახალი ამბების გადაცემას. ატყობინებს, რომ „ბალღის“ (თეიმურაზ ბაგრატიონი) მოქმედებებით გამგეობის წევრები შეშფოთებული არიან. სწერს, რომ ლიგის წევრობა მას ლიგაზე დამოკიდებულს გახდის, რაც მისთვის ხელის შემშლელი ფაქტორი იქნება მომავალში.

1951 წ. მაისი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, გახაზულია წითელი მელნით, 2 ფ.

პირი: ირაკლი ორბელიანი, ექ. ჩხატარაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი („ბალღი“)

764. აცნობებს, რომ [რადიო „ამერიკის ხმაში“] კვირაში 7 დღე მუშაობს. სწერს, რომ, სანამ „ფ.ბ.ა“ (FBI-გამოძიების ფედერალური ბიურო) სხვა კანდიდატების საბუთებს დაამტკიცებს, რადიოში მხოლოდ სამი თანამშრომელი და ორი დამხმარე მუშაობს. დანვრილებით უხსნის, როგორ უნდა დაუკავშირდეს აშშ-ში ჩასვლის შემდეგ. სწერს, რომ პირველ ეტაპზე მასთან იცხოვრებს.

1951 წ. 7 მაისი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: ექ. ჩხატარაშვილი, ვახტანგი, საშა [სულხანიშვილი].

765. სწერს რადიო „ამერიკის ხმის“ პირველი ქართული გადაცემის გაშვების, ქართული რედაქციის თანამშრომლებისა და იქ მუშაობის სირთულეების შესახებ. დეტალურად უხსნის, როგორ უნდა მოიქცეს აშშ-ში ჩამოსვლის დროს და როგორ დაუკავშირდეს.

[1951 წ.] 27 მაისი, [აშშ].

ავტოგრაფი, რამდენიმე ადგილას გახაზულია წითელი ფანქრით, 1 ფ.

პირი: აჩისონი, ირ. ორბელიანი, ზურაბ აბდუშელი, ექ. ჩხატარაშვილი, სიკო კობიაშვილი, საშა [სულხანიშვილი].

766. სწერს [რადიო „ამერიკის ხმაში“] ახალი თანამშრომლების მიღების წესებისა და მისი იქ მუშაობის შესახებ. აცნობებს, რომ FBI-მ სერიოზულად არ ჩათვალა მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები. ატყობინებს, რომ უარს ამბობს ვანო ნანუაშვილის შეთავაზებაზე, აღადგინონ თანამშრომლობა „ქართული საქმის“ საკეთილდღეოდ, რადგან იგი აშშ-ის მოქალაქეა და ამ ქვეყნის წინაშე აღებული აქვს ვალდებულებები. მიაჩნია, რომ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს. აღნიშნავს, რომ მისი მიზანია, შვილები ამერიკის კეთილსინდისიერ მოქალაქეებად აღზარდოს და შთააგონოს მათ, რომ არ ჰქონდეთ ურთიერთობა ქართველ ემიგრანტებთან.

1959 წ. 7 ნოემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, კალკაზე, 7 ფ.

პირი: გ. ნაკაშიძე, ალ. მანველიშვილი, კვიატკოვსკი, კეკელიძე, სინჯიკაშვილი, ანდრონიკაშვილი, [ირ.] ორბელიანი, ცომაია, ჩხატარაშვილი], ივ. გომართელი, ვახტანგი.

767. ეხება ვანო ნანუაშვილის [რადიო „ამერიკის ხმაში“] მუშაობის დაწყების საკითხს.

1960 წ. 30 დეკემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, კალკაზე, 2 ფ.

პირი: კვიატკოვი, მერაბი.

768. ეხება ვანო ნანუაშვილის რადიო „ამერიკის ხმაში“ მუშაობის დაწყების საკითხს. სწერს, რომ საქართველოდან მიიღო ისტორიული რომანი კახეთის შესახებ, რომელსაც წაკითხვის შემდეგ გაუგზავნის.

1961 წ. 5 სექტემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, კალკაზე, 2 ფ.

პირი: კვიატკოვსკი, კობახიძე, საშა [სულხანიშვილი].

769. ეხება ვანო ნანუაშვილის [რადიო „ამერიკის ხმაში“] მუშაობის დაწყების საკითხს. აცნობებს, რომ გადანაცველია რადიოგადაცემებისთვის ქრონომეტრაჟის გახანგრძლივება, რაც მისი რადიოში დასაქმების შანსებს ზრდის. სწერს, რომ თუ მისი შვილი გვარს შეიცვლის და დაივინყებს, რომ ქართველია, ამის საწინააღმდეგო არაფერი ექნება.

1961 წ. 13 ოქტომბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, კალკაზე, რამდენიმე ადგილას გახაზულია და აქვს მიწანერი წითელი მელნით, 4 ფ.

პირი: კვიატკოვი, [ირ.] ორბელიანი, ცომაია, ჩხატარაშვილი, სინდიკელი, საშა [სულხანიშვილი].

770. პატივისცემას გამოხატავს საშა [სულხანიშვილის] მიმართ, მათ შორის მომხდარ გაუგებრობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

1961 წ. 15 ნოემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, კალკაზე, გახაზულია და აქვს მინაწერი წითელი მე-
ლით, 2 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი].

771. სწერს, რომ სამეული (კვიატკოვსკი, მელა და ოსი) იბრძვის
მის წინააღმდეგ და უნდა მისი გაძევება რადიოდან („ამერიკის
ხმა“), თუმცა ვერ ახერხებს. თუ იძულებული გახდა, ოფიციალ-
ურად ადვოკატის საშუალებით დაუპირისპირდება მათ. ურჩევს,
როგორ და რის საფუძველზე იმოქმედოს იმის გასარკვევად, თუ
რატომ არ იღებენ „ამერიკის ხმაში“ სამუშაოდ მაშინ, როცა ყვე-
ლა პირობას აკმაყოფილებს.

1962 წ. 4 იანვარი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, კალკაზე, 3 ფ.

პირი: კვიატკოვსკი, საშა [სულხანიშვილი].

772. აცნობებს, რომ მის წინააღმდეგ ძლიერი კოალიცია შეიკრა,
რომელიც ყველაფერს კადრულობს მიზნის მისაღწევად.

1962 წ. 25 აპრილი, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, კალკაზე, 1 ფ.

პირი: კვიატკოვსკი.

773. წუხს ვანო ნანუაშვილსა და [საშა სულხანიშვილს] შორის არ-
სებული უთანხმოების, ასევე – ქართული ემიგრაციის დაპირისპ-
ირებისა და გაუტანლობის გამო.

1962 წ. 10 ივლისი, [აშშ].

ავტოგრაფი, კალკაზე, 3 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი], კობიაშვილი.

774. აცნობებს, რომ მიაწვდის მის (ვანო ნანუაშვილი) მიერ გაგ-
ზავნილ განცხადებასა და წერილს სიკო [კობიაშვილისადმი].
სწერს, რომ მისი საკითხი სამსახურში ორ კვირაში გადაწყდება.
ატყობინებს, რომ, სავარაუდოდ, [რადიო „ამერიკის ხმის“] გან-
ყოფილებების ბიუჯეტი გაიზრდება და ურჩევს მისი საკითხის
დროულად მოგვარებას.

1962 წ. 29 აგვისტო, [აშშ].

ავტოგრაფი, კალკაზე, 1 ფ.

პირი: სიკო [კობიაშვილი].

775. ეხება მის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობასა და ამის საფუძველზე მიმდინარე გამოძიებას. სთხოვს, გაუგზავნოს სინდიკელის წერილის ფოტოასლი.

1962 წ. 7 სექტემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, კალკაზე, 2 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი], სინჯიკელი.

776. სწერს მისი და კვიატკოვსკი დაპირისპირების შესახებ, იმედი აქვს, რომ დავა მის სასარგებლოდ გადაწყდება.

1962 წ. 18 ოქტომბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, კალკაზე, 4 ფ.

პირი: კვიატკოვსკი.

777. ეხება მის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას და ვანო ნანუაშვილთან ერთობლივ მოქმედებაზე უარის თქმის საკითხს.

1963 წ. 25 თებერვალი, [აშშ].

ავტოგრაფი, კალკაზე, 4 ფ.

პირი: კვიატკოვსკი.

778. სწერს ზოგიერთ ქართველ ემიგრანტს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ.

1963 წ. 27 სექტემბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, კალკაზე, 2 ფ.

პირი: შოთა ნიკოლაძე, გამყრელიძე, კობახიძე, კობიაშვილი, სინდიკელი.

779. ჰპირდება, რომ ვაშინგტონში მუშაობას დააწყებინებს.

1963 წ. 14 ოქტომბერი, [აშშ].

ავტოგრაფი, კალკაზე, 2 ფ.

პირი: მანველიშვილი, კალე სალია, კობახიძე, სინდიკელი.

ტოპონიმი: ვაშინგტონი.

780. სწერს, რომ „ამერიკის ხმის“ რუსული განყოფილება ძველი სახით აღარ არსებობს, არის საბჭოთა კავშირის განყოფილება (USSR BRANCH), რომლის შემადგენლობაშიც რუსები, უკრაინელები, სომხები და ქართველები შედიან. აცყობინებს, რომ რადიოში ქართული არაფერი არ კეთდება, სიტყვა „საქართველოსაც“ იშვიათად ახსენებენ. აცყობინებს აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს (USIA - United States Information Agency) უფროსის მისამართს.

1968 წ. 28 თებერვალი, აშშ.

ავტოგრაფი, კალკაზე, აქვს მინანერი და გახაზულია წითელი მელნით, 2 ფ.

პირი: კვიატკოვსკი, კობიაშვილი, კობახიძე.

781. სწერს, რომ დაპირისპირება კვიატკოვსკისა და მის მოკავშირეებთან, დიდი ალბათობით, მისი გამარჯვებით დასრულდება.

უთარილო, ატლანტიკ-სიტი.

ავტოგრაფი, კალკაზე, 2 ფ.

პირი: კვიატკოვსკი, სინდიკელი, კობიაშვილი.

782. სწერს, რომ პარიზში შეხვდა წლობით უნახავ დას და მისგან საქართველოს შესახებ ბევრი უსიამოვნო ამბავი შეიტყო.

უთარილო.

ავტოგრაფი, კალკაზე, 1 ფ.

პირი: ვ. ბაქრაძე, შ. ნიკოლაძე, კ. თოხაძე.

ტოპონიმი: პარიზი, სტამბოლი.

783. კერძო ხასიათის.

უთარილო, [აშშ].

ავტოგრაფი, შავი მელნით, კალკაზე, 1 ფ.

784. ეხება ემიგრაციაში არსებულ უთანხმოებას. აცყობინებს, რომ რამდენიმე თვეში მუშაობას იწყებს რადიო „ამერიკის ხმაში“.

უთარილო.

ავტოგრაფი, შავი მელნით, თავნაკლული, 2 ფ.

პირი: დ. ჩხატარაშვილი, საშა [სულხანიშვილი], თეიმურაზ ბაგრატიონი (ბაღლი).

785. სთხოვს, დროულად გაუგზავნოს ნაშრომი. ურჩევს, თუ რაზე გაამახვილოს ყურადღება თავის სტატიაში. უხსნის მიზეზებს, რატომ ჰყავდათ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებს ასიათასობით ტყვე.

უთარილო.

ავტოგრაფი, შავი მელნით, თავნაკლული, გახაზულია წითელი ფანქრით, 1 ფ.

786. ურჩევს, რას მიაქციოს ყურადღება ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების დროს.

უთარილო.

ავტოგრაფი, კალკაზე, თავნაკლული, 1 ფ.

პირი: გ. გამყრელიძე.

787. მიხეილ დადიანისა და ივანე ნანუაშვილის წერილებში გამოყენებული პირობითი (დაშიფრული) სახელების შესატყვისობები და მინიშნებების გაშიფვრის ფურცლები.

უთარილო.

ავტოგრაფი, შავი მელნით, მე-5 ფურცელი მცირე ზომის, 5 ფ.

788. ივანე ნანუაშვილის მიერ შედგენილი მიხეილ დადიანისგან მიღებული წერილების ქრონოლოგიური ნუსხა და მისამართი.

უთარილო.

ავტოგრაფი, შავი მელნით, "The Georgian Society"-ს ბლანკიან ფურცელზე, 3 ფ.

დერვინსკი ედვარდ (Edward J. Derwinski) – აშშ-ის წარმომადგენლობათა პალატის წევრი.

789. მადლობას უხდის ჟურნალის – „ქართული კერა სან ფრანცისკოში“ – მიწოდებისთვის. გამოთქვამს სურვილს, მომავალშიც გაუგზავნოს მასალები საბჭოთა კავშირის შესახებ.

1970 წ. 29 ივნისი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

დობრიანსკი ლევ (Lev E. Dobriansky) – „ამერიკის უკრაინული კონგრესის კომიტეტის“ ("Ukrainian Congress Committee of America") და „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ თავმჯდომარე, ეთნიკური კვლევების ინსტიტუტის თანამშრომელი, ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის პროფესორი.

790. აცნობებს, რომ წაიკითხა მისი ნაშრომი „სსრკ-ის სიძლიერე და სისუსტე“. სთხოვს გაუგზავნოს სტატია ჟურნალ "Ukrainian Quarterly"-ს მომდევნო ნომრისთვის.

1958 წ. 27 მარტი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

791. აცნობებს, რომ ჯეიმს ბურნჰემმა (James Burnham) "The National Review"-ში მისი სტატიის შესახებ დადებითი გამოხმაურება გამოაქვეყნა. ურჩევს, წიგნი გამოაქვეყნოს გამომცემლობა "Henry Regnery Co"-ში, ასევე "The Congressional Record"-ში დაბეჭდვის მიზნით თავისი სტატია გააცნოს სენატორ კენედის.

1958 წ. 21 აგვისტო, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორგანიზაციის ბლანკზე, ხელმოწერით, ახლავს კონვერტი. 1 ფ.

792. აცნობებს, რომ მისი სტატია „დასავლეთი ცივ ომში“ საინტერესოდაა დაწერილი, თუმცა სჭირდება დახვეწა.

1958 წ. [28 ნოემბერი].

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

793. აცნობებს, რომ რადიო „ამერიკის ხმა“ ყოველთვის ითვალისწინებს კვალიფიკაციას და ვერცერთი საკანონმდებლო ორგანო მასზე გავლენას ვერ იქონიებს.

1963 წ. 2 თებერვალი

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

794. წუხს მისი მდგომარეობის გამო. ურჩევს, დაუკავშირდეს სტენფორდის უნივერსიტეტის ჰუვერის ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების თანამშრომელ სტეფან პოსონს (Stefan Possony), რომელიც შეიძლება დაეხმაროს სამსახურის შოვნაში.

1965 წ. 29 მაისი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორგანიზაცია „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee")
ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: სტეფან პოსონი (Stefan Possony).

795. ურჩევს, დაუკავშირდეს „ამერიკის უკრაინელთა კონგრესის კომიტეტის“ აღმასრულებელ დირექტორ ი. ბაზარკოს (I. Bazarko), რომელიც შეიძლება, დაეხმაროს ქართული ჟურნალის გავრცელებაში.

1968 წ. 15 მარტი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორგანიზაცია „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee")
ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

796. აცნობებს, რომ ელოდება მის სტატიას ჟურნალ "The Ukrainian Quarterly"-სთვის. სწერს, რომ უგზავნის "NCNC"-ს ("National Captive Nations Committee") ბროშურას.

1970 წ. 19 თებერვალი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორგანიზაცია „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee")
ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

797. სწერს, რომ მათი ბრძოლა გრძელდება და აუცილებლად მი-
აღწევნ სასურველ შედეგს.

1970 წ. 27 აგვისტო, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორგანიზაცია „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee")
ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

798. აცნობებს, რომ მიმდინარეობს „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee") რეორგანიზაცია. სთავაზობს, გახდეს აღნიშნული ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს წევრი.

1972 წ. 29 იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ასლი, 1 ფ.

799. სთხოვს, გახდეს ორგანიზაცია „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee") დირექტორთა საბჭოს წევრი.

1972 წ. 29 იანვარი, აშშ.

მანქანაზე ნაბეჭდი, ორგანიზაცია „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee") ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

800. უგზავნის „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee") 1972 წლის ანგარიშს.

1972 წ. 20 დეკემბერი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორგანიზაცია „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee") ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

801. აცნობებს, რომ მალე მიიღებს [„დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee")] 1973 წლის ანგარიშს.

1973 წ. 23 ოქტომბერი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორგანიზაცია „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee") ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: ჯორჯ მარდიკიანი (Georg Mardikian).

802. აცნობებს, რომ მისი წიგნის ასლებს გაუგზავნის ნიქსონს, ფორდს, კისინჯერს, ჰიგს და სხვა სენატორებსა და კონგრესმენებს. ატყობინებს, რომ მისი წიგნის შესახებ დაწერენ დაპყრობილ ერთა კვირეულისთვის მომზადებულ კრებულში.

1974 წ. 18 მარტი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორგანიზაცია „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee") ბლანკზე, 1 ფ.

803. აცნობებს, რომ მისი წიგნით ბევრი დაინტერესდა. ატყობინებს, რომ ემზადებიან დაპყრობილ ერთა კვირეულის 15 წლისთავისთვის.

1974 წ. 10 ივნისი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორგანიზაცია „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee") ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.
პირი: ჯორჯ მარდიკიანი.

804. ლევ დობრიანსკის (Lev E. Dobriansky) (?) მიძღვნილი ხასიათის წარწერა ივანე ნანუაშვილს.

უთარილო.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

დრეიფუსი ფრენსის (Francine L. Dreyfus) – გამომცემლობა "Vantage Press"-ის თანამშრომელი.

805. აცნობებს, რომ მისი წიგნი მზადდება დასაბეჭდად და მალე გამოიცემა.

1973 წ. 23 აგვისტო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.
პირი: ჯ[ენეტ] ჰოლდენი (J[enet] Holden).

806. აცნობებს, რომ მისი წიგნი ბოლო კორექტურას გადის და ოქტომბერში ან ნოემბერში დაიბეჭდება.

1973 წ. 29 აგვისტო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

807. აცნობებს, რომ მისი წიგნი იბეჭდება.

1973 წ. 12 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, ბლანკზე, 1 ფ.

დუბე ვიოლა (Viola E. Dube)¹

808. კერძო ხასიათის.

1957 წ. 2 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

პირი: ფიშერი (Dr. Fisher).

809. მადლობას უხდის წიგნის გაგზავნისთვის. სთხოვს, განუმარტოს წინა წერილში ნახსენები ზოგიერთი საკითხი, კერძოდ, რას გულისხმობს „მსოფლიოს ფედერაციაში“ და რას მოიცავს მისი პოლიტიკური საქმიანობა.

1957 წ. 14 დეკემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, აქვს მინაწერი შავი მელნით, 1 ფ.

810. თანაუგრძნობს რუსეთის მიერ დამორჩილებულ ერებს. უზიარებს თავის მოსაზრებას, რა უნდა გაკეთდეს ომის საფრთხის თავიდან ასარიდებლად.

1958 წ. 15 იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, ფანქრით ჩასწორებული, 3 ფ.

811. აცნობებს, რომ აწვდის მის მიერ გამოგზავნილი წერილის გასწორებულ ტექსტს. სწერს, რომ ის შეცდომები, რომლებსაც უშვებს ინგლისურად წერის დროს, უმნიშვნელოა და, ძირითადად, მისი ნაწერი გასაგებია და გრამატიკულადაც გამართულია. ახლავს ვანო ნანუაშვილის 1958 წლის 6 თებერვლის წერილის შესწორებული ტექსტი.

1958 წ. 8 თებერვალი, ამჰერსტი (მასაჩუსეტსი).

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ახლავს კონვერტი, 3 ფ.

812. სწერს, რა ორთოგრაფიულ შეცდომებს უშვებს ინგლისურად წერის დროს.

1958 წ. 21 თებერვალი.

¹ვანო ნანუაშვილის მოსწავლე და მეგობარი, ასწავლიდა რუსულ ენას.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

813. კერძო ხასიათის.

1958 წ. 14 მარტი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ნასწორები, აქვს მინაწერი ფანქრით, 1 ფ.

814. კერძო ხასიათის.

1958 წ. 17 აპრილი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, ნასწორები ფანქრით, აქვს მინაწერი, 2 ფ.

815. კერძო ხასიათის.

1957 წ. 6 მაისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

816. კერძო ხასიათის.

1957 წ. 12 სექტემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, აქვს მინაწერი მელნით, 1 ფ.

დუგლასი პოლ (Paul H. Douglas) – აშშ-ის სენატორი.

817. მადლობას უხდის ბროშურის „საბჭოთა კავშირის სიძლიერე და სისუსტე“ გაგზავნისთვის.

1957 წ. 24 ივნისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

დუშნიკი ვალტერ (Walter Dushnyck) – ჟურნალ "The Ukrainian Quarterly"-ს რედაქტორი.

818. აცნობებს, რომ უგზავნის ჟურნალში დაბეჭდილი სტატიის ჰონორარს. სწერს, რომ მიაწოდებს ჟურნალის საავტორო ეგზემპლარებს.

1958 წ. 1 ივლისი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერილი, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

819. მადლობას უხდის სტატიის – „მსოფლიოს პოლიტიკური მდგომარეობა“ – გაგზავნისთვის. სთხოვს, მიაწოდოს სტატიის ინგლისურად თარგმნის საფასური.

1963 წ. 28 მარტი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერილი, 1 ფ. პირი: ვიტვიტსკი (Wytwysky).

820. სწერს, რომ უგზავნის პოლონურ ენაზე დაწერილი მისი სტატიის ინგლისურ თარგმანს. სთხოვს, წაიკითხოს და მიაწოდოს.

1963 წ. 15 მაისი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

821. აცნობებს, რომ მისი სტატია „ჩვენი მსოფლიო გზაჯვარედინზე“ დაიბეჭდა ჟურნალის 1963 წლის გაზაფხულის ნომერში. სწერს, რომ უგზავნის ჟურნალის 10 ეგზემპლარს.

1963 წ. 12 ივლისი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

დუშნიკი მერი (Mary Dushnyck) – ვალტერ დუშნიკის მეუღლე.

822. ატყობინებს, რომ თავისი მეუღლე ევროპაშია და სტატიის შესახებ მისწერს, როცა დაბრუნდება.

1965 წ. 13 დეკემბერი

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, საფოსტო ბარათზე, ხელმოწერით, 1 ც.

ვატცკე რალფ (Ralph F. Watzke) – „ანტი-ბოლშევიკური ახალგაზრდული ლიგის“ წევრი.

823. აცნობებს, რომ წერილს სწერს, როგორც ანტიბოლშევიკური ახალგაზრდული ლიგის წარმომადგენელი, ედმონტონში და ითხოვს გაუგზავნოს ინფორმაცია საქართველოსა და ქართული საკითხის შესახებ. ატყობინებს, რომ სურთ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების დროშების დაბეჭდვა და სთხოვს დახმარებას ამ საკითხში.

1970 წ. 19 დეკემბერი, ედმონტონი.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

824. აცნობებს [„ანტი-ბოლშევიკური ახალგაზრდული ლიგის“] მიერ უახლოეს მომავალში დაგეგმილი ანტიკომუნისტური ღონისძიებების შესახებ. სთხოვს შეატყობინოს, არის თუ არა „ერთა ანტი-ბოლშევიკური ბლოკის“ ("Anti-Bolshevik Bloc of Nations") წევრი.

[1971 წ.] 30 იანვარი, ედმონტონი.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, 1 ფ.

825. აცნობებს, რომ უგზავნის თავის სტატიას, რომელიც დაწერა დელბერტ იუნგის (Delbert A. Young) საპასუხოდ. ატყობინებს, რომ დელბერტ იუნგმა დაიცვა კანადის პრემიერ-მინისტრი პიერი ტრიუდო (Pierre Trudeau), როცა ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ არანაირ სიმპათიას არ გრძნობს უკრაინელი ერის მიმართ. სწერს, რომ გაუგზავნის თავის ნაშრომებს.

ახლავს რალფ ვატცკეს (Ralph F. Watzke) სტამბურად ნაბეჭდი სტატია „უკრაინელები“.

[1971 წ.] ედმონტონი.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, 3 ფ.

პირი: ტიერი ტრიუდო (Pierre Trudeau), ვალენტინ მოროგი (Valentyn Morog), დელბერტ იუნგი (Delbert A. Young).

ვესტბრუკი პარკერ (Parker Westbrook) – აშშ-ის სენატორ ჯეიმს ფულბრაიტის თანამემკნე.

826. აცნობებს, რომ მიიღეს მისი წიგნი „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“, რომელსაც სენატორი გაეცნობა არკანზასიდან დაბრუნების შემდეგ.

1974 წ. 14 მარტი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

ვიატრი იუზეფ (Jozef Wiatr) – „რედუტას“ აღმოსავლეთის ინსტიტუტის საბჭოს პრეზიდენტი და **სტანისლავ პაპროცკი** (Stanislaw J. Paprocki) – კურსის მენეჯერი.

827. მადლობას უხდის ლექციის წაკითხვისა და ბიბლიოთეკისთვის თანხის შეწირულობის გამო.

1949 წ. 9 ნოემბერი, ლონდონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, 1 ფ.

ვიტვიცკი სტეფან (Степан Витвицкий / Stefan Witwicki) – დევნილობაში მყოფი უკრაინის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი.

828. აცნობებს, რომ დაუკავშირდეს ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მთავრობას, რათა დროულად წარადგინონ ის საკუთარ წარმომადგენლად „პარიზის ბლოკის“ ამერიკულ სექციაში. სწერს შეფასებას და აძლევს რჩევებს მისი ნაშრომის შესახებ.

1955 წ. 23 ოქტომბერი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, უკრაინულ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

829. ატყობინებს, რომ წერილი მისწერა [კონსტანტინე] კანდელაკს მისი (ვანო ნანუაშვილი) „პარიზის ბლოკის“ ამერიკულ სექციაში წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ, თუმცა პასუხი არ მიუღია. სთხოვს ამ საკითხში დახმარებას.

1955 წ. 19 დეკემბერი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, უკრაინულ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

830. აცნობებს, რომ მიიღო წერილი [აკაკი] ჩხენკელისგან, რომელიც მიესალმება ვანო ნანუაშვილის „პარიზის ბლოკის“ ამერიკულ სექციაში წარმომადგენლად დანიშვნას.

1955 წ. 28 დეკემბერი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, უკრაინულ ენაზე, ხელმოწერით, ბლანკზე, 1 ფ.

831. აწვდის ინფორმაციას სტატიის დაბეჭდვისთვის საჭირო მოთხოვნების შესახებ.

1963 წ. 19 მარტი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

832. აცნობებს თავისი ბინისა და ოფისის მისამართს. წუხს, რომ ვერ შეძლო საუბარი ამერიკაში პარიზის ბლოკის სექციის

დაარსების შესახებ. სწერს, რომ მის ნაშრომს პოლიტიკურ საქმიანობაში გამოიყენებს.

1965 წ. 18 თებერვალი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, ბლანკზე, 1 ფ.

ზიმერმანი ლეონარდ (Leonard Zimmerman) – გამომცემლობა "Vantage Press"-ის გამომცემათა დირექტორი.

833. აცნობებს, რომ გაუგზავნის მისი წიგნის „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ საავტორო ცალებს. სწერს, რომ გამომცემლობა უზრუნველყოფს წიგნის გავრცელებასა და რეკლამირებას.

1974 წ. 21 იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

834. აცნობებს, რომ მალე გაუგზავნის მისი წიგნის საავტორო ცალებს. სწერს, რომ საგამომცემლო დეპარტამენტი დაიწყებს წიგნის სარეკლამო კამპანიას.

1974 წ. 29 იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

835. ბოდიშს უხდის, რომ გამომცემლობისგან მიიღო წერილები, რომლებშიც მას არასწორად მიმართავენ. სწერს, რომ წიგნში დაბეჭდილ მის ბიოგრაფიაში შეცდომა არ არის დაშვებული.

1974 წ. 1 თებერვალი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

836. აცნობებს, რომ მისი [1974 წლის] 5 თებერვლის წერილი გაუგზავნა საგამომცემლო დეპარტამენტს. სწერს, რომ მისი თხოვნა დააკმაყოფილონ.

1974 წ. 13 თებერვალი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

ზურაბიშვილი ლევან

837. ულოცავს აღდგომის დღესასწაულს.

1966 წ. 9 აპრილი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, ღია ბარათზე, 1 ც.

838. აცნობებს, რომ გაზეთის მეორე ნომერში ბევრი შეცდომაა დაშვებული. სწერს, რომ [საფრანგეთის პრეზიდენტი] პომპიდუს გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს.

1974 წ. 4 აპრილი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, კალკაზე, 1 ფ.

პირი: ალ. მანველიშვილი.

ტოპონიმი: ვაშინგტონი.

839. აცნობებს, რომ ვაშინგტონში გამართულ კონგრესზე მისი (ნანუაშვილი) წიგნი გააცნო დამსწრე საზოგადოებას. აცნობებს, რომ ჩატარდა ქართული კოლონიის კრება. სწერს, რომ მისმა ქალიშვილმა სალომემ გაიმარჯვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონკურსში და მალე რომელიმე საელჩოში დანიშნავენ.

1974 წ. 8 მაისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, აქვს ჩანართები ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: სტეცკო, ფრედ შლეფლი (Fred Schlafly), დრ. ვალეტერ ჯადი (Walter Judd), ანტონი კუბეკი, ლედელ ჟაგერი, ირა ლატიმერი (Ira H. Latimer), ლევ დობრიანსკი, ალექსანდრე მანველიშვილი.

ტოპონიმი: ვაშინგტონი.

ზურაბიშვილები ლევან და ზეინაზ

840. კერძო ხასიათის.

1969 წ. 13 დეკემბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, ღვთისმშობლის გამოსახულებიან ბარათზე, 1 ც.

პირი: რადამი.

841. კერძო ხასიათის.

1972 წ. 18 დეკემბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, ღია ბარათზე, ბარათის მეორე მხარეს გამოსახულია XIII საუკუნის ქართული ფსალმუნის მინიატურა – „სამხედრო მესაკრავეთა მწყობრი“, 1 ც.

ზურაბიშვილები ლევან, ზეინაზ, ოთარ და სალომე

842. ულოცავენ შობას.

1970 წ. 23 დეკემბერი

ავტოგრაფი, შავი მელნით, ღია ბარათზე, მეორე მხარეს გამოსახულია ქეთევან წამებულის ილუსტრაცია, 1 ფ.

თოხარაძე კუკური

843. ატყობინებს, რომ ყოფილი მხედრები ცდილობენ ერთიანი ფრონტის შექმნას.

[1959 წ.] 26 აგვისტო.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: დათა ლალიძე, მანანა (დათა ლალიძის შვილი), გოგი ჯავახიშვილი, ქრისტინე (გოგი ჯავახიშვილის შვილი).

იედრჟეიევიჩი ვაცლავ (Waclaw Jedrzejewicz) – პოლონელი სამხედრო, დიპლომატი და ისტორიკოსი. აშშ-ში პილსუდსკის ინსტიტუტის დირექტორი.

844. მადლობას უხდის წიგნის გაგზავნისთვის.

1956 წ. 25 ნოემბერი, მასაჩუსეტსი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, აქვს მინაწერი ლურჯი მელნით, ბლანკზე, 1 ფ.

ინასარიძე კარლო

845. აცნობებს, რომ დანერა რეცენზია მის წიგნზე რუსეთის შესახებ. სთხოვს გაუგზავნოს ამ ნაშრომის შესახებ ქართულ პრესაში დაბეჭდილი გამოხმაურებები.

1974 წ. 14 ნოემბერი, მიუნხენი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერით, 1 ფ.

კეისი ეილინ (Eilleen S. Case) – აშშ-ის წარმომადგენლობათა პალატის წევრ კრეიგ ჰოსმერის (Craig Hosmer) ასისტენტი.

846. აცნობებს, რომ კონგრესმენი არ იმყოფება ვაშინგტონში, მისი სახელით უდასტურებს წერილისა და ხელნაწერის მიღებას.

1965 წ. 19 იანვარი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

კენედი ჯონ (John F. Kennedy) – აშშ-ის სენატორი.

847. მადლობას უხდის სტატიის „შუა აღმოსავლეთი და ცივი ომი“ გაგზავნისთვის. სწერს, რომ მისი, როგორც საკითხის სპეციალისტის, შეხედულება მათთვის ფასეულია.

1958 წ. 20 სექტემბერი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

კვალაშვილი მიხეილ

848. კერძო ხასიათის.

1967 წ. 15 ივნისი.

ავტოგრაფი, ღია ბარათზე, 1 ც.

849. კერძო ხასიათის.

1972 წ. 10 დეკემბერი.

ავტოგრაფი, ღია ბარათზე, 1 ც.

პირი: სტასია.

850. ულოცავს მისი სახელობის წმინდანის – იოანე ნათლისმცემლის – ხსენების დღეს.

1970 წ. 24 ივნისი, პოზნანი.

ავტოგრაფი, პოლონურ და ქართულ ენებზე, ღია ბარათზე, 1 ც.

კვალაშვილი-ზალდასტანიშვილისა ეკატერინე

851. კერძო ხასიათის.

1971 წ. 24 ივნისი.

ავტოგრაფი, ღია ბარათზე, 1 ც.

პირი: მიხეილ [კვალიაშვილი], ნინო კვალიაშვილი-მდივნისა.

კინწურაშვილი ალექსანდრე

852. სწერს, რომ საფრანგეთში 10 ყოფილი იუნკერია, ისინი შორს დგანან პოლიტიკური პარტიებისგან და არ არიან ჩართული ინტრიგებში.

1959 წ. 15 ნოემბერი, პარიზი.

ავტოგრაფი, კალკაზე, 1 ფ.

853. სწერს, რომ [„საფრანგეთში მყოფი ქართველ ყოფილ მხედართა კავშირი“] არცერთ პარტიასა და არცერთ პოლიტიკურ ჯგუფს არ ემხრობა და ნეიტალურია. აცნობებს, რომ მჭიდრო კავშირი ექნებოდათ მასთან, თუ იგი აღარ შეურაცხყოფს მათ ორგანიზაციას.

1959 წ. 15 ნოემბერი, პარიზი.

ავტოგრაფი, „საფრანგეთში მყოფ ქართველ ყოფილ მხედართა კავშირი“-ს ბლანკზე, ახლავს კავშირის ბეჭედი, 2 ფ.

854. სწერს, რომ უგზავნის ჟურნალ „მხედრის“ რამდენიმე ნომერს.

1968 წ. 15 მარტი, პარიზი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: სიმონ აბაშიძე, მერაბიშვილი.

კენდალი უოლტერ (Walter Kendall) – გამომცემლობა "Vantage Press"-ის რედაქტორი.

855. მადლობას უხდის გამოხმაურებისთვის. აცნობებს, რომ უგზავნის ბროშურას გამომცემლობის საქმიანობის შესახებ. სწერს, რომ მათი გამომცემლობის ავტორებს შორის არიან პულიცერისა და ნობელის პრემიის მფლობელები.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, 2 ეგზემპლარად, 1 ფ.

კოსტელო ბ. (B. A. Costello) – კაპიტოლიუმის რადიოინჟინერიის ინსტიტუტის (The Capitol Radio Engineering Institute) პროექტების დირექტორი.

856. სწერს მათ კომპანიაში არსებული ვაკანსიისთვის საჭირო მოთხოვნებისა და კანდიდატის შერჩევის ნების შესახებ.

1962 წ. 23 თებერვალი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

857. აცნობებს, რომ მისი სააპლიკაციო ფორმა მიიღეს. ატყობინებს, რომ შემდეგი ეტაპი არის გასაუბრება, რომლის შესახებაც დამატებით აცნობებენ.

1962 წ. 15 მარტი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

858. აცნობებს ფირმაში ვაკანტური თანამდებობის დაკავების მსურველთა რუსულ ენაში ტესტირების, ასევე – გასაუბრების ჩატარების ადგილსა და თარიღს.

1962 წ. 3 მაისი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

859. აცნობებს ფირმაში ვაკანტური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბოლოო გასაუბრების ჩატარების დროს. სწერს, რომ, შესაძლოა, დაუკავშირდნენ აშშ-ის სამთავრობო გამომძიებლები, ამიტომ სთხოვს გაუგზავნოს სახლისა და სამსახურის ტელეფონის ნომერი და მისამართი.

1962 წ. 20 სექტემბერი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

860. აცნობებს, რომ ფირმაში არსებული ვაკანტური თანამდებობა, რომლის დაკავებასაც იგი ცდილობდა, განხორციელებული ცვლილებების გამო გაუქმდა.

1962 წ. 13 ნოემბერი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

კუნიჰოლმი ბ. ე. (Eric Kuniholm) – „სსრკ-ის ხალხთა განთავისუფლების ამერიკული კომიტეტის“ პოლიტიკურ საქმეთა განყოფილების დირექტორი.

861. მადლობას უხდის ნაშრომის „საბჭოთა კავშირის სიძლიერე და სისუსტე“ გაგზავნისთვის.

1957 წ. 29 იანვარი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

ლეიზი ქეროლ (Carol C. Laise) – საზოგადოებრივ საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივან-ასისტენტი.

862. ბოდიშს უხდის პასუხის დაგვიანებისთვის. აცნობებს, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა ნიქსონმა მიიღო მისი წერილი და წიგნი „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“.

1974 წ. 20 აგვისტო, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორიგინალი და ასლი, ბლანკზე, ხელმოწერით, 2 ფ.

ლიტლფილდი მარტინ (Martin Littlefield) – გამომცემლობა "Vantage Press"-ის ვიცე-პრეზიდენტი.

863. აცნობებს, რომ გამომცემლობამ გადაწყვიტა მისი წიგნის დაბეჭდვა. უგზავნის ხელშეკრულებას. სწერს წიგნის ბეჭდვასა და მის რეალიზაციასთან დაკავშირებული ფინანსური პირობების შესახებ.

1971 წ. 28 ოქტომბერი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

864. აწვდის ინფორმაციას წიგნის ბეჭდვის ფინანსური პირობების შესახებ. სთავაზობს, რომ მათთან გამოსცეს წიგნი.

1973 წ. 8 იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

865. მადლობას უხდის კონტრაქტზე ხელმოწერისთვის. აცნობებს მისი წიგნის – „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყარო-

ში რუსეთის შესახებ“ – დაბეჭდვასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების თაობაზე.

1973 წ. 18 იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.
პირი: ჯენეტ ჰოლდენი (Janet Holden).

866. ეხება წიგნის ბეჭდვასთან დაკავშირებულ საკითხს. აცნობებს, რომ უგზავნის წიგნის საკორექტურო ვერსიას.

1973 წ. 5 თებერვალი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 2 ფ.

867. მადლობას უხდის წიგნის კორექტურის გაგზავნისთვის.

1973 წ. 28 თებერვალი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

ლუისი მარქს (Marx Lewis) – ორგანიზაციის „საბჭო კომუნისტური აგრესიის წინააღმდეგ“ ("Council Against Communist Aggression") თავმჯდომარე.

868. მადლობას უხდის მათი ორგანიზაციის საქმიანობით დაინტერესებისთვის. აცნობებს, რომ აპირებს სან-ფრანცისკოში ჩასვლას, სთავაზობს შეხვედრას.

1970 წ. 12 ივნისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

869. ეხება მომავალში თანამშრომლობის საკითხს.

1970 წ. 25 ივნისი, კალიფორნია.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

870. აცნობებს, რომ ჯერ არ მიუღია მასალები, ურჩევს დაუკავშირდეს „დაპყრობილ ერთა ასამბლეას“, რადგან მათ შეუძლიათ მისი მასალების დაბეჭდვა.

1971 წ. 1 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

871. აცნობებს, რომ მიიღო მისი გაგზავნილი მასალა. ატყობინებს „დაპყრობილ ერთა ასამბლეის“ მისამართს. იმედს გამოთქვამს, რომ დაპყრობილი ერები მალე განთავისუფლდებიან.

1971 წ. 17 ნოემბერი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

მანველიშვილი ალექსანდრე.

872. მადლობას უხდის გაგზავნილი ფულისთვის. აცნობებს ემიგრაციაში არსებული დაქსაქსულობის მიზეზებს. სწერს თავის აზრს ქართული ემიგრაციის მიზნის შესახებ. სთხოვს თანამშრომლობას ეროვნული თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

1953 წ. 20 ივლისი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

ტოპონიმი: პარიზი.

873. ატყობინებს, რომ უგზავნის ჟურნალებს, სწერს, რომ გარდაიცვალა ალ. ასათიანი. აცნობებს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის მიმდინარე საკითხებს.

1953 წ. 29 დეკემბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ალ. ასათიანი, აკაკი ჩხენკელი.

ტოპონიმი: გერმანია.

874. ეხება ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობას. აცნობებს იმ მიზეზებს, რომელთა გამოც გაერთიანებული ორგანო ვერ შეიქმნა. ატყობინებს თავისი და გარემოცვის საქმიანობასა და მიზნებს. საიდუმლოდ აცნობებს, რომ იციან, რა მოვლენები ვითარდება საქართველოსა და უკრაინაში. სწერს ბერიას ქალიშვილის შესახებ. ატყობინებს საბჭოთა კავშირში არსებული მდგომარეობის თაობაზე. სთხოვს აცნობოს, მზადდება თუ არა ლინოტიპის ქართული მატრიცები. სწერს ნიუ-იორკში ლინოტიპის ქარხნის მისამართს.

1954 წ. 5 მარტი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: აკ. ჩხენკელი, [ლავრენტი] ბერია.

ტოპონიმი: საქართველო, უკრაინა, შვეიცარია.

875. მადლობას უხდის ქართველი ემიგრანტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის. სწერს, რომ ქართული ემიგრაცია ვერ განთავისუფლდა პარტიული კარჩაკეტილობისა და პრინციპებისგან, რაც ვნებს საერთო საქმეს. აცნობებს ზეპარტიული ორგანიზაციის „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ლიგის“ დაარსების შესახებ, რომლის წევრიც თავადაც არის. ატყობინებს, რომ ფრანგულ ენაზე გამოვიდა ამ ორგანიზაციის გაზეთი „ერის დიდება“.

1954 წ. 4 მაისი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: რეზო.

876. ატყობინებს, რომ მიიღო მისი წერილი და სტატია, სწერს II მსოფლიო ომის შემდეგ მის მიერ გამოცემული ნაშრომების ნუსხას და სთხოვს აცნობოს ამ ჩამონათვალიდან, რომელი ნაშრომი არ აქვს, რომ გაუგზავნოს.

1956 წ. 24 დეკემბერი.

ავტოგრაფი, კალკაზე, 1 ფ.

877. ატყობინებს, რომ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი. მიაჩნია, რომ ახალ ქალაქში საერთო საქმის განსახორციელებლად უკეთესი პირობებია. სწერს სინჯიკაშვილთან ურთიერთობის შესახებ. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წერილს დასაბეჭდად.

1958 წ. 14 დეკემბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: დავით კობახიძე, სინჯიკაშვილი.

ტოპონიმი: პარიზი, ნიუ-იორკი.

878. აცნობებს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრისა და მისი შედეგების შესახებ. სწერს თავის ახალ მისამართს.

1960 წ. 22 თებერვალი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ჟონ [ჯონ] სპელერი, ელენე, საშა (ალექსანდრე) სულხანიშვილი.

ტოპონიმი: სან-ფრანცისკო.

879. სწერს „კულტურული ცენტრის“ დაარსების შესახებ. აცნობებს თავის აზრს მერაბიშვილის საერთო საქმიანობაში ჩართვის თაობაზე. ატყობინებს თავის მოსაზრებებს მის მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა საკითხზე.

1960 წ. 17 მარტი

ავტოგრაფი, რამდენიმე ადგილას გახაზულია წითელი მელნით ვანო ნანუაშვილის მიერ, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], მერაბიშვილი.

ტოპონიმი: ამერიკა, პარიზი.

880. სწერს, რომ დაიწყო მუშაობა, რაც საშუალებას აძლევს, გააგრძელოს საქმიანობა. სთავაზობს, იფიქრონ ამერიკაში პერიოდული ორგანოს დაარსებაზე. აცნობებს, რომ აქვს ქართული მატრიცები და შეუძლია ქართული გამოცემის აწყობა და დაბეჭდვა. აღნიშნავს, რომ ამერიკაში გამომავალი ერთ-ერთი ქართული გამოცემა ქართულ პოლიტიკურ საქმიანობას ზიანს აყენებს.

1962 წ. 22 აპრილი.

ავტოგრაფი, ტექსტი გახაზულია წითელი მელნით ვანო ნანუაშვილის მიერ, 1 ფ.

პირი: საშა [სულხანიშვილი ?], სინჯიკაშვილი.

ტოპონიმი: ევროპა, ნიუ-იორკი.

881. სწერს, რომ უარი უთხრეს რადიოში მუშაობაზე. მიიჩნევს, რომ იგი (ვანო ნანუაშვილი) არის ამერიკაში ყველაზე ანგარიშგასაწევი პიროვნება პოლიტიკურ ასპარეზზე.

1962 წ. 8 დეკემბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: მიშა [მიხეილ] დადიანი.

882. აძლევს რჩევებს მათი საერთო საქმიანობის შესახებ. ეხება საცხოვრებელად ამერიკაში გადასვლის საკითხს. სწერს, რომ დაეხმარება ვაშინგტონში დასახლებაში. ადარებს თავის საქმიანობას ევროპასა და აშშ-ში. სთავაზობს პერიოდული გამოცემის

დაარსებას ამერიკაში. აცნობებს, რომ მისი მიზანია საქართველოს შესახებ ნიგნების გამოცემა.

1962 წ. 30 დეკემბერი, ვაშინგტონი.

ავტოგრაფი, 2 ფ.

პირი: დობრიანსკი, მიშა [მიხეილ დადიანი], ილ. ჭავჭავაძე.

ტოპონიმი: პარიზი.

883. ატყობინებს, რომ ავადმყოფობის გამო დაუგვიანდა საპასუხო წერილის გაგზავნა. გამოჯანმრთელების შემდეგ აპირებს მუშაობის დაწყებას, სექტემბრისთვის იმედი აქვს, რომ მიიღებს მოქალაქეობას. სწერს საერთო საქმიანობის, ნიგნის გამოცემის, სამომავლოდ ვაშინგტონში ცხოვრების შესახებ. ჰპირდება დახმარებას მთარგმნელის პოზიციაზე მუშაობის დაწყებაში, თუ კარგად ფლობს ინგლისურ ენას.

1963 წ. 23 მაისი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ვახტანგ ციციშვილი, იუსუფ ყარამანოღლუ.

ტოპონიმი: ევროპა, ბოსტონი, ვაშინგტონი.

884. სწერს, რომ [ვაშინგტონში] დასახლების შემთხვევაში მთარგმნელად დააწყებინებს მუშაობას იმ კომპანიაში, რომელშიც თავად არის დასაქმებული. აცნობებს თავისი რთული ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ატყობინებს, მოქალაქეობის არქონის გამო უარი უთხრეს ბიბლიოთეკაში დასაქმებაზე.

1963 წ. 8 ოქტომბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: მამი (ალ. მანველიშვილის დირექტორი), კობახიძე, საშა [სულხანიშვილი ?], გამყრელიძე.

885. ეხება რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ მასალაზე საპასუხო წერილის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ სირთულეს, ასევე – მისთვის მთარგმნელის სამუშაოს შოვნის საკითხს. სწერს, რომ ურჩევნია [ბოსტონში] გადასვლა საცხოვრებლად. ატყობინებს ვანო მაჩაბლის მისამართს. სწერს, რომ მიიღო [აშშ-ის] „ქვეშევრდომობა“ და ცდილობს სამსახურის შეცვლას.

1964 წ. 22 თებერვალი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: კობიაშვილი, საშა, ვანო მაჩაბელი.

ტოპონიმი: ვაშინგტონი.

886. ატყობინებს თავის ახალ მისამართს. სწერს, რომ ძირითადი თარგმანები კეთდება რუსული წყაროებიდან, რის გამოც მას-ალაში ბევრი შეცდომაა, ამიტომ მიიჩნევს, რომ ქართული წერილებიდან უნდა ითარგმნოს, რასაც თვითონ კარგად შეძლებს.

1964 წ. 11 აპრილი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ვანო მაჩაბელი.

887. ატყობინებს, რომ ესაუბრა თავის დირექტორს მისი (ივანე ნანუაშვილი) მთარგმნელად აყვანის შესახებ. აცნობებს, რომ მალე გამოვა ჟურნალები: „კავკასიონი“ და „ბედი ქართლისა“, რომლებშიც იბეჭდება მისი წერილები. სთავაზობს, დაწეროს სტატიები სამხედრო ისტორიის შესახებ ჟურნალ „კავკასიონში“ გამოსაქვეყნებლად.

1964 წ. 29 აპრილი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: ვიქტორ ნოზაძე, კალე სალია, გ. კობახიძე, გ. გამყრელიძე, საშა [სულხანიშვილი ?].

ტოპონიმი: პარიზი, ფლორიდა.

888. აცნობებს, რომ ქართული პოლიტიკური საკითხისთვის არახელსაყრელი მდგომარეობაა, ამიტომ უშედეგოდ მიიჩნევს ქართულ ენაზე რაიმეს დაბეჭდვას.

1964 წ. 20 ივნისი.

ავტოგრაფი, რამდენიმე ადგილას გახაზულია წითელი მელნით ვანო ნანუაშვილის მიერ, 1 ფ.

პირი: სინჯიკაშვილი, კ. სალია, ნოზაძე, გამყრელიძე, კობახიძე.

ტოპონიმი: პარიზი.

889. სწერს თავისი უიმედობის შესახებ, რაც გამოწვეულია ამერიკაში შექმნილი მდგომარეობით. ატყობინებს, რომ მას მატერიალურად უჭირს, ამიტომ შეუძლია მხოლოდ თანამშრომლობა, ინიციატივის აღებას კი ვერ იკისრებს.

1964 წ. 30 ოქტომბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირი: დობრიანსკი, მიშა [მიხეილ დადიანი], საშა [სულხანიშვილი ?].

ტოპონიმი: ამერიკა, საქართველო, პარიზი.

მიტროფანი არქიმანდრიტი

890. კერძო ხასიათის.

1969 წ. 7(20) ნოემბერი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, ღია ბარათზე, 1 ც.

891. კერძო ხასიათის.

1975 წ. 21 დეკემბერი, 3 იანვარი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, ღია ბარათზე, 1 ც.

მიქაელანცი თ. ი. ტერ (?)

892. აცნობებს, რომ უგზავნის ამონაჭერს გაზეთიდან, რომელშიც ნახსენები პირი უილიამ ფ. ნოულანდი (William F. Knowland) „თეთრი რუსების“ მეგობარია.

1963(?) წ. 31 ივლისი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, ახლავს სტატიის – „კომუნიზმის კვლევა“ („Research on Communism“) – ამონაბეჭდი, 1 ფ.

პირი: სმიტი (Smith).

ნიქსონი რიჩარდ – აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი და შემგდომში პრეზიდენტი.

893. აღნიშნავს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის მოქმედებების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია მისთვის და ამერიკელი მეზობლებისთვის.

[1970 წ. 2 ოქტომბერი, ვაშინგტონი].

ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, ახლავს კონვერტი, 1 ც.

ნოზაძე ვიქტორ

894. ვიქტორ ნოზაძის დეკლარაცია „პასუხი შემკითხველთ“. დეკლარაციის ბოლო ფურცელზე დაწერილია ვიქტორ ნოზაძის წერილი ივანე ნანუაშვილს. სწერს, რომ დეკლარაციაში მოცემული ტაქტიკა მიაჩნია ერთადერთ სწორ პოზიციად არსებული საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით.

1951 წ. 29 იანვარი, ბუენოს-აირესი.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, 1-ელ ფურცელზე არის მინაწერი („ნოზაძე“) და გახაზულია ვანო ნანუაშვილის მიერ წითელი მელნით, 4 ფ.

ტოპონიმი: პარიზი, ნიუ-იორკი.

895. წუხს, რომ ვერ შეძლო ნიუ-იორკში ჩასვლა, რის გამოც სხვებს ადანაშაულებს. სთხოვს შეატყობინოს, სად არის მის მიერ წაღებული ლინოტიპის მატრიცები. სწერს, რომ გაუგზავნოს კერსტერის კომისიის მოხსენება.

1956 წ. 26 აგვისტო, ჩილე.

ავტოგრაფი, კალკაზე, აქვს მინაწერი ფანქრით, 1 ფ.

პირი: ვახტანგი, კერსტერი.

ტოპონიმი: ნიუ-იორკი, იტალია, ლონდონი.

896. ატყობინებს, რომ, მცდელობის მიუხედავად, ესპანეთში მისი წიგნის გამოცემა ვერ მოხერხდება, რადგან ამ საკითხით არავინ დაინტერესებულა. სწერს, რომ წიგნის გამოცემა შესთავაზონ სსრკ-ის კვლევების ინსტიტუტს, უგზავნის ამ ინსტიტუტისა და იმ პირთა მისამართებს, რომლებსაც შეუძლია მისი ინსტიტუტთან დაკავშირება.

1961 წ. 3 მარტი, მადრიდი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ირაკლი ბატონიშვილი, რაჟდენ არსენიძე, ა. დემეტრაშვილი.

ტოპონიმი: საბჭოთა კავშირი, მიუნხენი, უკრაინა.

897. აცნობებს, რომ მიიღო მისი გამოგზავნილი წერილი და ფული. ატყობინებს, რომ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი.

სწერს დევიდ ლენგის წიგნისა და ამ წიგნთან დაკავშირებით მისი პასუხის შესახებ.

1963 წ. 21 მაისი, პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: დ. ლენგი

ტოპონიმი: პარიზი, ბუენოს-აირესი.

898. ატყობინებს, რომ უგზავნის თავის წიგნს „ვეფხისტყაოსნის ღვთისმეტყველება“ და სთხოვს დახმარებას ამ წიგნის გაყიდვაში. ატყობინებს, რომ წიგნი გაგზავნა თბილისშიც. აცნობებს ევგენი გეგეჭკორის ცოლის, ოლიას, გარდაცვალების ფაქტს. სწერს, რომ პოლიტიკური საქმიანობა შეჩერებულია და პოლიტიკური ასპარეზი არ არსებობს.

1963 წ. 17 ნოემბერი.

ავტოგრაფი, კალკაზე, 1 ფ.

ტოპონიმი: თბილისი

პირი: ოლია (ევგენი გეგეჭკორის მეუღლე).

899. სწერს, რომ გაოცებულია მისი მონდომებითა და შემართებით, თუმცა მიაჩნია, რომ ქართული საქმის განხორციელება შეუძლებელია. აცნობებს, რომ მისი მიმართვა გავრცელდა მცირე რაოდენობით. ატყობინებს ემიგრაციის ზოგიერთ წევრს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მაღლობას უხდის ფულის გაგზავნისთვის.

1964 წ. 8 სექტემბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: პეტრე ხვედელიძე, სინჯიკა [სინჯიკაშვილი], [ლ.] ბაბიშვილი, შუშუ.

ტოპონიმი: ლოს-ანჯელესი.

900. აცნობებს, რომ [საფრანგეთში] არსებული პოლიტიკური ვითარების გამო ფინანსების არსებობის შემთხვევაშიც მასალებს არავინ დაუბეჭდავს. ატყობინებს, რომ მისი მიწოდებული „რვეული“ თბილისში გაგზავნა. სწერს, რომ თბილისში ამ მასალამ დაინტერესება გამოიწვია.

1966 წ. 19 ივნისი, პარიზი.
ავტოგრაფი, 1 ფ.
პირი: დე გოლი.
ტოპონიმი: ევროპა, თბილისი.

901. აცნობებს, რომ ატარებენ რუსთაველის იუბილეს.

1966 წ. 27 სექტემბერი.
ავტოგრაფი, ღია ბარათზე, 1 ც.
პირი: მედეა ნიკოლაძე.

902. სწერს, რომ, რაც მეტი ნაშრომი გამოიცემა სხვადასხვა ქვეყანაში, უკეთესი იქნება.

1967 წ. 18 მარტი, პარიზი.
ავტოგრაფი, ღია ბარათზე, 1 ც.
პირი: ალექსანდრე მანველიშვილი.

903. ულოცავს შობა-ახალ წელს.

უთარილო.
ავტოგრაფი, ღია ბარათზე, 1 ც.

904. კერძო ხასიათის.

უთარილო.
ავტოგრაფი, მეორე მხარესაა ქეთევან წამებულის ილუსტრაცია, 1 ფ.

ოკუნი ჰერბერტ (Herbert S. Okun) – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭოთა კავშირის საქმეთა ოფისის დირექტორი.

905. აცნობებს, რომ პრეზიდენტ ნიქსონის თხოვნით უგზავნის საპასუხო წერილს. ატყობინებს, რომ აშშ-ის მთავრობა მხარს უჭერს საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერების უფლებების დაცვას. სწერს, რომ გაეროში აშშ-ის დელეგაციამ არაერთხელ დააყენა საბჭოთა კავშირის ეროვნული ჯგუფების დევნის საკითხი. უგზავნის გაეროში აშშ-ის წარმომადგენლის კონგრესმენ ედვარდ დერვინსკის განცხადებას.

1972 წ. 7 ივლისი, ვაშინგტონი.
მანქანაზე ნაბეჭდი, ორიგინალი და ასლი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 2 ფ.

ონაცევიჩი ვლოჯიმეჟ (Włodzimierz Onacewicz) – პოლონელი სამხედრო, აშშ-ში პოლონეთის საელჩოს სამხედრო ატაშე.

906. მადლობას უხდის წიგნის გაგზავნისთვის.

1958 წ. 29 იანვარი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პოლონურ ენაზე, ხელმოწერით, აქვს მინანური ლურჯი მელნით, ბლანკზე, 1 ფ.

პირი: ვლოჯიმეჟ ბონჩკოვსკი (Włodzimierz Bączkowski. მწერალი, პუბლიცისტი, პრომეთეისტული მოძრაობის აქტივისტი).

პრეტკა ვალტერ (Walter Pretka) – „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee") ფინანსური მდივანი.

907. მადლობას უხდის „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ("National Captive Nations Committee") საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის.

1970 წ. 1 ივნისი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორგანიზაციის ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

908. მადლობას უხდის „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტისთვის“ ("National Captive Nations Committee") შეწირული თანხისთვის.

1970 წ. 20 აგვისტო, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორგანიზაციის ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

909. მადლობას უხდის „დაპყრობილ ერთა ეროვნული კომიტეტის“ ორგანიზაციაში შეტანილი თანხისთვის.

1973 წ. 31 იანვარი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორგანიზაციის ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პროჩილო ჯესი (Jess Prochilo) – გამომცემლობა "Vantage Press"-ის მარკეტინგის დეპარტამენტის (Promotion Department) თანამშრომელი.

910. აცნობებს, რომ მისი წიგნი „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ დაიბეჭდა. ატყობინებს, რომ წიგნის შესახებ ინფორმაცია გაავრცელეს მედიასა და წიგნის მაღაზიებში. სწერს, რომ უგზავნის წიგნის ფლაერს.

1974 წ. 26 მარტი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, ბლანკზე, 1 ფ.

911. აცნობებს, რომ მიიღო მისი (ვანო ნანუაშვილი) წიგნის შესაძენად გადახდილი 120 დოლარის ქვითარი, რომელიც გადაუგზავნა გაყიდვების დეპარტამენტს და სთხოვა მიაწოდონ წიგნის 21 ეგზემპლარი. სწერს, რომ მას, როგორც ავტორს, მისი წიგნის შეძენა შეუძლია 45%-იანი ფასდაკლებით. ატყობინებს, რომ მიაწოდა წიგნის ფლაერები.

1974 წ. 18 აპრილი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, ბლანკზე, 1 ფ.

912. აცნობებს, რომ უგზავნის "New York Times"-ში მისი წიგნის შესახებ დაბეჭდილი სარეკლამო განცხადების ასლს.

1974 წ. 3 მაისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

913. აცნობებს, რომ ანტიბოლშევიკური კონფერენციებისთვის უგზავნის მისი წიგნის მიმოხილვის ასლსა და სარეკლამო განცხადების ქსეროქსს.

1974 წ. 16 მაისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, ბლანკზე, 1 ფ.

914. აცნობებს, რომ პარიზში გამომცემლობა "Vantage Press"-ის ფილიალი არ არის.

1974 წ. 12 ივლისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

915. აცნობებს, რომ უგზავნის ამონარიდს "Military Review"-ში დაბეჭდილი რეცენზიიდან, რომელიც ეხება მის წიგნს.

1974 წ. 27 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

რასი ჰერმან (Herman Russ) – გამომცემლობა "Vantage Press"-ის ვიცე-პრეზიდენტი.

916. სთხოვს, შეატყობინოს მისი აზრი წიგნის გამოცემის კონტრაქტის პირობების შესახებ.

1971 წ. 2 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

917. ეხება ვანო ნანუაშვილის წიგნის „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ გამოცემის საკითხს.

1973 წ. 10 იანვარი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

918. აცნობებს, რომ მისი წიგნის გამოცემას დასჭირდება 11 კალენდარული თვე.

1973 წ. 19 იანვარი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

919. ატყობინებს, რომ მიიღეს მასალა, რისთვისაც მადლობას უხდის.

1972 წ. 1 დეკემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, აქვს მინაწერი ლურჯი და წითელი მელნით ქართულად და ინგლისურად, 1 ფ.

920. აცნობებს, რომ [გამომცემლობის] ნიუ-იორკის ოფისს შეატყობინა მისი წიგნის დასრულების შესახებ. სწერს, რომ შემდეგი პროცედურების შესახებ ნიუ-იორკის ოფისისგან მიიღებს ინფორმაციას.

1974 წ. 31 იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

921. აცნობებს, რომ თუ პირად შეხვედრაზე ვერ შეძლებს წიგნის ხელნაწერის მიტანას, მაშინ უნდა გაგზავნოს ნიუ-იორკის ოფისში, რათა გაიგოს გამომცემლობის პოზიცია წიგნის გამოცემის შესაძლებლობის შესახებ.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 2 ეგზემპლარად, გახაზულია წითელი მელნით, 1 ფ.

რეარდონ ტ. ჯ. (T. J. Reardon) – აშშ-ის სენატორ ჯონ კენედის თანამემჩნე.

922. მადლობას უხდის წერილისა და ბროშურის გაგზავნისთვის.

1957 წ. 25 აპრილი, ვაშინგტონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

რეიგანი რონალდ – კალიფორნიის შტატის გუბერნატორი, აშშ-ის პრეზიდენტი.

923. მადლობას უხდის წიგნის „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ გაგზავნისთვის.

1974 წ. 21 მარტი, კალიფორნია.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერითა და ბეჭდით, ახლავს კონვერტი, 1 ფ.

რუდი კარლოტ (Carlot A. Rood)

924. მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის.

1951 წ. 19 სექტემბერი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, კალკაზე, 1 ფ.

925. აცნობებს, რომ დაუკავშირდა მათ საერთო მეგობარს ჩაიკოვსკის (Czajkowski). უგზავნის ტელეფონის ნომერსა და სთხოვს შეეხმიანოს.

1951 წ. 8 ნოემბერი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, კალკაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

926. აცნობებს, რომ ჩაიკოვსკის (Czajkowski) სურს მასთან შეხვედრა. სთხოვს აცნობოს, თანახმაა თუ არა, რომ შეხვედეს.

1951 წ. 21 დეკემბერი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: ჩაიკოვსკი (Czajkowski).

927. სთხოვს დაუკავშირდეს, რადგან მნიშვნელოვან საკითხზე სურს საუბარი.

1952 წ. 18 ივნისი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

928. სთხოვს დაეხმაროს, რომ სიკო კობიაშვილს დაუკავშირდეს.

1952 წ. 24 ივნისი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ორიგინალი და ასლი, ლურჯი მელნით მიწერილია ტელეფონის ნომერი, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: სიკო კობიაშვილი, ჩაიკოვსკი (Czajkowski), რობერტ მაკენი (Robert McCann).

929. აცნობებს, რომ უგზავნის მასალებს, რომლებიც მან ათხოვა ჩაიკოვსკის (Czajkowski).

1952 წ. 10 სექტემბერი, ნიუ-იორკი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

სალტონსტალი ლევერეტ (Leverett Saltonstall) – აშშ-ის სენატორი.

930. მადლობას უხდის წერილისა და წიგნის გაგზავნისთვის.

1957 წ. 1 მაისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ბლანკზე, ხელმოწერით, 1 ფ.

სანდერი მორიო (Morio B. Sander ?)

931. გამოხატავს პატივისცემასა და მადლიერებას წიგნის „სს-რკ-ის სიძლიერე და სისუსტე“ მიწოდებისთვის. აცნობებს, რომ უგზავნის თავის წერილს, რომელიც 1953 წელს სენატის მახლობელი აღმოსავლეთისა და აფრიკის საქმეთა ქვეკომიტეტის ხელმძღვანელ რობერტ ტაფტს (Robert A. Taft) გაუგზავნა.

1957 წ. 2 დეკემბერი, მასაჩუსეტსი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: ჰორნბი (Hornby).

სარჯველაძე პავლე

932. აცნობებს, რომ რედაქციამ მოიწონა მისი წერილები. სთხოვს, რომ მისი სტატიები იყოს ანტისაბჭოური, ხოლო ოსმალეთის მიმართ კი – ფრთხილი. ატყობინებს, რომ რედაქციას აქვს უფლება, შესწორებები შეიტანოს სტატიაში.

1949 წ. 29 ივლისი, პარიზი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, ხელმოწერით, 1 ფ.

933. ატყობინებს, რომ რედაქციამ მიიღო და მოიწონა მისი წერილი.

1949 წ. 12 ნოემბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, ხელმოწერით, 1 ფ.

934. აცნობებს, რომ [ჟურნალისტის] დაინყეს მასალების შეგროვება და სთხოვს თანამშრომლობას.

1950 წ. 8 იანვარი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, ხელმოწერით, 1 ფ.

935. ეხება ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობას. უსაბუთებს ეროვნული საბჭოს კურსის სისწორეს და სთხოვს, ითანამშრომლოს საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან. ჰპირდება დახმარებას ეროვნულ საბჭოსთან ურთიერთობაში.

1952 წ. 22 დეკემბერი.

ავტოგრაფი, ხელმოწერით, 1 ფ.

პირები: ურუშაძე, ევ. გეგეჭკორი, გოლდმანი.

ტოპონიმები: ლონდონი, ამერიკა, პარიზი.

936. აცნობებს პოლიტიკური საქმიანობის ზოგიერთი საკითხის შესახებ. განუმარტავს, რომ ცდილობენ „ეროვნული საბჭოს“ მიღმა დარჩენილი პირების შეყვანას საბჭოში. წუხს, რომ ამერიკაში ქართველი ემიგრანტების საქმიანობა არაეფექტურია. სთხ-

ოვს, იქონიოს კარგი ურთიერთობა გოლდმანთან და გაუგზავნოს პოლიტიკური ხასიათის ახალი ლიტერატურა.

1956 წ. 12 თებერვალი.

ავტოგრაფი, ხელმოწერით, 2 ფ.

პირები: ა. ჩ, გოლდმანი, კ. გვარჯალაძე.

937. ბოდიშს უხდის იმის გამო, რომ მასთან შეუთანხმებლად დაბეჭდა მისი სტატია ჟურნალ „ჩვენ დროში“. ატყობინებს, რომ შეხვდნენ საქართველოდან ჩამოსულ მოცეკვავეებს. წუხს, რომ არ გამოიცა ფრანგული ჟურნალი.

1956 წ. 1 მაისი.

ავტოგრაფი, ხელმოწერით, 1 ფ.

პირი: ლადო [არველაძე].

938. სთხოვს, რომ ფრანგული ჟურნალის გამოცემისათვის გაუგზავნოს 100 დოლარი და ნაშრომი გამოსაქვეყნებლად; უთანხმებს მისი სტატიის სათაურს და ინგლისურად თარგმნის საკითხს. სწერს ჟურნალის მომდევნო ნომრისთვის შემოსული სტატიების სათაურებს.

1964 წ. 5 სექტემბერი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: პოლ. თოხარაძე.

939. ატყობინებს, რომ მიიღო მის მიერ მიწოდებული მასალა, რომელსაც სრულად დაბეჭდავს, ასევე – მისი გამოგზავნილი ფული.

1964 წ. 11 ოქტომბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ტარასი [წულაძე].

940. აღნიშნავს, რომ ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდავენ მისი სტატიის ფრანგულ ვერსიას, ხოლო ინგლისურენოვანს გამოაქვეყნებენ შემდეგ ნომერში ან გამოსცემენ ცალკე ბროშურად. ატყობინებს იმ სირთულეების შესახებ, რომლებიც თან ახლავს ფრანგული ჟურნალის გამოცემას. აცნობებს, რომ ურჩევნიათ არსებული მწირი ფინანსები ქართული ჟურნალის გამოცემას

მოახმარონ. სთხოვს გამოუგზავნოს მასალები ქართული გამოცემებისათვის. აცნობებს ქართული ემიგრაციის მდგომარეობის შესახებ. სწერს, თუ როგორ ცდილობენ საქართველოდან ჩამოსულებს გაუწიონ პროპაგანდა.

1964 წ. დეკემბერი.

ავტოგრაფი, აქვს წითელი მელნით მინაწერი: „მივიღე 28 დეკემბერს 1964წ.“ 3 ფ.

941. ატყობინებს, რომ მიიღო გამოგზავნილი მასალა. ურჩევს, არ ჩაერიოს ემიგრაციის დაპირისპირებაში და მთელი ძალები ინტელექტუალურ საქმიანობას მოახმაროს.

[1964 წ.]

ავტოგრაფი, 1 ფ.

942. ატყობინებს, რომ მალე გამოვა ფრანგული ჟურნალი, სთხოვს შეატყობინოს, რა რაოდენობის ეგზემპლარის მიღება სურს. სწერს ფრანგული და ქართული ჟურნალების გამოცემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.

1965 წ. 3 თებერვალი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 1 ფ.

პირი: არველაძე.

ტოპონიმი: ნიუ-იორკი.

943. აცნობებს, რომ მისი სტატია დაიბეჭდა. ატყობინებს, რომ მიიღო მისი წერილები: „გზაჯვარედინზე“, „ჩინეთი და რუსეთი“. აცნობებს იმ სირთულეების შესახებ, რომლებიც ახლავს ფრანგული და ინგლისურენოვანი ჟურნალების გამოცემას. ატყობინებს პერიოდულ გამოცემებთან დაკავშირებული უახლოესი გეგმების შესახებ.

1965 წ. 18 მარტი.

ავტოგრაფი, შავი მელნით, 2 ფ.

პირები: ლადო [არველაძე], ის[იდორე] გაჟონია.

944. სთხოვს ორი სტატიის მიწოდებას. აცნობებს, რომ გაუგზავნა „მხედრის“ რამდენიმე ნომერი. სწერს, რომ ე.წ. „კულტურულმა

კავშირმა“ გამოსცა ბროშურა, რომელშიც ემიგრანტები ჯაშუშებად და „კაპიტალისტების“ მოსყიდულად არიან გამოყვანილი. აცნობებს, რომ ეროვნული ძალები ემიგრაციაში დასუსტებულია, სთავაზობს აშშ-ში ეროვნული ცენტრის შექმნას.

1965 წ. 20 აგვისტო.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირები: ლადი [არველაძე], ისიდორე [გაჟონია].

ტოპონიმები: პარიზი, თბილისი.

945. აცნობებს, რომ საგნების (?) გაყიდვის საკითხი შეფერხებულია, საჭიროა მათი უსაფრთხო ადგილას გადატანა. სწერს, რომ მის წერილს გამოაქვეყნებს „დამოუკიდებელ საქართველოში“. ეხება ჟურნალ „ჩვენი დროშის“ მომდევნო ნომრის საკითხს.
